საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№23 (588)
30 ივნისი – 6 ივლისი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

24
## აშშ ქართველ ახალგაზრდებში «კრიტიკული აზროვნების» განვითარებას ანიმაციის დახმარებით შეეცდება

## რატომ ვერ უბედავს ვირი პატრონს წიხლს

2



შტატებს ფეხებზე ჰკიდია, ვის ვექებთ, ვის მივუსჯით. ამერიკელები წყვეტენ, ვინ უნდა იჯდეს ციხეში და ვინ იყოს თავისუფალი

3



## რა ვალდებულებების სანაცვლოდ აძლევს საფრანგეთის განვითარების სააგენტო მზარდი საგარეო ვალის მქონე საქართველოს 483 მილიონი ევროს «დახმარებას»?



გიგი იუკურიძე:
## არც საქართველო და არც უკრაინა დღეს ამერიკისა და რუსეთისთვის სტრატეგიული ამოცანა არ არის

4

## უნდა განვაგრძოთ თუ არა საუბრები დიდ სამამულო ომზე?

5



## შეადარეთ, რათა აღმოაჩინოთ... ბელარუსი და საქართველო

6-7



## ჰაინრიხ ბიოლის ფონდიდან «თბილისი პრაიდამდე»

8




9

გეიაღლუმი არ უნდა დავუშვათ!

## ლიდერების ქედმაღლობა და ნარცისიზმი — აშშ-ის პოლიტიკის არსი

14



## გახლეჩილი ამერიკა

ამერიკელ ხალხს არ აქვს საერთო მიზნები და ფასეულობები

15

ნეოკოლო-ნიალიზმი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სასჯელის გამოცხადების შემდეგ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია უკრაინისთვის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ჯერ გუბერნატორად დაენიშნა, შემდეგ კი ახალი თანამდებობა ებოძებინა. ეს ის უკრაინაა, რომლის მაღალჩინოსნებთან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით დადიან, ოფიციალურ შეხვედრებს მართავენ და უხერხულობას არ უქმნით ის ფაქტი, რომ ქართული სასამართლოს მიერ ციხეში გაშვებული და ქართული პროკურატურის მიერ ძებნილი სააკაშვილი თანამდებობაზე უზით.**

# რატომ თვლიან ამერიკა და ევროპა საქართველოს ვირად და რატომ ვერ უბედავს ვირი პატრონს წიხლს

## შტატებს ფეხებზე ჰკიდია, ვის ვეძებთ, ვის მივუსჯით. ამერიკელები წყვეტენ, ვინ უნდა იჯდეს ციხეში და ვინ იყოს თავისუფალი

**საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ბედი ამერიკაში რომ წყდება, ყველა მივეჩვიეთ. თუმცა, რაღა საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ამერიკა იმასაც გვითითებს, მოსამართლეები როდის უნდა დავნიშნოთ, რა კანონი მივიღოთ, არჩევნებზე რამდენპროცენტიანი ბარიერი გადალახოს მმართველმა ძალამ და როგორ უნდა მოიქცეს ოპოზიცია. მოკლედ, ყველაფერს შტატები წყვეტს და რა გასაკვირია, პოლიტიკოსები კონსულტაციებისთვის ოკეანის გაღმა რომ დაფრინავენ. არ აქვს მნიშვნელობა, ოპოზიციაა თუ ხელისუფლება, ყველა ამერიკაში მიდის, იქ იღებს მითითებებს და შემდეგ იქ შედგენილი დღის წესრიგის მორგებას საქართველოზე ცდილობს.**

ამერიკულმა კანონებმა და სამართალმა როგორც გაამართლა, კი ვხედავთ და რატომ ჰგონია ვინმეს, რომ გასული 30 წლის მსგავსი არ იქნება მომდევნო 30 წელიც, ვერ გეტყვით. ვირს ჯოხით ცხვირთან ბალახს რომ დაუკიდებენ, ზურგზე შეაჯდებიან და ამ ბალახს გამოკიდებული ვირიც რომ თავდაუზოგავად გარბის, სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვართ. ჯოხზე დაკიდებული ბალახი ნატო და ევროკავშირია, ზურგზე კი გვაზის ყველა, ვისაც არ ეზარება, და, რაც უნდა გამრჯე და მუყაითი იყოს ვირი, ბალახს ვერასდროს ვერ მისწვდება.

შევეცდებით, დასაბუთებულად აგიხსნათ, რატომ თვლის ამერიკა და ევროპა საქართველოს ვირად და რატომ ვერ უბედავს ვირი პატრონს წიხლს. გასულ კვირაში, ქართველი პოლიტიკოსების მთავარი სასაუბრო თემა იყო, შეხვდა თუ არა **გიორგი გახარია** ამერიკაში **მიხეილ სააკაშვილს**. როგორც გაირკვა, ექსპრემიერი და ექსპრეზიდენტი ერთსა და იმავე სასტუმროში იყვნენ გაჩერებული და მმართველი გუნდის ლიდერთათვის ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შეთქმულების თეორია აეგო. ოპოზიცია კი ამბობდა, ეს ყველაფერი შემთხვევითია, შეხვედრის სურვილი რომ ჰქონოდათ, სხვა ადგილსაც ნახავდნენო. ისე, მრავალმილიონიან ქალაქში ერთსა და იმავე სასტუმროში რომ აღმოჩნდები, ან შემთხვევითობაა, ან „ქართულ ჯიგრულ პონტში მოსულა", ან კიდევ ყველაზე საუკეთესო — კარგად გათვლილი პროვოკაციაა. თუმცა, ჩვენთვის მთავარი ის კი არ არის, გადაიკვეთა თუ არა გახარიასა და სააკაშვილის გზები ამერიკაში, არამედ ის, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი შტატებშია.

**„2018 წლის 28 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალდებული მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა და მას სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მასვე 3 წლის ვადით ჩამოერთვა დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება სახელწიფო სამსახურში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. „ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენებით, დანიშნული სასჯელი შემცირდა 1/4-ით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ხოლო თანამდებობის დაკავების უფლება სახელწიფო სამსახურსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ჩამოერთვა 2 წლითა და 3 თვით"**, — ეს არის ქართული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მიხეილ სააკაშვილი დამნაშავედ არის ცნობილი და მისჯილი აქვს პატიმრობა. ამ განაჩენის გარდა, კიდევ არაერთი განაჩენია, რომელთა მიხედვით, სააკაშვილს ქართული ციხის კედლების ხეხვა დიდი ხნის განმავლობაში მოუწევს. ლოგიკურია, რომ **სასჯელის გამოცხადების შემდეგ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია უკრაინისთვის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ჯერ გუბერნატორად დაენიშნა, შემდეგ კი ახალი თანამდებობა ებოძებინა. ეს ის უკრაინაა, რომლის მაღალჩინოსნებთან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით დადიან, ოფიციალურ შეხვედრებს მართავენ და უხერხულობას არ უქმნით ის ფაქტი, რომ ქართული სასამართლოს მიერ ციხეში გაშვებული და ქართული პროკურატურის მიერ ძებნილი სააკაშვილი თანამდებობაზე უზით.**

შევეშვათ უკრაინას და ამერიკაზე ვთქვათ. **კელი დეგნანმა** გასული კვირის განმავლობაში არაერთხელ გაიმეორა, რომ საქართველოს პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესი უნდა შეაჩეროს და მხოლოდ მას შემდეგ უნდა განაახლოს, როცა პარლამენტი **შარლ მიშელის** დოკუმენტს მიიღებს. ამ განცხადებით დეგნანი, პირდაპირ თუ ირიბად, უნდობლობას უცხადებს როგორც მოსამართლეთა შერჩევის პროცესს, ისე ქართული საკანონმდებლო ორგანოს ობიექტურობას. თუმცა, მთავარი ესეც არ არის.

**ამერიკელები მუდმივად გვიმეორებენ, რომ საქართველო მაშინ განვითარდება, როცა კანონი იქნება უზენაესი და ყველასთვის ერთი. შესაბამისად, მათი მტკიცებით, ერი და ბერი ერთნაირად უნდა გასამართლდეს, თუ დანაშაულს ჩაიდენს და, რაღა თქმა უნდა, ამ მიდგომაში ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ რა ვუყოთ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც მისჯილი აქვს, რომელიც იძებნება და ამერიკაში (ევროპის გავლით) ძალიან მშვიდად გრძნობს თავს.** ევროპის არც ერთ ქვეყანას აზრადაც არ მოსვლია, სააკაშვილისთვის ბორკილები დაედო და საქართველოში მისი ექსტრადირება მოეხდინა. მეტსაც გეტყვით, რამდენიც უნდა ამტკიცოს შს ყოფილმა მინისტრმა **გიორგი მღებრიშვილმა**, სააკაშვილის ექსტრადაციაზე უარი არ მითქვამსო, ფაქტია: **რამდენიმე წლის წინათ გავრცელებული ჩანაწერი, რომელშიც მღებრიშვილს უკრაინიდან სააკაშვილის ექსტრადიციას სთავაზობენ, ის კი კატეგორიულ უარს ამბობს, რეალობასთან ძალიან ახლოს არის.** სხვა საქმეა, რატომ არ სურს ხელისუფლებას სააკაშვილის ჩამოყვანა და ციხეში ჩასმა, მაგრამ სულ სხვა საკითხია, რატომ უშვებს ქვეყანაში საქართველოს მიერ ძებნილ პირს ამერიკა. თანაც, არამხოლოდ უშვებს, არამედ მას ხვდებიან კონგრესმენები, სენატორები...



ამერიკელები მუდმივად გვიმეორებენ, რომ საქართველო მაშინ განვითარდება, როცა კანონი იქნება უზენაესი და ყველასთვის ერთი. შესაბამისად, მათი მტკიცებით, ერი და ბერი ერთნაირად უნდა გასამართლდეს, თუ დანაშაულს ჩაიდენს და, რაღა თქმა უნდა, ამ მიდგომაში ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ რა ვუყოთ მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც მისჯილი აქვს, რომელიც იძებნება და ამერიკაში (ევროპის გავლით) ძალიან მშვიდად გრძნობს თავს?!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რომ ინონებს თავს, რატომ არ გზავნის საპროტესტო ნოტას ამერიკაში, რატომ არ აფარებს სახეზე იმავე ნოტას ქალბატონ დეგნანს, ჩვენ მიერ ძებნილ პირს რატომ არ აკავებთო? თავმოყვარე სახელმწიფო, წესით, ასე უნდა იქცეოდეს, მაგრამ სადლაა თავმოყვარეობა, როცა რომელიღაც ქვეყნის ელჩი ან ელჩები დღის წესრიგს გიწესებენ?! რა გამოდის? **სახელმწიფო, რომელიც უპირველეს სტრატეგიულ პარტნიორად და მოკავშირედ გვყავს, რომელსაც მთავარ მეგობრად ვთვლით, არ აკავებს არათუ ძებნილს, არამედ პირს, რომელსაც მისჯილი აქვს.** მოდი, მოვლენებს მეორე მხრიდან შევხედოთ — **საქართველოში რომ ჩამოვიდეს ამერიკის მიერ ძებნილი პიროვნება (ვინც არ უნდა იყოს) და ამერიკელებმა საქართველოს ხელისუფლებას მისი დაკავება მოსთხოვონ, რა მოხდება? ჩატარდება საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სპეცოპერაცია, გამუქდება ყველა არხზე, დაკავებულს ზარ-ზეიმით და შუბლის მიწაზე ცემით გადასცემენ ამერიკელებს და თავსაც მოიწონებენ. და რატომ არ ხდება იგივე ჩვენ შემთხვევაში?** შტატებს ფეხებზე ჰკიდია, ვის ვეძებთ, ვის ვუსჯით, ისინი წყვეტენ, ვინ უნდა იჯდეს ციხეში და ვინ იყოს თავისუფალი. **ნიკა მელიას** ისტორია გაიხსენეთ, რომელიც ხელების გადაგრეხვით გამოაშვებინეს გარეთ და შემდეგ უმასპინძლეს კიდეც. არადა, მელიას ბრალი „საპონის მოპარვაში" კი არა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ედებოდა, მაგრამ ეს ბრალდება არაფერია ამერიკის სურვილთან შედარებით.

ისე არ გეგონოთ, მხოლოდ ამერიკას ვერჩოდეთ. სააკაშვილი მოგზაურობს ევროპაში, ცხოვრობს უკრაინაში, იმ უკრაინაში, რომლის ეროვნულ ნაკრებსაც ევროპის ჩემპიონატზე გულშემატკივრობს ბევრი ქართველი და მათი 1/8 ფინალში გასვლა მხოლოდ იმიტომ უხარიათ, რომ ამ ეტაპამდე ვერ მივიდა რუსეთის ნაკრები. არადა, დედამიწის ზურგზე სწორედ რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც საქართველოს მიერ ძებნილი სააკაშვილი ვერ ჩადის, რადგან ზუსტად იცის, დააკავებენ და საქართველოს გადმოსცემენ. ჰო, ამ მოცემულობის მიუხედავად, **რუსეთი უპირველესი მტერია და ამერიკა და უკრაინა — მოკავშირეები. სასაცილოც აღარ არის ეს ყველაფერი, არც სატირალი. ამ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ამერიკას, ევროპას — ყველას სულ არ აინტერესებს, ვის ან რას ეძებს საქართველო.** თუნდაც იმ მაგალითზე, რომელიც ზემოთ მოგიყვანეთ, იმავე „ცივილიზებული" სამყაროსთვის ადამიანის უფლებები უბრალო სიტყვებია, თორემ როგორ შეიძლება გაამართლო ადამიანი, რომლის ბრძანებით **ვალერი გელაშვილი** ისე გალახეს, მისი ცნობა შეუძლებელი იყო.

ამიტომ არის, რომ საქართველოში პოლიტიკური ლიდერები საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. მათ ზუსტად იციან, რომ საჭირო დროს ამერიკიდან ან ევროპიდან ვინმე დარეკავს და მას პასუხისგებაში, უბრალოდ, არ მისცემენ. შედეგად, შერჩება ცემაც, წამებაც, მკვლელობაც კი... ჰო, მკვლელობაც, რადგან სწორედ მკვლელობაში ეჭვმიტანილი **გიორგი რურუა** გამოაშვებინა დასავლეთმა საქართველოს ხელისუფლებას.

**მარიონეტების თეატრი რეზო გაბრიაძემ დააარსაო და ოფიციალურად ეს მართლაც ასეა, მაგრამ 30 წელია, სწორედ მარიონეტების თეატრის წარმოდგენებს ვუყურებთ და ახლა ის არის საინტერესო, ამ მარიონეტების სამართავი ძაფები დასავლელ პოლიტიკოსებს თითებზე ჰკიდიათ თუ სხვაგან**

მარიონეტების თეატრი რეზო გაბრიაძემ დააარსაო და ოფიციალურად ეს მართლაც ასეა, მაგრამ 30 წელია, სწორედ მარიონეტების თეატრის წარმოდგენებს ვუყურებთ და ახლა ის არის საინტერესო, ამ მარიონეტების სამართავი ძაფები დასავლელ პოლიტიკოსებს თითებზე ჰკიდიათ თუ სხვაგან...

**ბესო ბარბაქაძე**

**„უკვე 34 მლრდ ლარს სცდება ქვეყნის საგარეო ვალი და ეკონომიკა, ფაქტობრივად, ჩამოშლის პირასაა — ვალი მშპ-ს 62%-ზე მეტია და ეს მაჩვენებელი, რაც დრო გადის, უფრო იზრდება. ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულ კრიზისზე მიუთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში სახელმწიფოს მძიმე სოციალური რეფორმების გატარება შეიძლება მოუწიოს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ე.წ. დახმარებები და ვალთან დაკავშირებული თამაშები სწორედ ამ პროცესის წინაპირობა იყოს".**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ვალდებულებების სანაცვლოდ აძლევს საფრანგეთის განვითარების სააგენტო მზარდი საგარეო ვალის მქონე საქართველოს 483 მილიონი ევროს «დახმარებას»?



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

## ეს ყველაფერი მიგვიყვანს იქამდე, რომ ქვეყანა აღარ გვექნება ფორმალურადაც კი

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ საზოგადოებას ამაყად აუწყა, რომ ქვეყანა მომდევნო ორი წლის განმავლობაში საფრანგეთისგან 483 მილიონი ევროს დახმარებას მიიღებს. მისი თქმით, ამ თანხიდან 33 მილიონ ევროზე მეტი გრანტი იქნება, მთლიანობაში კი აღნიშნული თანხა ეკონომიკური გამოწვევების ფონზე პრიორიტეტულ მიმართულებებს მოხმარდება.**

**«საქართველომ უნდა შეცვალოს პოლიტიკური კურსი და უნდა აირჩიოს განვითარების ბუნებრივი გზა, რომელიც, პირველ რიგში, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შეძლებს ძალთა ბალანსის შენარჩუნებას. ჩვენ ვერ ვვითარდებით დღეს და ვერ ვვითარდებით იმიტომ, რომ არ გვყავს არც ერთი რეალური პარტნიორი. 21-ე საუკუნეში ჩვენ ვართ კოლონია, რომელსაც, ფაქტობრივად, წართმეული აქვს სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური ნიშნები»**

ღარიბაშვილის განმარტებით, აღნიშნული დახმარება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოს მხარში უდგანან პარტნიორები, თუმცა არც მას და არც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, რომლებმაც ხელმოწერის შემდეგ მედიასთან ვრცელი კომენტარები გააკეთეს, დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ნაკისრ ვალდებულებებზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით თვე-ნახევრის წინათ, კერძოდ, 11 მაისს, მთავრობამ ანალოგიურ შეთანხმებას მსოფლიო ბანკთანაც მოაწერა ხელი, რომლის თანახმად, ქვეყანა 85 მილიონი ევროს დახმარებას მიიღებს. პრემიერმა მაშინაც განაცხადა, რომ დოკუმენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხოლო 21 მაისს (ანუ 10 დღის შემდეგ) უკვე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც 67 მილიონ დოლარამდე გრანტის გამოყოფას ითვალისწინებს (330 მლნ დოლარამდე მომატების შესაძლებლობით...).

**რა ვალდებულებების სანაცვლოდ აძლევენ დასავლეთის ქვეყნები საქართველოს მრავალმილიონიან დახმარებებს, რას ხმარდება რეალურად ეს თანხები და როგორ აისახება იგი მომავალში ქვეყნის პოლიტიკურ რეალობაზე — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

— ბატონო დიმიტრი, პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამაყად გვაუწყა, რომ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომლითაც ქვეყანა 483 მილიონი ევროს ოდენობის დახმარებას მიიღებს. მისი შეფასებით, დოკუმენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მაგრამ არავის — არც პრემიერსა და არც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს — გაკვირთაც არ უსაუბრიათ ვალდებულებებზე, რომლებსაც შეთანხმება გულისხმობს. რა არის დღეს ის მთავარი გარემოება, რომელიც დასავლეთს — ამერიკასა და ევროკავშირის წამყვან ქვეყნებს — საქართველოსთვის ამხელა ფინანსური დახმარებების გამოყოფის აუცილებლობაში არწმუნებს?

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და, ვფიქრობ, საზოგადოება ამაზე დეტალურად უნდა იყოს ინფორმირებული. დავიწყოთ იმით, რომ **უკვე 34 მილიარდ ლარს სცდება ქვეყნის საგარეო ვალი და ეკონომიკა, ფაქტობრივად, ჩამოშლის პირასაა — ვალი მშპ-ს 62%-ზე მეტია და ეს მაჩვენებელი, რაც დრო გადის, უფრო იზრდება. ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულ კრიზისზე მიუთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში სახელმწიფოს მძიმე სოციალური რეფორმების გატარება შეიძლება მოუწიოს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ე.წ. დახმარებები და ვალთან დაკავშირებული თამაშები იყოს სწორედ ამ პროცესის წინაპირობა.** ცხადია, ამას გადაჭრით არ ვამბობ. სხვათა შორის, თავის დროზე დეფოლტის წინ დაახლოებით მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა, მაგალითად, **ბულგარეთი** და **საბერძნეთი**. დეფოლტის გამოცხადებამდე ამ ქვეყნებმაც მიიღეს ევროკავშირისგან კოლოსალური ფინანსური დახმარებები, რამაც, ბუნებრივია, პროცესი გაახანგრძლივა. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მსგავს პროცესთან, ვინაიდან ქვეყანა შედის მძიმე კრიზისში, რაც, თავის მხრივ, დასავლეთისთვის აქ გარკვეული გავლენების დაკარგვის წინაპირობებს შეიძლება ქმნიდეს. აი, სწორედ ამ გავლენების ხელიდან არგაშვების მიზნით გასცემენ „დახმარებებს", მაგრამ საკითხავია, სინამდვილეში არის თუ არა ეს დახმარება და რა ინტერესია რეალურად ამ ყველაფრის მიღმა?

— რა ვალდებულებებს შეიძლება გულისხმობდეს ეს „დახმარებები" ჩვენთვის?

— ძალიან ბევრს, მათ შორის, ამ „დახმარებებს" **შეიძლება დავუკავშიროთ ისიც, რომ ჩვენი დასავლელი „პარტნიორები" უკვე დაუფარავად ავლენენ თავიანთ არამეგობრულ, არადემოკრატიულ მიდგომებს ქართული მართლმსაჯულებისადმი. რეალურად ისინი უკვე ღიად გვეუბნებიან, რომ საქართველოს აღარ უნდა ჰყავდეს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება.** საქართველოს მართლმსაჯულება, მისი შემადგენელი ინსტიტუციებით, უნდა იმართებოდეს დასავლეთის მჭიდრო, მკაფიო კონტროლისა და მონიტორინგის პირობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნელ-ნელა ქვეყანა სრულად თმობს სუვერენიტეტს. სხვათა შორის, **შარლ მიშელის დოკუმენტი** და მანამდე **დანიელსონის დოკუმენტი** იყო ამის პრელუდია. **ახლა კი უკვე მიმდინარეობს პირდაპირი პრაქტიკული მოქმედებები, რათა დასავლეთმა მიიღოს მყარი გარანტიები, ოღონდ არა რომელიმე პოლიტიკური ბუნდისგან, რომელიც სისტემის მსახურია, როგორც არჩეული დემოკრატიის წარმომადგენელი (ასეთი ნდობა აღარ არსებობს), არამედ თვითონ აიღოს უშუალოდ მართვის ბერკეტები. აი, ამას ახორციელებენ დემოკრატიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საყრდენი ბურჯის, მართლმსაჯულების, კონტროლის გზით და ამას ემატება ის ფინანსები, რომლებმაც უნდა გაახანგრძლივოს ქვეყნის დეფოლტი.**

— ქართულ მართლმსაჯულებაზე კონტროლის დამყარების მცდელობები აშკარაა... მომავალში რა სახეს მიიღებს ეს ყველაფერი? რა პოლიტიკური კონფიგურაციის ჩამოყალიბება სურთ მათ საბოლოოდ?

— პირველი და უმთავრესი: **ისეთი პოლიტიკური საყრდენი, როგორიცაა დღევანდელი „ოცნება", მათ ხელს არ აძლევთ, იმიტომ, რომ ის უკვე სრულიად ამორფული და არამყარია. გამომდინარე აქედან, უკვე არის ინტერესი იმისა, რომ „ოცნებას" მოუჭრან შემდგომ პროცესებში მონაწილეობის გზა და ხელისუფლება გადასცენ ოპოზიციას; რომელ ოპოზიციას, ალბათ, ყველასთვის გასაგებია.** პრაქტიკულად, ხდება ჩანაცვლება და ხდება ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები საზოგადოებრივი მღელვარება გამოიწვიოს ამ ყველაფერმა... აი, ზუსტად ამას ემსახურებოდა თავის დროზე **მელიას** გარშემო ატეხილი აბსოლუტურად ხელოვნური ხმაური და ამას ემსახურება დღესაც შარლ მიშელის დოკუმენტის ზედმიწევნით შესრულებაზე დაჟინებული მოთხოვნაც... **რაც შეეხება შედეგებს, რომელსაც ეს პროცესი მოიტანს, თუ, რა თქმა უნდა, ლოგიკურ დასასრულამდე მივა, საბოლოოდ ეს ყველაფერი მიგვიყვანს იქამდე, რომ ქვეყანა აღარ გვექნება ფორმალურადაც კი. ეს იქნება რაღაც ტერიტორიული წარმონაქმნი, რომლის პოლიტიკური მართვის პროცესზეც პასუხისმგებლობები იქნება გადანაწილებული სხვადასხვა პოლუსზე...**

— ჩანაცვლება ახსენეთ და გარკვეულ პოლიტიკურ კულუარებში უკვე იმაზეც საუბრობენ, რომ უახლოეს ნახევარ წელიწადში სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანა იგეგმება. და თუ ეს რეალურია, იქნება ხელისუფლება მზად კანონის აღსასრულებლად?

— მიხეილ სააკაშვილის ფაქტობრივი როლის გამოკვეთის საკითხი ნამდვილად დგას პოლიტიკურ დღის წესრიგში და ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც კრახით დასრულდა ოპოზიციის მცდელობა, მელიასგან ახალგაზრდა ნელსონ მანდელა შეექმნა. რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოყვანას საქართველოში, როგორც ჩანს, მართლა მიდის კულუარული საუბრები, მასზე ნამდვილად იდება გარკვეული ფსონები და, ალბათ, გარკვეული გათვლებიც კეთდება, მაგრამ არის მეორე მომენტი, რომელიც ასევე გასათვალისწინებელია — **სააკაშვილის ჩამოსვლა საქართველოში ბიძინა ივანიშვილისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. და ამის საწინააღმდეგოდ ივანიშვილმა შეიძლება დადოს აბსოლუტურად ყველაფერი, რაც მის პოლიტიკურ არსენალშია. აი ეს, რა თქმა უნდა, არის და იქნება მომავალშიც სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი სააკაშვილისთვის, როგორც პოლიტიკური რეინკარნაციის მსურველი სუბიექტისთვის.** სხვა ხელისშემშლელ გარემოებებზე არაფერს ვამბობ. აქვე მინდა, მოკლედ ვთქვა სხვა ინსტიტუციური გაძლიერების პროცესზეც, რომელიც ასევე შეიძლება განვიხილოთ დასავლეთის მხრიდან ახალი პოლიტიკური დასაყრდენის ჩამოყალიბების მცდელობის ჭრილში. რამდენიმე კვირის წინათ 15-მა პარტიამ, **კელი დეგნანისა** და **კარლ ჰარცელის** ზედამხედველობით, ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც ვითომ ადამიანის უფლებების გაუმჯობესებას ემსახურება. ეს არ არის ჩვეულებრივი აქტი, რომელიც უფლებადაცვით საქმიანობას გულისხმობს, არამედ **ეს არის აქტი, რომლითაც დემოკრატია ლიბერალიზმთან ერთად უნდა ჩანაცვლდეს ახალი ტირანიით. თვითონ ლიბერალური დასავლეთისთვის ეს ტირანია უკვე კარგადაა ცნობილი მამათმავლობისა და ლესბოსის ინტიტუციურად დამკვიდრების სახით. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოში ამ 15 პარტიის ერთობა მხოლოდ ერთ ვიწრო ჭრილში არ უნდა განვიხილოთ, ეს, ალბათ,** პოლიტიკური კლასის ფორმირება უფროა, რომლის შესაკრავადაც დასავლეთმა ამ შემთხვევაში ლგბტ უფლებების დაცვის იდეა გამოიყენა და მომავალში მას უფრო სერიოზულ დასაყრდენადაც განიხილავს... **ეს აშკარა და უკვე ღიად მიმდინარე პროცესი უნდა იყოს საკმარისი მიზეზი ხალხისთვის, რათა გააცნობიეროს, რეალურად რა ხდება და, არათუ მხარი არ დაუჭიროს იმ 15 მარგინალურ პარტიას, არამედ სამუდამო წითელი ბარათი უჩვენოს მას პოლიტიკურ ასპარეზზე.**

— დავუბრუნდეთ ისევ ფინანსურ „დახმარებებს". დასაწყისში აღნიშნეთ, რომ ამით დასავლეთი ინარჩუნებს და ნაწილობრივ იძლიერებს კიდეც გავლენას საქართველოში. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქვეყანამ ნაწილობრივ მაინც დააღწიოს თავი ამ მდგომარეობას და მუდმივად სხვისი დამხარების იმედად არ ვიყოთ?

— ვფიქრობ, გამოსავალი ერთადერთია: **საქართველომ უნდა შეცვალოს პოლიტიკური კურსი და უნდა აირჩიოს განვითარების ბუნებრივი გზა, რომლითაც, პირველ რიგში, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შეძლებს ძალთა ბალანსის შენარჩუნებას. ჩვენ ვერ ვვითარდებით დღეს და ვერ ვვითარდებით იმიტომ, რომ არ გვყავს არც ერთი რეალური პარტნიორი. 21-ე საუკუნეში ჩვენ ვართ კოლონია, რომელსაც, ფაქტობრივად, წართმეული აქვს სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური ნიშნები.** აი ესაა შესაცვლელი და ქვეყანა თვისობრივად ახალ პოლიტიკურ პლატფორმაზე გადასაყვანი, პლატფორმაზე, რომელიც გარედან კი არ იქნება ნაკარნახევი, არამედ განუხრელად განაგრძობს ჩვენი ისტორიული განვითარების გზას. სხვანაირად **ჩვენ ვართ დასაღუპად განწირული ერი, რომელიც უფსკრულისკენ მიექანება და ძალიან ცოტაღა რჩება სრულ განადგურებამდე.** ეს არის რეალობა, რომლის შესახებაც, სხვათა შორის, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ხშირად შეგვახსენებს თავის ქადაგებებში.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საქართველო და მსოფლიო
რაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მიდგომა, რომ დიალოგს აზრი არ აქვს, რადგან „ის მაინც არ შეასრულებს შეთანხმებას“, ვფიქრობ, არც ერთ შემთხვევაში არ არის რეალური პოლიტიკის ჭრილში განსახილველი. ეს დესტრუქციული რიტორიკაა. სხვათა შორის, საქართველოშიც, ძირითადად, ამ მიდგომის გავლენაა, როცა საუბრობენ, რომ რუსეთთან პირდაპირ დიალოგს საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის გარეშე აზრი არ აქვსო. დიალოგს ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ გარკვეულ ძალებს საერთაშორისო დონეზე ეს, უბრალოდ, არ სჭირდებათ“.**



გივი იუკურიძე:

# არც საქართველო და არც უკრაინა დღეს ამერიკისა და რუსეთისთვის სტრატეგიული ამოცანა არ არის

**24 ივნისს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის სამიტზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა რუსეთთან სამომავლო ურთიერთობებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ არსებული გამოწვევების ფონზე მოსკოვთან დიალოგი აუცილებელია. მისი თქმით, ეს ევროკავშირს საკუთარი ინტერესების და, უწინარესად, უსაფრთხოების დასაცავად სჭირდება. მისივე შეფასებით, არსებულ ვითარებაში აზრს არის მოკლებული და, შესაბამისად, გადახედვას საჭიროებს სანქციების პოლიტიკაც, რომელიც მხოლოდ რეაქციულ ლოგიკას გულისხმობს: „რუსეთის მიმართ მხოლოდ რეაქციულ ლოგიკას ვერ შევინარჩუნებთ. ვიმედოვნებ, ევროპული ერთიანობითა და კოოპერაციით შევძლებთ ამ დიალოგს...“**

**«როგორ დაგვიცავს რუსეთისგან ის ევროპა, რომელსაც თავისი უსაფრთხოება ვერ წარმოუდგენია რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლად?!»**

მოგვიანებით **ემანუელ მაკრონის** ამ განცხადებას დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში კრიტიკა მოჰყვა, თუმცა საფრანგეთის პრეზიდენტი არ ყოფილა ერთადერთი, ვინც სამიტზე რუსეთთან დიალოგისა და ურთიერთობების მოგვარების აუცილებლობას ხაზი გაუსვა. გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** ასევე განაცხადა, რომ ევროკავშირს რუსეთის პირველ პირთან პირდაპირი კონტაქტი უნდა ჰქონდეს.

ცნობისთვის: საფრანგეთმა და გერმანიამ სამიტზე ვლადიმერ პუტინის მიწვევის წინადადებაც წამოაყენეს. იდეას მოწინააღმდეგეც ბევრი გამოუჩნდა, მაგრამ მაკრონისა და მერკელის იმ პოზიციას, რომ ევროკავშირს ყველაზე მეტად დღეს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება სჭირდება, გაერთიანების წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელები მაინც იზიარებენ.

შეგახსენებთ, რომ მაკრონმა რუსეთთან დიალოგის მნიშვნელობაზე პირველად 2019 წელს პარიზში დიპლომატებთან გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე ისაუბრა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დადგა დრო, ევროპამ რუსეთს ხელი გაუწოდოს, რათა მხარეები ისევ ცივი ომის რეალობაში არ დაბრუნდნენ. მეტიც, მისი თქმით, რუსეთთან „უსაფრთხო და სტაბილური ურთიერთობების გარეშე ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების გარანტია ვერ ექნებათ...“

**რას ნიშნავს საქართველოსთვის, როგორც ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის, საფრანგეთისა და გერმანიის პრეზიდენტების პოზიცია და რა გეოპოლიტიკურ მოცემულობას ქმნის ეს რეგიონში, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე.**

**— ბატონო გივი, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ბრიუსელის სამიტზე პირდაპირ განაცხადა, რომ ევროკავშირმა რუსეთთან კონფრონტაციული პოლიტიკა უნდა დაასრულოს და დაიწყოს ურთიერთობების ნორმალიზაცია, რომელიც უნდა განხორციელდეს პირდაპირი დიალოგით. ამ ყველაფერს, ბუნებრივია, მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავს ევროპის პოლიტიკურ სივრცეში, მაგრამ წამყვანი ქვეყნები დიალოგს უჭერენ მხარს. ჩვენ, როგორც ნატოსა და ევროკავშირზე ორიენტირებულ სახელმწიფოს, რომელსაც გვიქმნიან ილუზიას, რომ რუსეთისგან დასავლეთი დაგვიცავს, რას გვეუბნება საფრანგეთისა და გერმანიის პირველი პირების ეს ინიციატივა?**

— პოლიტიკის ერთგვარი აქსიომაა, რომ, თუ გინდა, სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარება, უნდა ელაპარაკო ამ კონკრეტულ სახელმწიფოს; შეიძლება, სხვასაც, მაგრამ ურთიერთობები, ძირითადად, გვარდება პირდაპირი დიალოგით, ინტერესთა გადაკვეთის წერტილების პოვნით, საერთო ენის გამონახვით, გარკვეულწილად კომპრომისებითაც და ა.შ. ეს არახალია საერთაშორისო პოლიტიკაში.

ახლა ავიღოთ საქართველო: ჩვენი მეზობლები არიან აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი და რუსეთი. მრავალწლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ, თუ მათთან და განსაკუთრებით რუსეთთან არ გვექნება ნორმალური ურთიერთობა, პირველი — არ გვექნება დაცული უსაფრთხოება, მეორე — არ გვექნება პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც, ვხედავთ, რომ მოშლილია, და მესამე — არ გვექნება ეკონომიკური წინსვლა. მაკრონის განცხადება რას ნიშნავდა? — ახალს არაფერს. ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, დიდი ხანია, ამბობენ, რომ მათთვის მიუღებელია ე.წ. კოლექტიური გარემო, რომელსაც ეწირება მათი ეკონომიკური (და არა მხოლოდ) ინტერესები, ამიტომ გავიდა ინგლისი ევროკავშირიდან. უსაფრთხოებას რაც შეეხება, **მაკრონი არ არის ერთადერთი, ვინც ამბობს, რომ რუსეთთან კონფრონტაცია უნდა დასრულდეს**, ანალოგიურ პოზიციაზეა გერმანიის ხელმძღვანელობაც. რა თქმა უნდა, სწორია ეს მიდგომა, იმიტომ, რომ თუნდაც სანქციების პოლიტიკა, რომელსაც ევროკავშირი ატარებდა რუსეთის წინააღმდეგ, უშედეგო აღმოჩნდა. პირიქით, ამ სანქციების შემდეგ რუსეთის წონამ საერთაშორისო ასპარეზზე უფრო მოიმატა და ის ერთ-ერთი მთავარი აქტორია ერთპოლუსიანი სამყაროს დასრულების პროცესში...

**— ევროკავშირში მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავს რუსეთთან დიალოგის იდეას...**

**«დიდი ხანია, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები ამბობენ, რომ მათთვის მიუღებელია ე.წ. კოლექტიური გარემო, რომელსაც ეწირება მათი ეკონომიკური (და არა მხოლოდ) ინტერესები, ამიტომ გავიდა ინგლისი ევროკავშირიდან. უსაფრთხოებას რაც შეეხება, მაკრონი არ არის ერთადერთი, ვინც ამბობს, რომ რუსეთთან კონფრონტაცია უნდა დასრულდეს; ანალოგიურ პოზიციაზეა გერმანიის ხელმძღვანელობაც. რა თქმა უნდა, სწორია ეს მიდგომა, იმიტომ, რომ თუნდაც სანქციების პოლიტიკა, რომელსაც ევროკავშირი ატარებდა რუსეთის წინააღმდეგ, უშედეგო აღმოჩნდა»**

— გეთანხმებით, მაგრამ **მიდგომა, რომ დიალოგს აზრი არ აქვს, რადგან „ის მაინც არ შეასრულებს შეთანხმებას,“ ვფიქრობ, არც ერთ შემთხვევაში არ არის რეალური პოლიტიკის ჭრილში განსახილველი. ეს დესტრუქციული რიტორიკაა. სხვათა შორის, საქართველოშიც, ძირითადად, ამ მიდგომის გავლენაა, როცა საუბრობენ, რომ რუსეთთან პირდაპირ დიალოგს საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის გარეშე აზრი არ აქვს. დიალოგს ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ გარკვეულ ძალებს საერთაშორისო დონეზე ეს, უბრალოდ, არ სჭირდებათ.** რატომ და რის გამო — ეს სხვა თემაა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ერთი რამ ფაქტია: რუსეთი უკვე აღარ არის ის ქვეყანა, 20-25 წლის წინათ რომ იყო. 20-25 წლის წინათ მასზე მეტი ზემოქმედება შეეძლოთ, მაგრამ დღეს რუსეთი ზესახელმწიფოა უმძლავრესი სამხედრო ინდუსტრიით, შეიარაღებით, ჯარით, ენერგორესურსებით და ა.შ. აი, ამას აცნობიერებს მაკრონიც და მერკელიც და ეს არის მათი ამოსავალი წერტილი, როცა ამბობენ, რომ სანქციებისა და ბოიკოტის პოლიტიკა კი არ განვაგრძოთ, რომელიც თვით ევროპისთვისაა დამაზიანებელი, არამედ ვიყოთ ორიენტირებული დიალოგზე, პრობლემების გადაჭრა ამ გზით შეიძლება. **ვფიქრობ, საქართველოსთვის ეს პირდაპირი გზავნილია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების აუცილებლობაზე,** თუმცა, არის თუ არა მზად ჩვენი პოლიტიკური სპექტრი და განსაკუთრებით მმართველი გუნდი ამ კონიუქტურისთვის, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მე ამის ნიშნებს ვერ ვხედავ. **ვხედავ მხოლოდ სწორხაზოვან პოლიტიკას დასავლეთის მიმართულებით, იმ დასავლეთის, რომელსაც საკუთარი უსაფრთხოება ვერ წარმოუდგენია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების გარეშე.** სხვათა შორის, იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით გერმანიისთვის რუსეთის ენერგორესურსებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ერთი გარემოებაც ადასტურებს: **რა არ გაუკეთეს გერმანულ ფირმებს ამერიკელებმა იმისთვის, რომ შეეწყვიტათ მუშაობა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პროექტზე, მაგრამ უშედეგოდ. ეს პროექტი წარმატებით ხორციელდება და სადაცაა, დასრულდება. ამით, ფაქტობრივად, მოხდა იმის დემონსტრირება,** რომ დასავლეთი რაღაც გეოპოლიტიკური მონოლითი კი არ არის, რომლის შემადგენლობაშიც ცალკეულ სახელმწიფოებს თავიანთი ინტერესები უკანა პლანზე აქვთ გადაწეული საერთო ღირებულებებისთვის, არამედ იქ არის აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესებიც...

**— თუმცა ვაშინგტონიც მივიდა დასკვნამდე, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ს ვერ აჩერებს და სანქციები მოუხსნა რუსეთს, თანაც ეს გადაწყვეტილება ისე მიიღეს, რომ უკრაინა საქმის კურსშიც არ ჩააყენებიათ...**

— რა თქმა უნდა, ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ არც უკრაინა და არც საქართველო არ არიან რაღაც ზემნიშვნელობის დასავლეთისთვის, როგორც ამას ჩვენ გვიხატავენ... რაც შეეხება რუსეთს, რომელსაც გარკვეული პროპაგანდა ისე წარმოგვიდგენს, თითქოს დაშლის პირას მყოფი ქვეყანაა, ვისაც ამის სჯერა, შევახსენებ, რომ რუსეთი არის სახელმწიფო, რომელმაც ბოლო 5-10 წლის განმავლობაში შეიარაღება 70%-ით განაახლა; ასევე, მოდერნიზება ჩაუტარა სარაკეტო კომპლექსებს, საზღვაო ძალებს, ავიაციას, არტილერიას და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც იმაზე მეტი ენერგორესურსები აქვს, ვიდრე ევროპის ყველა ქვეყანას ერთად აღებულს. ახლა ეკონომიკას შევხედოთ: კი, რუსებს აქვთ ეკონომიკური პრობლემები, მაგრამ პრობლემები ყველას აქვს კოვიდ-პანდემიის პირობებში. როცა რუსეთზე უფრო გამართული ეკონომიკის მქონე ქვეყნებსაც ძალიან გაუჭირდათ, მაგალითად, ევროკავშირის წევრ იტალიას, რუსეთს უცებ გამოუჩნდა ვეებერთელა სარეზერვო თანხა, რომლითაც მედპერსონალს გაუუმჯობესა პირობები, იქ ექიმებს მიეცათ სახელფასო დანამატები, პრემიები და ა.შ. რუსეთი, ფაქტობრივად, მზად აღმოჩნდა ყველა გამოწვევისთვის, რომლებიც დაკავშირებული იყო ეპიდემიასთან თუ პოლიტიკასთან; რაც მთავარია, მზად აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ ყველაფრის ფონზე ზუსტად ეპასუხა ნატოს წვრთნებისთვის. ვგულისხმობ იმას, რომ ნატოს ყველა წვრთნის პარალელურად რუსებმაც ჩაატარეს წვრთნები, მათ შორის შავ ზღვაშიც, წყნარ ოკეანეშიც და ა.შ.

**— ინტერვიუს დასაწყისში რამდენიმეჯერ ახსენეთ დიალოგის აუცილებლობა, ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში რუსეთთან დიალოგზე საუბარიც კი სარისკოა. ნებისმიერი სუბიექტი, პარტია თუ ცალკეული პოლიტიკოსი, რომლებიც ამ საკითხს წამოწევენ, მაშინვე ლიბერალური პროპაგანდის სამიზნეში ხვდებიან. ამ ვითარებაში გამოსავალი რა შეიძლება იყოს?**

— დიალოგი არ არის თვითმიზანი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ვაწარმოოთ. დიალოგი ობიექტური აუცილებლობაა. ის პროპაგანდა, რომელიც თქვენ ახსენეთ, გვთავაზობს, მუდმივ კონფრონტაციაში ვიყოთ ზესახელმწიფოსთან; ვიყოთ იმის იმედად, რომ ჯარით ნატო დაგვიცავს, ხოლო ეკონომიკურად — ევროკავშირი. არ მგონია, ეს ზღაპარი მათაც სჯეროდეთ, მაგრამ, თუ ვინმეს სჯერა, ვეკითხები — **როგორ დაგვიცავს რუსეთისგან ის ევროპა, რომელსაც თავისი უსაფრთხოება ვერ წარმოუდგენია რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლად?!** სხვათა შორის, ახლახან ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე საქართველო და უკრაინა სერიოზულად არც უხსენებიათ. რატომ? ძალიან მარტივი მიზეზის გამო, იმიტომ, რომ **არც საქართველო და არც უკრაინა როგორც რუსეთისთვის, ისე ამერიკისთვის, სტრატეგიული ამოცანა არ არის. აი, ესაა რეალობა და არა ის, რომ თურმე ვაშინგტონში ღამე არ სძინავთ ნატოში საქართველოს მიღებაზე ფიქრით...** ჩვენთვისვე იქნება უკეთესი, რაც უფრო მალე გამოვალთ ამ ზღაპრებიდან, თორემ რუსეთს საკმარისზე მეტი ძალა აქვს საკუთარი ინტერესების დასაცავად, ევროპასაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. ეს ჩვენ ვიქნებით დაზარალებული და ჩვენზე გადატყდება ჯოხი, ისევე, როგორც 2008 წელს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## „საქართველოში ომის ვეტერანების შთამომავლებიც კი მოწამლულნი არიან, ანტისაბჭოთა პროპაგანდის მსხვერპლნი, და არად დაგიდევენ წინაპართა თავდადებას“.

დისკუსია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უნდა განვაგრძოთ თუ არა საუბრები დიდ სამამულო ომზე?

დიდი სამამულო ომის დაწყების მე-80 წლისთავზე „საქართველოს უკვდავი ჯარის“ დამფუძნებელმა გულბაათ რცხილაძემ გამართა შეხვედრა-დისკუსია, რომელიც არა მხოლოდ დიდ სამამულო ომს, არამედ ქვეყანაში შექმნილ უმნიშვნელოვანეს პრობლემებსაც მიეძღვნა. შეხვედრას ესწრებოდნენ ჟურნალისტები, ბლოგერები, ისტორიკოსები და ა.შ.

### „არც მთავრობას და არც ოპოზიციას არ აინტერესებთ დიდ სამამულო ომთან დაკავშირებული ღონისძიებები“

**გულბაათ რცხილაძე,** „საქართველოს უკვდავი ჯარის“ დამფუძნებელი:

— არც მთავრობას და არც ოპოზიციას არ აინტერესებთ დიდ სამამულო ომთან დაკავშირებული ღონისძიებები. მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლები დროდადრო გადიან „უცნობი ჯარისკაცის“ საფლავზე, მაგრამ იქ მისულნი, უფრო ხშირად ომსა და გამარჯვებაზე კი არა, საშინაო პრობლემებზე აკეთებენ განცხადებას. ჩვენ, სულ რამდენიმე ადამიანი, ვცდილობთ, პატივი მივაგოთ დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას და არც ერთ მნიშვნელოვან თარიღს არ ვტოვებთ უყურადღებოდ, მაგრამ ჩვენ გვერდით არ არიან ომის მონაწილეთა შთამომავლები... დღეს სადისკუსიოდ გამომაქვს საკითხი — **ღირს კი, გავაგრძელოთ სამამულო ომზე საუბრები, მნიშვნელოვან თარიღებზე შეკრებები?!** არსებობს ვებგვერდი „დიდი სამამულო“, მაგრამ იქ გამოქვეყნებულ მასალებს ცოტა თუ ვინმე ეცნობა.

### „ერს არ აქვს მომავალი, თუ წარსულს დაივიწყებს“

**ვიქტორ ცაავა,** ბლოგერი:

— აუცილებლად უნდა გაგრძელდეს დიდ სამამულო ომზე საუბრები, ისტორიული ფაქტები სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ; რასაც ლიბერალები მალავენ, იმაზე ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ. ისტორიის გაყალბება ბრძოლაა ჩვენს წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში უკომპრომისონი უნდა ვიყოთ.

ერს არ აქვს მომავალი, თუ წასულს დაივიწყებს.

### „ისტორიის რევიზიონისტების წინააღმდეგ კონტრზომებია გასატარებელი“

**გულბაათ რცხილაძე:**

— ისტორიის რევიზიონისტების წინააღმდეგ კონტრზომებია გასატარებელი. **რუსეთის სათათბირომ მიიღო კანონი, რომლის თანახმად, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ნაცისტური გერმანიის როლების გათანაბრება დასჯადია.** კანონში ცვლილება შეიტანეს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების უკვდავსაყოფად. ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ სტალინი არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ ყველა სფეროში პოპულარობით პირველ ადგილზეა — 2012 წლიდან მოყოლებული მოსახლეობის 39-40 პროცენტი თვლის, რომ სტალინი უდიდესი ფიგურა და უდიდესი მოვლენაა რუსეთის ისტორიაში. საინტერესოა, საქართველოში რომ ჩატარდეს მსგავსი კვლევა, რა შედეგს მივიღებთ.

### „ჩვენი ახალგაზრდები, სამწუხაროდ, ზუსტად იმას იმეორებენ, რასაც საინფორმაციო საშუალებებით ისმენენ; არ ცდილობენ, გაერკვნენ ისტორიაში, ეძებონ ზუსტი წყაროები, შეისწავლონ დეტალები“

**ტარიელ გაგნიძე,** არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი:

— თუკი საქართველოშიც ჩატარდება კვლევა პოპულარობის რეიტინგის დასადგენად, არასახარბიელო შედეგს მივიღებთ. რუსეთშიც არის ანტისტალინური, ანტიკომუნისტური და, ასე ვთქვათ, ანტისაცხრამაისო განწყობები, მაგრამ ასევე არის პროპაგანდა — დიადი გამარჯვება, დიადი სამშობლო, თავდადება და ა.შ., რაც ჩვენთან არ არსებობს. საქართველოში ანტისაბჭოთა პროპაგანდა, დიდი ხანია, დაიწყო, საბჭოთა კავშირის დანგრევამდეც კი, რამაც მომავალ თაობებს დაღი დაასვა. **საქართველოში ომის ვეტერანების შთამომავლებიც კი მოწამლულნი არიან, ანტისაბჭოთა პროპაგანდის მსხვერპლნი, და არად დაგიდევენ წინაპართა თავდადებას.**

ჩვენი ახალგაზრდები, სამწუხაროდ, ზუსტად იმას იმეორებენ, რასაც საინფორმაციო საშუალებებით ისმენენ; არ ცდილობენ, გაერკვნენ ისტორიაში, ეძებონ უფრო ზუსტი წყაროები, შეისწავლონ დეტალები. სწორედ ამიტომ, თუკი საბჭოთა პერიოდზე რამე კვლევა ჩატარდება საქართველოში, კარგ შედეგს არ მოიტანს.

### „მიზანმიმართულად ხდება დიდი სამამულო ომის მივიწყება, აბუჩად აგდება და ფაშიზმთან გათანაბრება“

**გიორგი მდივანი,** ბლოგერი:

— ვაკვირდებოდი „რადიო თავისუფლების“ პუბლიკაციებს 9 მაისზე, მათი 95 პროცენტი იყო უარყოფითი — როგორ აუპატიურებდნენ საბჭოთა ჯარისკაცები ქალებს, ძარცვავდნენ, მაროდიორობდნენ... მიზანმიმართულად ხდება მეორე მსოფლიო ომის და განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის მივიწყება და ფაშიზმთან გათანაბრება. შარშან **დონალდ ტრამპმა,** აშშ-ის პრეზიდენტმა, განაცხადა: ბრიტანელებმა და ამერიკელებმა დავამარცხეთ ფაშიზმიო. ეს გლობალური პრობლემაა და, რაც დრო გადის, მით უფრო იდგამს ფესვებს.





### „ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო უსერიოზულესი პრობლემაა“

**გულბაათ რცხილაძე:**

— **უსერიოზულესი პრობლემაა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელშიც აჯაფსანდალივითაა არეული ყველაფერი. მეორე მსოფლიო ომზეა საუბარი და დიდი სამამულო ომი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო მსოფლიო ომისა, ნახსენებიც არ არის, პორტრეტებიც მონტგომერისა და ეიზენჰაუერისაა ჩასმული...**

საქართველოში ვილაცეები ცდილობენ, იზეიმონ დიდგორობა, რომელზეც თურქეთის ელჩმა თქვა: თუკი ერთიანი საქართველოს ზეიმს აღვნიშნავთ, რატომ ვუწოდებთ მას მტერზე გამარჯვებას, ჯობია, ეს დღე ერთად აღვნიშნოთო...

ელჩმა, შესაძლოა, სულაც არ იცოდეს დიდგორის ბრძოლის ისტორია. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ ჩვენ, ქართველები, გადაგვარჩინა. დღევანდელი თურქეთი სამართალმემკვიდრედ თვლის თავს იმ თურქ-სელ?უკებისა, რომლები? დიდგორის ომში იბრძოდნენ, ეს ფაქტები ელჩმა არ იცის. საქართველოში კი არ არსებობს ადამიანი, რომელიც თურქეთის ელჩს ჩვენს ისტორიას, დიდგორის ომის ისტორიას გააცნობს. მას სხვა ინფორმაცია აქვს და თვლის, რომ დიდგორობა თურქეთთან ერთად უნდა აღინიშნოს.

### „ყივჩაღებს უკვირთ, რატომ არ აღვნიშნავთ დიდგორობას მასშტაბურად“

**აკაკი (მამუკა) კარტოზია,** ისტორიკოსი, პროფესორი:

— ჩვენ, რამდენიმე ადამიანმა, სამი წლის წინათ ჩამოვაყალიბეთ საზოგადოება „დიდგორი“, რათა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში

ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი სათანადო პატივი მიგვეგო.

**ყაზახეთში ყივჩაღების დიდი საერთაშორისო ორგანიზაციაა შექმნილი, რომელსაც ყოფილი პრეზიდენტი ნაზარბაევი აფინანსებს. მათ მსოფლიოს 70 ქვეყანაში აქვთ ნაკვალევი, ყველაზე მეტად კი — უნგრეთში.**

სტუმრად გვყავდა ყივჩაღი, კაცი, რომელიც ამბობს, რომ საერთო მტერი დაამარცხეს საქართველოსთან ერთად — ეს ისტორიულად ცნობილი ფაქტი და დავით აღმაშენებლის გენიალური სტრატეგიის ნაწილია. ყივჩაღები თვლიან, რომ **დავით მეფე,** რომლის სტრატეგიაც მსოფლიოშია აღიარებული, ქართველების უდიდესი საგანძურია. ყივჩაღებს უკვირთ, რატომ არ აღვნიშნავთ დიდგორობას მასშტაბურად.

ჩვენი ორგანიზაციის ძალისხმევით მოვახერხეთ პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილთან** შეხვედრა და ის ბევრ რამეს დაგვპირდა, ასევე შევხვდით პრემიერმინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** და ეს შეხვედრა გაიმართა დიდგორობას, მაგრამ ამ დღის პომპეზურად აღნიშვნაზე კატეგორიული უარი მივიღეთ. გვითხრეს, თურქეთია უარზეო.

შემდეგ **შევხვდით პარლამენტარ ნუკრი ქანთარიას და მისი დახმარებით პარლამენტში შევიტანეთ კანონპროექტი „დიდგორობის“ აღნიშვნის შესახებ, გვინოდა, ეს დღე დასვენების დღედ გამოცხადებულიყო, როგორც აგრესიაზე გამარჯვების დღე, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. „დიდგორობის“ სახალხო დღესასწაულად გამოცხადების კანონპროექტი პირველი მოსმენით გავიდა, მეორე მოსმენისას კი, როგორც ქანთარიამ გვითხრა, სირბილით მოვიდა თურქეთის ელჩი და კატეგორიულად მოითხოვა, დიდგორობაზე უარი გვეთქვა. კანონპროექტი ჩავარდა.**

დღეს პარლამენტში არის ფრაქცია, სახელწოდებით „ევროპელი სოციალისტები“, რომლის ხელმძღვანელიც არის **ფრიდონ ინჯია.** ხომ შეიძლება ვთხოვოთ, წამოაყენოს ინიციატივა, რომ ღირსეული პატივი მივაგოთ სამამულო ომში დაღუპულ წინაპრებს და ეს ყველაფერი კანონით იყოს გათვალისწინებული?

### „თუ ვისაუბრებთ დიდ სამამულო ომზე, გმირობებზე, სამშობლოსთვის თავდადებაზე, გვექნება მძლავრი იარაღი სატანის წინააღმდეგ“

**ზაზა დავითაია,** ჟურნალისტი:

— დავუბრუნდები თემას: საჭიროა თუ არა, ვისაუბროთ დიდ სამამულო ომზე? დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს გააფთრებული ომი ზნეობასა და უზნეობას შორის. ამ ომს სხვადასხვა წახნაგი აქვს. გარკვეულ ეტაპზე სწორედ საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა ერთ-ერთი წახნაგის შემაკავებელი, რაც ძალიან კარგად იციან ნეოლიბერალებმა, სატანისტებმა. ისინი ცდილობენ, გააშარჟონ და არად ჩააგდონ დიდი სამამულო ომიც და ფაშიზმის დამარცხებაც.

**ჩვენ თუ ვისაუბრებთ დიდ სამამულო ომზე, გმირობებზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე, ვფიქრობ, გვექნება მძლავრი იარაღი სატანის წინააღმდეგ. თუ დავივიწყებთ წარსულ დიდებულ ხანას, ეს იარაღის დაყრის ტოლფასი იქნება.** დიდი სამამულო ომის დავიწყება შეუძლებელია, სურთ ეს ჩვენს ხელისუფლებებს თუ არა, ხალხი მაინც ინახავს ომში დაღუპულთა საფლავებს, უვლის და პატივს მიაგებს, ეს წარუშლელი ისტორიაა ქართველებისთვის. ბოროტება ვერ მოგვერევა, სანამ საფლავის პატივისცემა ჯერ კიდევ გვაქვს.

### „ყველა არარაობა გაფეტიშებულია, ეს ღუპავს ქართველ საზოგადოებას“

**ტარიელ სუხიაშვილი,** სამოქალაქო აქტივისტი:

— ყველაფერი ცუდი გადამდებია, კარგი — მისაბაძი. კარგს რომ მიბაძო, ძალისხმევაა საჭირო, ძალისხმევას გონება სჭირდება. ბოლო 30 წლის განმავლობაში ხალხს ტვინი გამოურეცხეს. ყველა ეპოქასა და ყველა ერში უმთავრესი საზოგადოება იყო, **დღეს ცდილობენ, გაქრეს საზოგადოება და წინ წამოიწიოს ინდივიდმა, ყველა არარაობა გაფეტიშებულია, ეს ღუპავს ქართველ საზოგადოებას.**

გამოსავალს ვერ ვხედავ, როდესაც მესმის, რომ თურქეთის ელჩი წყვეტს საკითხს, რომლის განხორციელებაც სულითა და გულით სურს ქართველს, და წყვეტს ისე, რომ ქართველი საზოგადოების, ხალხის სურვილი ჩაახშოს.

**ტარიელ გაგნიძე:**

— თურქებსა და აზერბაიჯანელებს გამოცხადებული აქვთ — ერთი ხალხი ორად გაყოფილი სახელმწიფო, ერთი არმია. რა უშლის ხელს ამ ერთი ხალხის ორი სახელმწიფოს გაერთიანებას? მათ შორის საქართველოა უადგილოდ „გაჩხერილი“. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს და ვითვალისწინებდეთ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ საბჭოთა კავშირის დანარჩენი რესპუბლიკები საერთო სახალხო დოვლათის განიავებისა და ერთეულების მიერ ფაბრიკა-ქარხნების მიტაცების გზით წავიდნენ, ბელარუსში საერთო სახალხო დოვლათის გადარჩენისა და საბჭოთა პერიოდში აშენებული საწარმოების შენარჩუნების გზა აირჩიეს, რომელიც დასავლეთისთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ამ გზას ის შედეგი არ მოჰქონდა, რომელი შედეგიც სხვა რესპუბლიკებში ფორსირებულ პრივატიზაციას მოჰყვა — დასავლეთის მიერ რესპუბლიკების სრული კოლონიალიზაცია.**



# შეადარეთ, რათა აღმოაჩინოთ... ბელარუსი და საქართველო

## ვალერი ქვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## ოცდამეორე გამოშვება

**შედარება მხოლოდ ლიტერატურული ხერხი არ არის, იგი მეცნიერული კატეგორიაცაა. შედარებას ფილოსოფიაც იყენებს და რელიგიაც. საერთოდ, შედარება შესანიშნავი მეთოდია საგნის ან მოვლენის არსში წვდომისა და შეფასებისთვის. სწორ გზას ვადგავართ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოს დამოუკიდებლობა გაერომ აღიარა?**

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, ვითარების ანალიზის სხვა ფორმებთან ერთად, შედარებაც გამოგვადგება. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან შესადარებლად **ბელარუსი** გამოვიყენოთ, რომელმაც იმთავითვე ჩვენგან განსხვავებული გეზი აიღო...

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს თითქმის ერთნაირი ხვედრი ერგოთ. სოციალისტური სისტემა ყველგან საბაზრო ურთიერთობებმა და ველური კაპიტალიზმის მგლურმა კანონებმა ჩაანაცვლა. ქონებრივი ცენზის თვალსაზრისით ყველგან მოხდა საზოგადოების მკვეთრი დიფერენციაცია (უმცირესობის გამდიდრება და უმრავლესობის გაღატაკება). ერთადერთი გამონაკლისი ბელარუსი იყო, რომელსაც ეს ყოველივე არ შეხებია.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბელარუსმა განვითარების სხვებისგან განსხვავებული გზა აირჩია. დასავლეთიდან მთელი სახელმწიფო ქონებისა და წარმოების საშუალებათა დაუყოვნებლივი პრივატიზაციის დირექტივა მოდიოდა, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მოსახლეობის უმრავლესობას შოკში აგდებდა და გამოუვალ მდგომარეობას უქმნიდა. ხალხის მიერ „პრიხვატიზაციად" (ნაწარმოებია რუსული სიტყვისგან — მიტაცება) მონათლული პრივატიზაციის დანაშაულებრივი პროცესი, რომელმაც ყოფილ საბჭოეთს ცუნამივით გადაუარა და მიწასთან გაასწორა, ბელარუსს არ შეხებია. **თუ საბჭოთა კავშირის დანარჩენი რესპუბლიკები საერთო სახალხო დოვლათის განიავებისა და ერთეულების მიერ ფაბრიკა-ქარხნების მიტაცების გზით წავიდნენ, ბელარუსში საერთო სახალხო დოვლათის გადარჩენისა და საბჭოთა პერიოდში აშენებული საწარმოების შენარჩუნების გზა აირჩიეს, რომელიც დასავლეთისთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ამ გზას ის შედეგი არ მოჰქონდა, რომელი შედეგიც სხვა რესპუბლიკებში ფორსირებულ პრივატიზაციას მოჰყვა — დასავლეთის მიერ რესპუბლიკების სრული კოლონიალიზაცია.** ბელარუსის პრეზიდენტად 1994 წელს არჩეულმა **ალექსანდრე ლუკაშენკომ** თავისი ამ გადაწყვეტილებით დასავლეთი თავიდანვე გაანაწყენა. მიუხედავად ამისა, აშშ რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა თავისი პოლიტიკის ბელარუსისთვის თავს მოხვევას. პრეზიდენტი ლუკაშენკო სახალხო ინტერესების დაცვის მის მიერვე არჩეული გზიდან გადახვევას არ აპირებდა, თუმცა, ამის მიუხედავად, დასავლეთთან თანამშრომლობაზე უარი არასოდეს განუცხადებია. აშშ ლუკაშენკოს ამ განწყობით, რომელიც პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის სურვილში გამოიხატებოდა, ბოროტად სარგებლობდა. 1996 წელს აშშ-თან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე რესპუბლიკიდან გაიტანეს საკონტინენტთაშორისო რაკეტები ბირთვული ქობინებით — PC-12M, რაც ბელარუსის სამხედრო პოტენციალისთვის საზიანო იყო, მაგრამ, **ვინაიდან ბელარუსის უსაფრთხოების გარანტიები ორმხრივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ ორივე ქვეყნის სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში იყო ჩაწერილი, საერთაშორისო მშვიდობის განსამტკიცებლად, ბელარუსი ამ თანამშრომლობაზე და ამ დათმობებზეც მიდიოდა.** ამის მიუხედავად, ურთიერთობები, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე გაფუჭდა. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან **აშშ-ს არ სჭირდება ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა, მას სჭირდება სიუზერენისა და ვასალის დამოკიდებულება, კოლონიზატორისა და კოლონიის დამოკიდებულება, რომელსაც, დანარჩენი რესპუბლიკებისგან და თვით ელცინის რუსეთისგან განსხვავებით, პრეზიდენტი ლუკაშენკო არ დათანხმდა.**

2004 წლის სექტემბერში აშშ-ში საჯაროდ განაცხადეს, რომ ხელისუფლებიდან პრეზიდენტ ლუკაშენკოს ჩამოცილებას შეეცდებოდნენ. ამერიკელთა ეს განზრახვა ავადმოსაგონარმა სენატორმა **ჯონ მაკეინმა** გაახმოვანა: **„ჩვენ ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ბელარუსი გავათავისუფლოთ ტირანიისგან. პრეზიდენტ ლუკაშენკოს რეჟიმის შეცვლას ვგეგმავთ არა იარაღის გამოყენებით, არამედ საერთაშორისო ზეწოლის გზით".** აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ერთხმად დაუჭირა მხარი ბელარუსისა და პირადად პრეზიდენტ ლუკაშენკოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებას. ე.წ. „ბელარუსის დემოკრატიზაციის აქტი" შეიცავდა მრავალ პუნქტს, დაწყებულს პოლიტპატიმრების გათავისუფლების დირექტივით და დამთავრებულს ეუთოს სტანდარტებით არჩევნების ჩატარების მოთხოვნით.

ეს აქტი აშშ-ის პრეზიდენტისგან მოითხოვდა, რომ დოკუმენტის ძალაში შესვლიდან 90 დღის განმავლობაში კონგრესისთვის წარედგინა სპეციალური მოხსენება ბელარუსის ტერიტორიიდან შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების იმ სახელმწიფოებისთვის მიწოდების შესახებ, რომლებიც მხარს უჭერდნენ საერთაშორისო ტერორიზმს. 2004 წლის 21 ოქტომბერს პრეზიდენტმა **ბუშმა** ხელი მოაწერა ხსენებულ აქტს და იმ დღიდან ბელარუსი კოლექტიური დასავლეთის სამიზნეში მოექცა.

ჩნდება კითხვა — **რას ერჩიან ან ბელარუს ხალხს, ან პრეზიდენტ ლუკაშენკოს?** ეს შეკითხვა მხოლოდ ბელარუსს როდი ეხება. ეს შეკითხვა გასაღებია იმ საიდუმლოში შესაღწევად, რა მიზნებს ისახავენ აშშ და კოლექტიური დასავლეთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში. მოდი **დავაკვირდეთ, რა არ მოსწონთ ბელარუსში, რა სიტუაციაა იქ შექმნილი, რომელიც დასავლეთს პრეზიდენტ ლუკაშენკოს მიმართ ასე დაუფარავი სიძულვილითა და აგრესიით განაწყობს?**

დასავლეთში ლუკაშენკოს ოთხი პოზიცია აცოფებთ:

**1. ბელარუსში შენარჩუნებული სოციალისტური ტენდენციები;**

**2. ბელარუსში დასავლეთიდან წამოსული რუსოფობიის საწინააღმდეგო განწყობილებები;**

**3. ბელარუსის მიერ აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის, როგორც სიუზერენისა და უფროსის მიუღებლობა;**

**4. გარყვნილების დასავლური პროპაგანდის მიუღებლობა.**

პრეზიდენტი ლუკაშენკო პირველ საკითხზე ასე მსჯელობს: „Когда инвестор заинтересован в приобретении какого-то предприятия, возникает вопрос, что будет с работниками — новый хозяин планирует уволить многих из них. Я спрашиваю: и что мне делать с этими людьми? Ответа нет. Нам такие предложения не нужны. Главное, это люди!"

Главное, это люди! — ეს წმინდა წყლის სოციალისტური სულისკვეთებაა, სოციალისტური მიდგომა და ფორმულაა: არა მოგება, არამედ — ადამიანების მოთხოვნების დაკმაყოფილება. ესაა ყველაზე დემოკრატიული ფორმულაც, ვინაიდან დემოკრატიის მთავარი მოქმედი გმირი ხალხია და არა მდიდართა კლასი ან ის ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ყველა დროში, იგდებენ რა ხელში სახელმწიფო ძალაუფლებას, პროგრესული ცნებებით მანიპულირებენ და ხალხის სახელით ჟონგლიორობენ. **მხოლოდ განხორციელებულ სოციალიზმს შეიძლება დემოკრატია ეწოდოს, ვინაიდან დემოკრატია სოციალიზმის გარეშე ყოველთვის პოლიტიკური მირაჟი და სახელმწიფოებრივი შულერობაა! მიუხედავად ამისა, პრეზიდენტ ლუკაშენკოს ორთოდოქს სოციალისტად და, მითუმეტეს, ორთოდოქს კომუნისტად ვერ მონათლავ, ვინაიდან მისთვის მთავარი ხალხის კეთილდღეობაა და არა იდეოლოგიური მიმართულებები და სოციალურ-ეკონომიკური სისტემები.**

პრეზიდენტი ლუკაშენკო გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტთან საუბარში პირდაპირ აცხადებს:

„В душе я — социалист. Социализм — это то общество, которое мы пытаемся в Беларуси построить, общество справедливости, социальной справедливости, чтобы не было большой разбежки между бедными и богатыми. Ведь социализм не отрицает частной собственности. Я ее тоже не хочу отрицать. Но это должна быть частная собственность, выстраданная тобой, твоими руками созданная".

პრეზიდენტი ლუკაშენკო მისი სოციალისტური მსოფლმხედველობით არ უპირისპირდება არც კერძო ეკონომიკურ ინიციატივებს და არც ბაზრის როლს უარყოფს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ყველაფერი ხალხის სამსახურში დგას:

„Инициативу человека душить нельзя. Хочет человек — дай ему возможность. Но честно. Социализм этому не противоречит. Я склонен больше к этому.

▶



**დასავლეთს არ მოსწონს ის, ვინც საკუთარ ხალხს მონური შრომისა და ექსპლოატაციისთვის არ იმეტებს და მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. დასავლეთს არ მოსწონს ის, ვისაც დასავლეთის კარნახით ცხოვრება არ მოსწონს! დასავლეთს არ მოსწონს ის, ვისაც რუსეთთან პარტნიორობის სურვილი გაუჩნდება! დასავლეთს არ მოსწონს ის, ვინც გარყვნილების გზით სიარულს ზნეობის სადარაჯოზე დგომას ამჯობინებს! ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო დასავლეთის ამ კრიტერიუმებით ყველაზე საშიშ მმართველად გამოიყურება**

# დასავლეთს სურს, რომ ბელარუსიც ისევე დააინფიციროს რუსოფობიით, როგორც ეს ბალტიის რესპუბლიკებში, უკრაინაში, საქართველოში გააკეთა, მაგრამ ბელარუს ხალხსა და პრეზიდენტ ლუკაშენკოს რუსეთთან პარტნიორობაზე ხელი ვერ აალებინეს, რადგან ბელარუსში იციან, რომ ეს, პოლიტიკური არჩევანი კი არ არის, მათი ბუნებრივი მდგომარეობა და სუბსტანციური მოცემულობაა.

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Вы знаете, нам надо учиться у Китая. Не надо ломать, не надо крошить, не надо Компартию гробить. Посмотрите, как они приспосабливаются к новому (а у нас же условия были лучше тогда в Советском Союзе — мы опередили бы Китай). Нам надо этим путем идти, не ломая ничего".

პრეზიდენტი ლუკაშენკო ამ ურთულეს სოციოლოგიურ კატეგორიებზე ზედაპირულად კი არ მსჯელობს, საკითხებს მეცნიერული სიღრმით განიხილავს, მიზეზ-შედეგობრიობის თვალსაზრისით აანალიზებს და დიალექტიკურ მთლიანობაში წარმოიდგენს:

„Олигархов мы видим, и знаем, и встречаемся со многими, и предлагаем им проекты. Но у нас есть условия. По приватизации 25 условий. Готовы их соблюдать приходите. Мы видим людей, которые, конечно же, хотят здесь что-то урвать. И мы знаем, где они хотят урвать. Они не идут на те предприятия, которые сегодня изголодались по инвестициям, где надо вложиться, а их интересуют те, которые сегодня хорошо работают, у которых есть сырье и рынки. Так мы и сами там успешно работаем. 170 процентов рентабельность даже в тяжелом прошлом году была у Белорусской калийной компании. Ну, скажите, зачем нам ее продавать? По дешевке мы поставляем калийные удобрения в свое сельское хозяйство. Что, частник это будет делать? Нет. А это государственное предприятие сегодня. Недра государственные, к примеру, и они должны работать на государство.

ბატონი ლუკაშენკო სოციალისტური და საბაზრო ეკონომიკების ელემენტების შერწყმის პროცესში არსებულ სიძნელეებსაც აცნობიერებს და ზოგ შემთხვევაში შეუთავსებლობის ბარიერებსაც ხედავს, მაგრამ, სადაც წინააღმდეგობას აწყდება, საკითხის ხალხის სასარგებლოდ გადაწყვეტის მომხრედ რჩება:

„Говорят: „Лукашенко боится частника и частной собственности, поскольку это угроза власти". Да будет вам... С частником гораздо проще работать, чем с государственным предприятием. Поэтому ничего я не боюсь. Я хочу только одного чтобы эти предприятия обеспечили мало-мальски нормальную жизнь 10 миллионам человек, которые здесь живут. Вот и всё. Простая арифметика. Если это социалистическая идеология значит, я социалист".

**მეორე საკითხი, რომლის გამოც ბელარუსის პრეზიდენტი დიქტატორად მონათლეს, იყო დასავლეთის წინაშე ქედის მოდრეკასა და თამაშის იმ წესების მიღებაზე უარის თქმა, რომლებიც, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინების ნაცვლად, მხოლოდ დასავლეთის ინტერესების დაკმაყოფილებაზე იყო გათვლილი ბელარუსი ხალხის ინტერესების საზიანოდ.**

პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მტკიცედ ალუდგა წინ დასავლეთის „მეხუთე კოლონის" ამოქმედებას, რომელსაც ქვეყნები ე.წ. „ფერადი რევოლუციების" გზით სახელმწიფო გადატრიალებებამდე მიჰყავს. ბელარუსის პრეზიდენტს არც დაუმალავს და არც შეულამაზებია მისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ: „Такие люди есть, которым надо взорвать обстановку в стране. Я их называю „пятой колонной". Никакая это не оппозиция. Я уделяю этому очень серьезное внимание. Настораживает то, что как только у нас зашевелилась „пятая колонна", появились желающие устроить нам тут заварушку. Вы должны понимать, что в мире таких людей не сотни тысяч, но тысячи есть, — специалистов, которые совершают провокации. Они, конечно же, управляются спецслужбами определенных государств. Эти провокаторы обычно востребованы там, где горячие точки".

**დასავლეთის „მეხუთე კოლონასთან" ბელარუსის პრეზიდენტი ისეთი უკომპრომისო და შეურიგებელი იყო, რომ 2008 წელს მან აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქვეყნიდან გააძევა. ინფორმაციის დასავლური საშუალებები ამ ფაქტს მათთვის სასურველ შეფერილობას აძლევდნენ და ყველაფერს ლუკაშენკოს ანტიდასავლურობით ხსნიდნენ, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით პრეზიდენტი ლუკაშენკო ამერიკელ ჟურნალისტთან ინტერვიუში ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს:**

— Зачем в Беларуси американский посол, если вы не хотите сотрудничать с нашей страной? Чем он будет здесь заниматься? Деньги привозить пятой колонне? Нам это не надо.

დასავლეთის მხრიდან ბელარუსის პრეზიდენტის მიმართ ამ აშკარად მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, თვითონ ლუკაშენკო ყოველთვის ღია იყო სათანამშრომლოდ. ევროკომისარ **იოჰანეს ჰანთან** შეხვედრისას იგი პირდაპირ აცხადებდა: „Мы всегда были хорошим транзитным окном для ЕС, никогда не запрещали вашему бизнесу движение ваших товаров, рабочей силы, капитала, но мы этого не видим со стороны ЕС. Я хочу, чтобы вы понимали: мы будем настаивать на том, чтобы Европейский союз точно так же открывался для нас, как мы открыты для вас".

მესამე საკითხი, რუსეთთან დამოკიდებულებაა. **დასავლეთს სურს, რომ ბელარუსიც ისევე დააინფიციროს რუსოფობიით, როგორც ეს ბალტიის რესპუბლიკებში, უკრაინაში, საქართველოში გააკეთა,** მაგრამ ბელარუს ხალხსა და პრეზიდენტ ლუკაშენკოს რუსეთთან პარტნიორობაზე ხელი ვერ აალებინეს, რადგან ბელარუსში იციან, რომ ეს, პოლიტიკური არჩევანი კი არ არის, მათი ბუნებრივი მდგომარეობა და სუბსტანციური მოცემულობაა. რუსეთისა და ბელარუსის ურთიერთობის მთელი ფილოსოფია პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ერთ უალრესად ემოციურ და მხატვრულად საოცრად დატვირთულ წინადადებაში ჩაატია: **„Ребята, вопрос, с кем мы, с Западом или Россией, не задавайте, он не стоит. Это не вопрос для нас, Россия — это родное..."**

## საქართველოს ხელისუფლება ბელარუს ხალხსა და პრეზიდენტ ლუკაშენკოს კი არ უჭერს მხარს, უკრაინის ფაშისტურ ხელისუფლებასთან აქვს კუდი გადაფსკვნილი. ასეთია განსხვავება ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მიდგომებსა და დამოკიდებულებებში. შედეგებიც შესაბამისია: ტერიტორიული, ეკონომიკური, სულიერი, მორალური, დემოგრაფიული თვალსაზრისით იავარქმნილი და განადგურებული საქართველო და ყოველმხრივ აყვავებული და წარმატებული ბელარუსი



მეოთხე მთავარი მომენტი, რომლის გამოც დასავლეთმა პრეზიდენტი ლუკაშენკო შეიძულა, **ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის მიუღებლობაა.**

ამ საკითხზე იგი არასოდეს მორიდებია აზრის დაუფარავად გამოთქმას: „Приехали тут великие деятели правильной и неправильной ориентации и меня уже начали упрекать в том, что я, видите ли, осудил голубятню эту... Ну не нравятся мне голубые, я и сказал, что не нравятся. Видите ли, отдельные министры иностранных дел обиделись на меня. Чего на меня обижаться? Мы в демократическом обществе живем, тем более я президент и вправе высказать свою точку зрения и свою позицию. Я ему честно и сказал это в глаза. И за это, видите ли, они обижаются. Нормальный образ жизни надо вести. Мы его не приемлем, и нам не надо его навязывать. В Германии это возможно, в Польше — пожалуйста, пусть они этим и занимаются там, а нам сюда это не надо...".

პრეზიდენტ ლუკაშენკოს დასავლეთთან პარტნიორულ და თანაბარუფლებიან ურთიერთობაზე უარი არასოდეს უთქვამს, მაგრამ...

*** დასავლეთს არ მოსწონს ის, ვინც საკუთარ ხალხს მონური შრომისა და ექსპლოატაციისთვის არ იმეტებს და მის კეთილდღეობაზე ზრუნავს!**

*** დასავლეთს არ მოსწონს ის, ვისაც დასავლეთის კარნახით ცხოვრება არ მოსწონს!**

*** დასავლეთს არ მოსწონს ის, ვისაც რუსეთთან პარტნიორობის სურვილი გაუჩნდება!**

*** დასავლეთს არ მოსწონს ის, ვინც გარყვნილების გზით სიარულს ზნეობის სადარაჯოზე დგომას ამჯობინებს!**

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო დასავლეთის ამ კრიტერიუმებით ყველაზე საშიშ მმართველად გამოიყურება:

**2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დასავლეთმა ბელარუსში ნამდვილი ჯოჯოხეთი მოაწყო. პრეზიდენტობის კანდიდატი სვეტლანა ტიხანოვსკაია, რომელმაც ხმათა მხოლოდ ათი პროცენტის მოგროვება მოახერხა, დასავლეთმა პრეზიდენტად აღიარა. ეს გაგრძელება იყო იმ უგუნური ხაზისა საგარეო ურთიერთობებში, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ვენესუელაში ლეგიტიმურ და მოქმედ პრეზიდენტ მადუროს ნაცვლად ვინმე თვითმარქვია გუაიდო აღიარა. თვითმარქვია ტიხანოვსკაიას პრეზიდენტად აღიარებით დასავლეთ ბელარუსში მართვადი ქაოსის შექმნას შეეცადა,** საიდანაც მათ მიერ მრავალ ქვეყანაში აპრობირებულ **„ფერადი რევოლუციამდე" ნაბიჯი ლა რჩებოდა, მაგრამ პრეზიდენტმა ლუკაშენკომ და ბელარუსმა ხალხმა ამ მძიმე გამოცდას გაუძლეს.**

მაშ ასე, გვაქვს ორი მაგალითი. ერთი მხრივ, **საქართველო,** მეორე მხრივ, **ბელარუსი,** რომელთა პოზიციები და მიდგომები ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავდებიან.

საქართველო და მისი ლიდერები პოსტსაბჭოთა ეპოქის ყველა ეტაპზე მიესალმებოდნენ დასავლეთს და უპირისპირდებოდნენ რუსეთს, ლუკაშენკო კი ყველა ეტაპზე პარტნიორად აცხადებდა რუსეთს და დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა დასავლურ შემოთავაზებებს. საქართველოს პრეზიდენტები დაუნდობლად ანგრევდნენ, ძარცვავდნენ და ჰყიდდნენ ყველაფერს, რაც სოციალისტურმა ეპოქამ შექმნა, ბელარუსის პრეზიდენტი კი თვალისჩინივით **უფრთხილდებოდა ყველაფერს, რაც ბელარუსმა ხალხმა საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიიღო** — დაწყებული მატერიალური ღირებულებებით, წარმოების საშუალებებით, საწარმოო ძალთა ურთიერთობებით და დამთავრებული სოციალური სამართლიანობის იდეითა და, ზოგადად, სულიერი ღირებულებებით.

**სამი ათეული წელიწადია, საქართველოს პრეზიდენტები დაჩოქილი ეხვეწებიან დასავლეთს, — ქართველები ვართ, მაშასადამე — ევროპელები, მიგვიღეთ ევროკავშირში, მიგვიღეთ ნატოში!**

ალექსანდრე ლუკაშენკო კი, დასავლეთის მისამართით, ბელარუსი ხალხის სახელით სხვა რამეს ამბობს: **„Хочу, чтобы увидели в Беларуси суверенное, независимое государство, больше ничего от Запада не хочу!"**

რამდენიმე დღის წინათ ევროპამ მართლაც გამაოგნებელი ნაბიჯი გადადგა. 2021 წლის 22 ივნისს, ღამით, ბელარუსის მიმართ ახალი, უმკაცრესი სანქციები დააწესა. გასულელებულმა, გაბითურებულმა და გასასტიკებულმა ევროპამ ბელარუსი ხალხის სახელით პრეზიდენტ ლუკაშენკოსგან საკადრისი პასუხი მიიღო. აი, მცირეოდენი ამონარიდი ამ პასუხიდან: „Но от кого не ожидали участия в этом коллективном сговоре, так это от Германии. От тех, чьи предки уничтожили в Великой Отечественной войне не только каждого третьего белоруса, но и миллионы нерожденных детей...Прошло 80 лет, и что? Новая горячая война. Вы посмотрите: это что, символизм? Вчера ввели экономические санкции против наших людей и предприятий. 22 июня, ночью. Вот уж действительно, история так ничему их и не научила.Вы должны не просто каяться. Вы должны еще 100 лет стоять на коленях перед белорусским народом и молиться, что вы смогли родиться после той войны. Вы не душить нас должны. Вы на руках должны нас носить — немцы, поляки, так называемый Европейский союз. Потому что мы спасли вас от коричневой чумы. И не надо нас убаюкивать историями про оборонительные учения и миролюбие НАТО. Мы этого наелись с 41-го года, когда мы вам верили, и не извлекли уроков из истории, после победы подарив вам Восточную Европу (так называемые страны Варшавского договора) в обмен на ваши обещания, что вы никогда не сделаете шага в нашем направлении и не будете, как модно сейчас говорить, расширять НАТО на Восток. Вы как минимум лжецы, как максимум — подлецы".

შეადარეთ ეს ყველაფერი იმას, რაც საქართველოში ხდება. შეადარეთ ერთმანეთს დასავლეთის წინაშე მუხლებზე დაცემული ჩვენი პრეზიდენტები და ბელარუსის პრეზიდენტი. დააკვირდით: **საქართველოს ხელისუფლება ბელარუს ხალხსა და პრეზიდენტ ლუკაშენკოს კი არ უჭერს მხარს, უკრაინის ფაშისტურ ხელისუფლებასთან აქვს კუდი გადაფსკვნილი.** ეს არის განსხვავება ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მიდგომებსა და დამოკიდებულებებში. **შედეგებიც შესაბამისია: ტერიტორიული, ეკონომიკური, სულიერი, მორალური, დემოგრაფიული თვალსაზრისით იავარქმნილი და განადგურებული საქართველო და ყოველმხრივ აყვავებული და წარმატებული ბელარუსი,** რომელიც ეპოქალურ, ტოტალურ და გლობალურ ნგრევას გადაურჩა და განვითარების ისეთი ოპტიმალური გზა მოძებნა, რომელმაც ხალხს მსოფლიოს რყევებისა და რთული ისტორიული კატაკლიზმების ვითარებაშიც სტაბილურობისა და სიმშვიდის ატმოსფერო შეუნარჩუნა...

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ბელარუსში ყველა მიმართულებით იდეალური პირობები და ვითარებაა. მსოფლიოში ჯერ არ უარსებია და, ალბათ, ვერც მომავალში იარსებებს სახელმწიფო, რომელსაც პრობლემები არ ექნება გადასაჭრელი, მაგრამ ბელარუსისა და საქართველოს სახით ჩვენ გვაქვს ორი განსხვავებული მდგომარეობა: ბელარუსი, რომელიც უმკლავდება პრობლემებს და ვითარდება, და საქართველო, რომელიც იძირება პრობლემებში და ინგრევა...

**ვალერი კვარაცხელია**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავი მესაიძი**



**ქოცების ხელისუფლებას საჭირო ზომები რომ მიეღო, დღეს „თბილისი პრაიდის“ პრობლემა არ იარსებებდა. მაგრამ ყოვლისშემძლე და ყველა უზნეობის „გამპრავებელი“ ე.წ. გამოხატვის თავისუფლების შიშით „ქართულმა ოცნებამ“ ეს ვერ შესძლო და დღეს დასავლეთიდან დაფინანსებული მსგავსი პროფილის ორგანიზაციების რაოდენობა, როგორც მითხრეს, 170-მდეა.**

**როგორც დაანონსებულია, ა.წ. 4 ივლისს ოპერის წინ უნდა გაიმართოს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებული აქცია, რომლის მიზანიც საქართველოში ბოლო ხანს განსაკუთრებით მომძლავრებული ცნობილი ანტიეროვნულ-ანტიმართლმადიდებელი ძალების წინააღმდეგ მშვიდობიანი (ჯერჯერობით) პროტესტის გამოხატვაა; ძალების, რომლებიც ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის ნილაბაფარებულნი აქტიურად ეწევიან ლგბტ პირების „ფასეულობათა თუ ღირებულებათა“ პროპაგანდა-აგიტაციას ქართველ ახალგაზრდებში და, სამწუხაროდ, არცთუ წარუმატებლად.**

# ჰაინრიხ ბიოლის ფონდიდან «თბილისი პრაიდამდე»

ამ სატანისტების უპირველესი მიზანი სწორედ იმ ნამდვილი ფასეულობა-ღირებულებების უარყოფაა, რომლებითაც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა და დღემდე მოაღწია პლანეტა დედამიწის კულტურულმა საზოგადოებამ. როგორც **დავით თარხან-მოურავმა** „დაალაგა“, ეს არის 4 „არა“: **არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა რელიგიას, არა სქესს!** ჩემი მხრივ, ამ ლაკონურ ფორმულას, ზემოთ თქმული „არებიდან“ გამომდინარე, რამდენიმე „არას“ კიდევ დავუმატებ: **არა ოჯახის ინსტიტუტს, არა გმირ წინაპართა ხსოვნას, არა საქართველოს ისტორიის ცოდნას, არა სახელმწიფოებრიობას; არა უფროსის პატივისცემას; არა საზოგადოებრივ მორალს და ა.შ.** მორალურ-ზნეობრივი დაუწერელი კანონების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება.

მორალურ-ზნეობრივი კანონების უპირველესი მცველი საქართველოს მართლმადიდებელი დედაეკლესია და მისი უწმინდესობა, **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა,** რომელსაც ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლიდან დღემდე შეფარვითა თუ აშკარად ებრძვიან ე.წ. არასამთავრობოები, რომელთა ასალაგმავად არაფერს არ აკეთებს ვითომდაც ღვთისნიერი „ქართული ოცნება“ და ამიტომ 4 ივლისს დაანონსებული შეკრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაცვის, მის გვერდით დგომის ფუნქციასაც ატარებს.

**როგორი იქნება „პატრიოტთა“ მიერ დაგეგმილი აქცია, ამას 4 ივლისს ვნახავთ, მაგრამ რად გინდა — მეორე დღეს, 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ ლგბტ პირების ე.წ. ღირსების მარშია დაგეგმილი და, თუ კოლჰოტიან-პომადიან-საყურიანმა „ბიჭებმა“ დიდი ხნის ნანატრი აისრულეს და ბინძური უკანალების ქნევით 9 აპრილს დაღუპულთა სისხლი და ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძარი წაბილწეს, მაშინ?**

დიდი ხნის ნანატრი, რადგან ლგბტ პირების ალლუმის ჩატარების პირველი მცდელობა „წინააღმდეგობის მოძრაობის“ წევრებმა: **სოსო მანჯავიძემ, კოტე ინაშვილმა (ირმა ინაშვილს** ძმამ) და თქვენმა მონა-მორჩილმა ჩავშალეთ და პირველი სისხლიც ჩემი დაიღვარა. მოკლედ, 2012 წლის 17 მაისის მშვენიერ დილას „ზემელის“ კუთხეში ვიდექით და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე ვმასლაათობდით, რომ უეცრად ვერის უბნიდან მომავალი, დროშებითა და პლაკატებით „შეიარაღებული“ ახალგაზრდები დავლანდე. თავდაპირველად ვერ მივხვდი, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ, მაგრამ, როდესაც ლგბტ-ის ჭრელი ბაირაღი ვიცანი, მაშინვე კოტესა და სოსოს შევუძახე: არიქა, ბიჭებო, პედერასტები მოდიან და არ გავატაროთ-მეთქი. იქვე გამვლელ-გამომვლელი ბიჭებიც ჩავრთე საქმეში და „პადზემკასთან“ შევაჩერეთ.

ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა, პატრული და ა.შ. მოკლედ, კარგად გაილახნენ. პატრულმა კი, არ ვიცი, ნაცების ხელისუფლებას წყალი რომ ჰქონდა შემდგარი იმიტომ, თუ არ ვიცი, მათაც ჩვენსავით „უყვართ“ ქათმები (უფრო მეორე, ისინიც ხომ ქართველი კაცები არიან), ჩვენ ხელი არ გვახლეს, ის ლაწირაკები კი ჩატენეს მანქანებში და განარიდეს იქაურობას. ზემოთ რომ ვთქვი, ჩემი სისხლი დაიღვარა-მეთქი, ერთმა „ქათამმა“ ბანერი მომიქნია წარწერით „შენც გახდი გეი“, გამოვტაცე ხელიდან, თავზე გადავამტვრიე და ლურსმანი შემერჭო. სოსო მანჯავიძემ კი მამაშვილური ალიყური აჭამა, თუმცა ინციდენტი ამით არ ამოწურულა — „ქათმებმა“ საჩივარი შეიტანეს, ვიდეოკადრებში სოსო მანჯავიძე ამოიცნეს, რომელიც მეორე დღეს „დააპატიმრეს“ და 100 ლარით დააჯარიმეს. თქვენს მონა-მორჩილსაც ანალოგიური რამ მელოდა, მაგრამ რატომღაც ვერ მოვხვდი ვიდეოკადრებში. მოკლედ, ჩვენ სამნი — **კოტე, სოსო და მე, ისტორიაში შევედით, როგორც ლგბტ-ქათმებთან ბრძოლის პიონერები.** სერიოზულად კი დროა, წინამდებარე წერილის სათაური გავშიფრო — **სად ჰაინრიხ ბიოლი და სად „თბილისი პრაიდი“.**





**როგორი იქნება «პატრიოტთა» მიერ დაგეგმილი აქცია, ამას 4 ივლისს ვნახავთ, მაგრამ რად გინდა, მეორე დღეს, 5 ივლისს, «თბილისი პრაიდის» ლგბტ პირების ე.წ. ღირსების მარშია დაგეგმილი და, თუ კოლჰოტიან-პომადიან-საყურიანმა «ბიჭებმა» დიდი ხნის ნანატრი აისრულეს და ბინძური უკანალების ქნევით 9 აპრილს დაღუპულთა სისხლი და ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძარი წაბილწეს, მაშინ?**

გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, **ჰაინრიხ ბიოლი,** დაიბადა ქალაქ კელნში 1917 წელს, კათოლიკურ ოჯახში. კელნი გერმანული კათოლიციზმის ცენტრი იყო, სამღვდელოებას კი მოსახლეობაზე დიდი გავლენა ჰქონდა. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი გერმანიის მწვანეთა პარტიასთან ასოცირებული, იურიდიულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია. ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო 2003 წელს გაიხსნა თბილისში. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

აი ასეთი ქოლგის ქვეშ შეიფარეს ზემოხსენებული ალლუმის მომწყობნი, რომლებიც (ისე, რომ წინასწარ არავინ გაუფრთხილებიათ) შეიკრიბნენ ფილარმონიასთან, 51-ე სკოლის წინ გარყვნილების მოწოდების შემცველი ბანერებითა და ჭრელი დროშებით ხელში, სადაც მოსწავლეების დასანახავად ორმა ამერიკელმა მამრმა (რომლებიც საპატიო „ქათმებად“ ჰყავდათ მოწვეული) ერთმანეთს, უკაცრავად და, „დაუზასა“ და დაიწყო მოძრაობა რუსთაველის პროსპექტისკენ.

თავდაპირველად გამვლელ-გამომვლელები ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა და ამიტომაც დაუბრკოლებლად ჩამოვიდნენ ზემელზე, სადაც რა და როგორ მოხდა, ზემოთ მოგახსენეთ.

**ქოცების ხელისუფლებას საჭირო ზომები რომ მიეღო, დღეს „თბილისი პრაიდის“ პრობლემა არ იარსებებდა, მაგრამ ყოვლისშემძლე და ყველა უზნეობის „გამპრავებელი“ ე.წ. გამოხატვის თავისუფლების შიშით „ქართულმა ოცნებამ“ ეს ვერ შეძლო და დღეს დასავლეთიდან დაფინანსებული მსგავსი პროფილის ორგანიზაციების რაოდენობა, როგორც მითხრეს, 170-მდეა...**

რუსეთთან ურთიერთობა შეუძლებელია, იმიტომ, რომ ის ევროპულ, კოლექტიური დასავლეთის ღირებულებებს არ აღიარებსო, — ერთმანეთის მიყოლებით აცხადებენ აშშ-ევროპის მალალჩინოსნები. მივიხედ-მოვიხედოთ, რა ხდება ჩვენ გარშემო.

შავ ზღვაში რუსულ დათვს შევუჩხიკინეთო, — განაცხადა ბრიტანეთის პრემიერმა **ბორის ჯონსონმა.** რუსეთის პრეზიდენტმა კი აღნიშნა: მსგავსი პროვოკაციის განმეორების შემთხვევაში რუსეთი კრეისერს ახლომახლო კი არ აუფეთქებს ბომბებს, არამედ ერთი რაკეტით, უბრალოდ, გაანადგურებს ნატოს ნებისმიერ მცურავ სამხედრო ობიექტს. და ეს ყველაფერი რისთვის? იმისთვის, რომ რუსეთს კაცის კაცზე და ქალის ქალზე გათხოვება ვერ წარმოუდგენია. თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში შესული **დონალდ ტრამპის** პირველი ბრძანება, რომელსაც ხელი მოაწერა, იყო აშშ-ის არმიაში ლგბტ პირების მსახურების აკრძალვა; ხოლო **ჯო ბაიდენმა** პირიქით — ეს აკრძალვა გააუქმა. აი აშშ-ის ნამდვილი ღირებულებები, რომლებითაც ანგლოსაქსებს სურთ, მთელმა მსოფლიომ იცხოვროს.

**დავით მხეიძე**

**P.S.** დიდი რუსეთი როგორმე თავს უშველის, მაგრამ ამ იდიოტების ხელში რა ქნას პატარა საქართველომ? პროვოკაციის ავტორ ბრიტანულ კრეისერ „დეფენდერ?“, რომლის პროვოკაციის გამო ნატო-რუსეთს შორის კინაღამ სერიოზული სამხედრო კონფლიქტი დაიწყო, ბათუმში ტაშფანდურით დახვდნენ. ჩემი მტრის მეგობარი რომ ჩემი მტერია, ეს სენტენცია არ გაუგიათ ქოც-ნაცებს?

რაც შეეხება „თბილისი პრაიდის“ ჩატარებას, გამოხატვის უფლების ძალით ამის გაკეთებას შეეცდებიან, რადგან აშშ-ის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი გამოხატვის თავისუფლებაა. ჩვენს ოკუპანტ ჯარისკაცებს (დიახ, ოკუპანტებს, რადგან ქართველი ავღანეთსა თუ სხვა ცხელ წერტილებში ისეთივე ოკუპანტია, როგორც რუსები — საქართველოში) რუსთაველის მთელ პერიმეტრზე ცოცხალ ჯაჭვად ჩაამწკრივებენ და რიგით ქართველ მოქალაქეებს ლგბტ-პედარასტებს ახლოსაც არ გააკარებენ და შორიდან მოგვიწევს ჩვენს სულებში ჩაფურთხების ყურება!

ნეტავი ვცდებოდე...

**დიდი რუსეთი როგორმე თავს უშველის, მაგრამ ამ იდიოტების ხელში რა ქნას პატარა საქართველომ? პროვოკაციის ავტორ ბრიტანულ კრეისერ «დეფენდერ?», რომლის პროვოკაციის გამო ნატო-რუსეთს შორის კინაღამ სერიოზული სამხედრო კონფლიქტი დაიწყო, ბათუმში ტაშფანდურით დახვდნენ. ჩემი მტრის მეგობარი რომ ჩემი მტერია, ეს სენტენცია არ გაუგიათ ქოც-ნაცებს?**

**ხელისუფლების წაყრუება და პასიური პოზა რომ არა, მეტიც, მისი მხრიდან საკანონმდებლო დონეზე ლგბტ თემის მხარდაჭერა, ცხადია, სექსუალური უმცირესობის დიქტატი უმრავლესობაზე ასეთ რეზონანსს არ მიიღებდა. ცხადია ისიც, რომ ხელისუფლება მართულია ზემოჩამოთვლილი ძალების მიერ და მათი დავალებების ბრმა შემსრულებელიც. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით: იგი ხელოვნურად აღვივებს დაპირისპირებას ტრადიციული ღირებულებების მომხრეებსა და სექსუალურ უმცირესობას შორის, რაც ადვილი შესაძლებელია, ტრაგიკული შედეგებით დასრულდეს.**

## ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გეიაღლუმი არ უნდა დავუშვათ!

## ხელისუფლებამ ეს არ უნდა დაუშვას, ვალდებულია, ყველა მის ხელთ არსებული ბერკეტი მაქსიმალურად გამოიყენოს!

**ლგბტ თემი და მისი მხარდამჭერები გეიაღლუმისთვის ემზადებიან. ამის დასტურია ივლისის დასაწყისში დაგეგმილი ლგბტ კვირეული, რომელიც, შესაძლოა, ლგბტ-ის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა სექსუალური უმცირესობა ცდილობს, თავისი ცხოვრების დღის წესრიგი თავს მოახვიოს საზოგადოების დანარჩენ ჯანსაღ ნაწილს, როცა მწვანე შუქი აქვს ანთებული არა მხოლოდ გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდას, არამედ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებასაც.**




**ნუთუ ასე ძნელია, შევქმნათ მათი საპირწონე ქართული ფულით დაფინანსებული არასამთავრობოები, რომლებიც დააბალანსებენ მათ მავნებლურ საქმიანობას საქართველოში და ერთგულად დაიცავენ ქართულ თვითშეგნებას და საზოგადოებასაც? მხოლოდ სურვილი და მონდომებაა საჭირო. ეს იქნება სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი, რომლის გარეშეც თანამედროვე სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. თავის დროზე ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა აიღო სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ვალდებულება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, დაპირება დაპირებად დარჩა**

საქართველოში ლგბტ თემის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მაგალითია ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც „ქართული ოცნების“ ბედოვლათმა პარლამენტმა „ტაშის გრიალით“ მიიღო 2015 წელს.

თავს ნუ მოვიტყუებთ — **ანტიდისკრიმინაციული კანონიდან, ლგბტ კვირეულის ჩატარებიდან (რომელიც შეფუთულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ლოზუნგით), ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინებამდე და მათთვის შვილის აყვანის უფლების დაკანონებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.**

ნიშანდობლივია, რომ ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას მართლმადიდებელ საქართველოში — სწორედ მართლმადიდებელი სამყარო არის ყველაზე დიდი სამიზნე ულტრალიბერალებისთვის, რომლებიც გაშმაგებით ებრძვიან ტრადიციულ ფასეულობებს და ცდილობენ, შეარყიონ ეროვნული თვითშეგნება.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა: **ვინ უმაგრებს ზურგს გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრებსა და მხარდამჭერებს და ამაში რა როლს ასრულებს მოქმედი ხელისუფლება და პოლიტიკური ისტებლიშმენტი?**

უდავოა, რომ ლგბტ თემის მხარდამჭერებს შორის ე.წ. ასო-ები (არასამთავრობო ორგანიზაციები) ლიდერობენ, რომლებიც, ძირითადად, უცხოეთიდან ფინანსდებიან, მათი პოზიციის გამხმოვანებელი კი არის სახალხო დამცველი **ნინო ლომჯარია** (სხვათა შორის, მას არც მისი წინამორბედი მანქურთი **უჩა ნანუაშვილი** ჩამორჩებოდა), რომელიც მხოლოდ სექსუალური უმცირესობების უფლებების ხმალშემართულ დამცველად გვევლინება. რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია ქართულ TV-ზე ცნობილ უფლებადამცველს, ყოფილ პარლამენტარსა და კვალიფიციურ იურისტს, ბატონ **დიმიტრი ლორთქიფანიძეს** ვუსმენდი. გაოცებული დავრჩი, როცა სახალხო დამცველის შერჩევის კრიტერიუმზე ისაუბრა — დარწმუნებული ვარ, ბატონი დიმიტრი, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობდა, ამ პოსტზე დასამტკიცებლად საუკეთესო კადრი იქნებოდა. **აშკარაა, რომ ხელისუფლება კადრების შერჩევისას კუთხეშია მიმწყვდეული (საკადრო პოლიტიკა, ფაქტობრივად, არ აქვს) და, ვისაც შეაჩეჩებენ, უსიტყვოდ უნდა დაამტკიცოს.**

უფრო გავოცდი, როცა ნინოწმინდის პანსიონის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე ისაუბრა ნინო ლომჯარიამ. მისი წიოკი ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს ჰგავდა, რადგან ის ბენეფიციარი, რომელზე ძალადობის მოტივაციითაც გაილაშქრა პანსიონის წინააღმდეგ, თურმე არა ძალადობის მსხვერპლი, არამედ ასო-ების მიერ დაქოქილი, ფაქტობრივად კი, უვნებელი (ხელუხლებელი) ყოფილა. ექლესიის დისკრედიტაციის მიზნით ფსევდოლიბერალები (ლომჯარიასნაირი უტიფრები) ყველაფერს კადრულობენ.

რა ვქნათ, კაპიტულაცია გამოვაცხადოთ?

არამც და არამც! ბოროტებას მედგრად უნდა დავუდგეთ და საკუთარი ძალაც ვუჩვენოთ. ჩვენი ძალა კი ეროვნული იდენტობის ერთგულებაშია... რადგან უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო სექტორის მავნებლობაზე ჩამოვაგდე საუბარი, აქვე ვიტყვი: **ნუთუ ასე ძნელია, შევქმნათ მათი საპირწონე ქართული ფულით დაფინანსებული არასამთავრობოები, რომლებიც დააბალანსებენ მათ მავნებლურ საქმიანობას საქართველოში და ერთგულად დაიცავენ ქართულ თვითშეგნებასა და საზოგადოებასაც?** მხოლოდ სურვილი და მონდომებაა საჭირო. **ეს იქნება სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი, რომლის გარეშეც თანამედროვე სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. თავის დროზე ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა აიღო სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ვალდებულება, მაგრამ, როგორც ყოველთვის, დაპირება დაპირებად დარჩა.**

* * *

ლგბტ თემის აქტიური მხარდამჭერი და პროპაგანდისტია ქართული მედია, განსაკუთრებით ტელემედია, რომელთა მავნებლური საქმიანობა, თუ არ აღემატება, არ ჩამორჩება ასო-ების ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას.

ქართული ტელემედია არა მხოლოდ ეწევა საზოგადოების ზომბირებას, არამედ ხმალშემართული ებრძვის ტრადიციულ ღირებულებებს, უწევს აქტიურ პროპაგანდას არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს და ამას აკეთებს ადამიანის უფლებათა დაცვის ყბადაღებული ლოზუნგით. საუბედუროდ, ლომჯარიას, გიგაურს, გვარამიას, გრიგოლიას, კვესიტაძეს არ აქვთ არც სამშობლოს განცდა და არც ქართული ცნობიერება. ისინი გარყვნილი სააკაშვილის პოლიტორგიების პორნოვარსკვლავები არიან.

* * *

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით **ავანგარდში დგანან პოლიტიკური პარტიებიც. ამის მყარ არგუმენტად გამოგვადგება 15 პოლიტიკური პარტიის ერთობლივი განცხადება, რომლითაც ისინი უერთდებიან ლგბტ კვირეულის დღის წესრიგს. მიზანი ცალსახაა: ამ „დამსახურებისთვის“ მათ გარანტირებული აქვთ მხარდაჭერა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, პირადად ამერიკის ელჩის, ასევე ევროკავშირისა და ნატოს მხრიდან მომავალ ადგილობრივ თუ საპარლამენტო არჩევნებში.**

დასკვნა მარტივია: **ქართული პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ოპოზიციონერობაზე, შეგნებულად დგებიან სიბილწისა და გარყვნილების სამსახურში. ეს საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს და სათანადო ვერდიქტიც გამოუტანოს მათ.**

* * *

დაბეჯითებით უნდა ითქვას: **ხელისუფლების წაყრუება და პასიური პოზა რომ არა, მეტიც, მისი მხრიდან საკანონმდებლო დონეზე ლგბტ თემის მხარდაჭერა, ცხადია, სექსუალური უმცირესობის დიქტატი უმრავლესობაზე ასეთ რეზონანსს არ მიიღებდა. ცხადია ისიც, რომ ხელისუფლება მართულია ზემოჩამოთვლილი ძალების მიერ და მათი დავალებების ბრმა შემსრულებელიც. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ იგი ხელოვნურად აღვივებს დაპირისპირებას ტრადიციული ღირსებულებების მომხრეებსა და სექსუალურ უმცირესობას შორის, რაც ადვილი შესაძლებელია, ტრაგიკული შედეგებით დასრულდეს.** მეტიც, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ხელისუფლება საკანონმდებლო დონეზე იცავს სექსუალური უმცირესობის უფლებებს (ანტიდისკრიმინაციული კანონი, „ბავშვთა კოდექსი“) უმრავლესობის დაკნინების ხარჯზე და, როგორც ზემოთ ვთქვი, ამით ხელს უწყობს დაპირისპირების ესკალაციას!

* * *

ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში მაქსიმალური ავტორიტეტით სარგებლობს და საზოგადოების (მრევლის) მობილიზება შეუძლია, დედაეკლესიაა, თუმცა მისი „საბრძოლო არსენალი“ მხოლოდ სიტყვითა და შეგონებით შემოიფარგლება, რადგან მისთვის ძეშეცდომილიც სულიერი შვილია და ისევე საპატრონო, როგორც ტრადიციული ღირსებულებების მიმდევარი. არადა, **ბევრი დედაეკლესიისგან ისეთი ღონისძიებების გატარებას ითხოვს, რომლებიც მის შესაძლებლობებს აშკარად აღემატება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხშირად ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს საქართველოს ეკლესიის რეკომენდაციებს და სასწორის პინა, უმეტესად, არატრადიციული ღირებულებების დაკანონებისკენ იხრება.** რა ქნას ასეთ შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ: მოუწოდოს საკუთარ მრევლს, ცეცხლითა და მახვილით ამოშანთოს ბოროტება?!

მე გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ვიცნობ მის უწმინდესობას, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს. ერს ასეთი შორსმჭვრეტელი სულიერი მამა ჰყავდეს და მის ბრძნულ რჩევა-დარიგებებს არ უსმენდეს, ჩვენს ულმერთობასა და უგუნურებაზე მეტყველებს.

დასასრულ, როგორც რიგითი მართლმადიდებელი, კატეგორიულად ვაცხადებ: რადაც უნდა დაგვიჯდეს, თბილისში გეიაღლუმი არ უნდა ჩატარდეს! ხელისუფლებამ ეს არ უნდა დაუშვას, ვალდებულია ყველა, მის ხელთ არსებული ბერკეტი მაქსიმალურად გამოიყენოს.

**ომარ მარგველაშვილი**

**P.S.** მინდა, განსაკუთრებით გამოვყო ბატონი ლევან ვასაძე, როგორც ღირსეული პიროვნება, ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი — მას უსაზღვროდ უყვარს ჩვენი ბრძენი პატრიარქი და დიდი ძალისხმევითა და მონდომებით ებრძვის ლგბტ თემის ანტიმართლმადიდებლურ, ამაზრზენ და შემაძრწუნებელ გამოხდომებს. მას ჭეშმარიტი მამულიშვილებისა და მორწმუნე მრევლის მხარდაჭერა სჭირდება. ხელისუფლების უნიათობამ და წაყრუებამ შეიძლება უმძიმესი შედეგი მოგვიტანოს.

**პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ოპოზიციონერობაზე, შეგნებულად დგებიან სიბილწისა და გარყვნილების სამსახურში. ეს საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს და სათანადო ვერდიქტიც გამოუტანოს მათ**

პური ჩვენი არსობისა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მალე მოვა შემოდგომა, ქართული უნიკალური ყურძენი კვლავ ჩალის ფასი ელირება (გაფუჭებული ჩალის, თორემ ჩალას ისეთი ფასი ადევს, მევენახეებს არც დაესიზმრებათ), ზამთარში კი კვლავ შემოვიტანთ ყურძენს სომხეთიდან და იმ პროდუქტში, რომელიც ჩვენთან შემოდგომაზე 80 თეთრი ელირება, ზამთარში 8 ლარს გადავიხდით. რაც ყველაზე სამწუხაროა, ამას ხმამაღლა არავინ გააპროტესტებს და მხოლოდ კახელი მევენახეების გინებას თუ შეირგებს ხელისუფლება. არადა, სწორედ რომ საგინებელია.**

# 1 ივლისიდან პური გაგვიძვირდება

## მოსახლეობის უდიდესი ნაწილის არა მხოლოდ ფინანსური კეთილდღეობაა საფრთხეში, არამედ ჯანმრთელობაც

არაერთხელ დაგვიწერია, რომ საქართველოში, ვაზისა და ღვინის სამშობლოში, ზამთარში 35 მლნ დოლარის ყურძენი შემოგვაქვს, რადგან ჩვენთან სამაცივრე მეურნეობა განვითარებული არ არის და შენახვას ვერ ვახერხებთ. არადა, ეს 35 მლნ დოლარი შეიძლება ქართველ გლეხს დარჩეს, 100 მილიონ ლარზე მეტი სწორედ მათ ჯიბეში წავიდეს.

ახლა საზამთროს და ნესვის სეზონი მოდის. ცოდვა გამხელილი სჯობს და ადრე კახურ საზამთროს რომ გაჭრიდი შინ, ყველგან მისი სუნი იდგა — საოცარი არომატი. სამწუხაროდ, ასეთი რამ დღეს თითქმის წარმოუდგენელია, რადგან **საზამთროს როგორც ჩვენთან, ისე სხვაგან, საკმარისზე მეტი შხამ-ქიმიკატებით ზრდიან, თუმცა უდავოა, რომ ქართული ნაწარმი ეკოლოგიურად მაინც უკეთესია. ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამაყად რომ აცხადებს, საზამთროსა და ნესვის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში შარშანდელთან შედარებით 209%-ით არის გაზრდილიო, უბრალოდ, კატასტროფაა.**

საზამთრო და ნესვი საქართველოში, ძირითადად, თურქეთიდან და ირანიდან შემოაქვთ, ნაწილი — აზერბაიჯანიდანაც, მაგრამ მთავარი მაინც პირველი ორი ქვეყანაა. წარმოიდგინეთ, ირანში დაკრეფილი საზამთრო, შემდეგ გზის ხარჯი, შემდეგ განბაჟება, შემდეგ აქ გაყიდვა და... შემოტანილი საზამთრო ადგილობრივზე იაფი ღირს. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი არარეალურია. როგორ შეიძლება, ასეთი ხარჯის შემდეგ საზამთრო და ნესვი ადგილობრივზე იაფი ღირდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ იქ მოსავალი ორ კვირაში იკრიფება, როცა საქართველოში თვეები სჭირდება. **შხამ-ქიმიკატები თავის საქმეს აკეთებს და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მაგალითად, იმავე ირანში, თურქეთსა და აზერბაიჯანში მცენარეული ცხიმის შეტანა ისჯება (გამოყენებაზე საუბარიც არ არის).** ახლა აიღეთ ნებისმიერი პროდუქცია, რომელიც თუნდაც თურქეთიდან შემოდის, და ნახავთ, რომ შემადგენლობაში მცენარეული ცხიმია. გამოდის, მათ კარგად იციან, რომ ეს მავნეა, მაგრამ საქართველო ყიდულობს, იაფი ჯდება და რატომაც არა?! ასევეა ხილის შემთხვევაში — **იციან მავნეა, მაგრამ საქართველო ყიდულობს. რატომაც არა?!**

კახელმა ფერმერებმა გასულ კვირას აქცია გამართეს — საზამთროსა და ნესვის შემოტანაზე აკრძალვის დაწესებას ითხოვდნენ, რაზეც კატეგორიული უარი მიიღეს. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გიორგი ხანიშვილმა** განაცხადა: თავისუფალ ბაზარში ვერ ჩავერევით, გლეხებს ვურჩიეთ კოოპერატივების ჩამოყალიბება და არ დაგვიჯერესო. **ბატონო გიორგი, ჯერ ერთი, კოოპერატივის ჩამოყალიბებას, იცით, რა სჭირდება? გლეხებს მიწა გვერდიგვერდ უნდა ჰქონდეთ, ყველას ერთ პროდუქტზე უნდა ჰქონდეს გათვლა; უნდა უღირდეთ, ხარჯი ერთნაირად გადაინაწილონ, შემდეგ ყველა უნდა დათანხმდეს მოსავლის დაზღვევას და გვერწმუნეთ, ეს ხშირად შეუძლებელია.** მცირე ოდენობით მოჰყავთ გლეხებს პროდუქცია და ირანულ თუ თურქულ სახელმწიფო მანქანებს ვერ ერევიან. იმასაც შეგახსენებთ, ბატონო გიორგი, რომ, როცა გასულ კვირას 400-სულიანი ფერმის დირექტორმა საწარმოს ლიკვიდაცია გამოაცხადა, მშვიდად თქვით, ვილაც იხურება, ვილაც იხსნება, რამდენიმე დღის წინათ გავხსენი ახალი ფერმაო, მაგრამ ის არ გითქვამთ, რამდენიმე დღის წინათ გახსნილ ფერმაში 20 სული ძროხა რომ ჰყავდათ, დასახურად განწირულში — 400 სული, თანაც 8 მილიონი ლარის ინვესტიციით. მიზეზი ისევ ირანი და იქიდან შემოტანილი რძის ფხვნილია, რომლითაც გაკეთებულ ყველს თქვენმა სამინისტრომ დაუწერა, რომ **პროდუქტში ყველის შემადგენლობა 3%-ია. და ამას ჩვენ ვჭამთ, ის ადამიანები, რომელთა მიერ გადახდილი გადასახადებიდან თქვენ თვეში 5 ათას ლარს გიხდიან, დეკლარაციის მიხედვით კი, 630 000 დოლარის დანაზოგი ქეშად გაქვთ შენახული.**

თქვენი აზრით, თურმე გლეხების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი არის ის, რომ შარშან პანდემიის პირობებში პროდუქტი ძვირი ღირდა, ახლა გაიაფდა და ფერმერებს ეს არ მოსწონთ. **ირანულ საზამთროს თვითონ მიირთმევთ? ჩამოტანილი პროდუქტი 20 თეთრად რომ იყიდება საბითუმო ფასად, კითხვა არ გიჩნდებათ, რატომ?**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო თვალს კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, მთავარ საკითხზე ხუჭავს. **1 ივლისიდან ხელისუფლება პურის ფქვილის სუბსიდირებას წყვეტს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 ივლისიდან პური გაგვიძვირდება, მაგრამ ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული. რუსეთში განხორციელებული რეგულაციების მიუხედავად, ისე მოხერხდა, რომ რუსული ფქვილი, ყოველგვარი განბაჟების გავლის შემდეგ, საქართველოში 40 ლარზე ოდნავ მეტი ღირს. ე.ი., ერთი ტომარა — 40 ლარი და პურის მწარმოებლები ითხოვენ, პურზე ფასი რომ შევინარჩუნოთ, 50 ლარად მოგვყიდეთო, მაგრამ შემომტანები კატეგორიულ**



**ხომ ყველამ იცის, ვინ დგას პურის ფქვილის ბიზნესის უკან, ვინ ატერორებს წვრილ შემომტანებს, რომლებიც მისაღებ მარჟაზე მუშაობენ, მაგრამ ხმას არავინ იღებს. შევარდნაძის, სააკაშვილისა და მარგველაშვილის პერიოდში პურის ფქვილის მონოპოლიზებას თუ არ უშლიდნენ, გონივრულ მარჟაზე ამუშავებდნენ და იმის იქით მონოპოლისტები ვერ წავიდოდნენ. რაც ახლა ხდება, კატასტროფაა**

**უარზე არიან და ერთ ტომარას 65 ლარამდე აფასებენ — თვითღირებულებას 50%-ზე მეტს უმატებენ. თქვენი აზრით, როგორია სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოზიცია?**

სწორია, სამინისტროს წარმომადგენლები ამბობენ, თავისუფალ ბაზარში ვერ ჩავერევითო, და სულ არ აინტერესებთ, პური მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მთავარი საკვები პროდუქტი რომ არის. პურის ფქვილის გაძვირებას ავტომატურად მოჰყვება პურ-ფუნთუშეულის გაძვირება. მკარონი, ვერმიშელი რომ გაძვირდება, ეს ცალკე თავისტკივილია. თანაც, კომერციულ ობიექტებს ხელისუფლებამ ბუნებრივი აირი გაუძვირა, რაც თვითღირებულებას კიდევ უფრო ზრდის.

„სამწუხაროდ, ვერც ერთი ხელისუფლების პერიოდში საქართველოში ვერ მოიშალა მონოპოლია. **ხომ ყველამ იცის, ვინ დგას პურის ფქვილის ბიზნესის უკან, ვინ ატერორებს წვრილ შემომტანებს, რომლებიც მისაღებ მარჟაზე მუშაობენ, მაგრამ ხმას არავინ იღებს. შევარდნაძის, სააკაშვილისა და მარგველაშვილის პერიოდში პურის ფქვილის მონოპოლიზებას თუ არ უშლიდნენ, გონივრულ მარჟაზე ამუშავებდნენ და იმის იქით მონოპოლისტები ვერ წავიდოდნენ.** რაც ახლა ხდება, კატასტროფაა.

„ვვარაუდობდით, რომ სუბსიდიის მოხსნის შემდეგ პურს დიდი-დიდი 10 თეთრით გავაძვირებდით, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან, 40-50 თეთრიც კი შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს. რაც მთავარია, ეს ძალიან კარგად იციან სოფლის მეურნეობის სამინისტროში, თუმცა რაიმე ზომების მიღებას არავინ დაგვპირებია", — გვითხრა ერთ-ერთი დიდი საცხობის მეპატრონემ.

ისე გამოდის, რომ ყველაფერი ძვირდება და ეს უმძიმეს ტვირთად მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დააწვება. აბა, **5 ათასი ლარი რომ აქვს კაცს ხელფასი და ნახევარ მლნ დოლარზე მეტი გადადებული, იმისთვის სულერთია, ერთი პური ლარი ეღირება თუ ლარ-ნახევარი; შესაძლოა, პურს არც ყიდულობს.** ჰო, არის ასეთი კატეგორიაც, პურს არ ჭამენ, მოსახლეობის 80%-ზე მეტისთვის კვება გადარჩენისთვის არის აუცილებელი და გაეროს ის ციფრებიც არსად გამქრალა, რომელთა

**პროდუქტში ყველის შემადგენლობა 3%-ია. და ამას ჩვენ ვჭამთ, ის ადამიანები, რომელთა მიერ გადახდილი გადასახადებიდან თქვენ თვეში 5 ათას ლარს გიხდიან, დეკლარაციის მიხედვით კი, 630 000 დოლარის დანაზოგი ქეშად გაქვთ შენახული**

მიხედვით **საქართველოში 50 ათას ბავშვზე მეტი ოფიციალურად შიმშილობს.**

არადა, გამოსავლის პოვნა სავსებით რეალურია და, რაც მთავარია, მარტივიც. ხილით დავიწყოთ — დავაწესოთ შემოტანაზე ისეთი გადასახადი, რომელიც შემოტანას აზრს დაუკარგავს. **რეალურად, ეს ფული ხომ არც საქართველოს ბიუჯეტში მიდის და არც ქართველი ხალხის ჯიბეში?!** ადგილობრივ პროდუქციას ფასი დაედება და აქ მოწეული და გაყიდული მოსავალიც აქვე, ქართველი ფერმერების ჯიბეში დარჩება. **პურის ფქვილზე კი კონკრეტული ფასი უნდა დაწესდეს, მოგების კონკრეტული მარჟა, რომლის ზემოთაც ვერავინ გაბედავს ფასის მომატებას. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ის მაღალჩინოსნები, რომლებიც ამ ყველაფრის უკან დგანან, გაარიან ზარალს ნახავენ და ათი მილიონის ნაცვლად, მხოლოდ 3-4 მილიონს იშოვნიან.** ეს კი მათ ხელს არ არ აძლევთ, მით უმეტეს მაშინ, როცა ათასჯერ გაპარსულ ხალხს ათასმეერთედ უსვამენ სამართებელს და უკანასკნელი ლუკმის წილში უსხდებიან.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა იქნება ხვალ, მაგრამ მალე მოვა შემოდგომა, ქართული უნიკალური ყურძენი კვლავ ჩალის ფასი ელირება (გაფუჭებული ჩალის, თორემ ჩალას ისეთი ფასი ადევს, მევენახეებს არც დაესიზმრებათ), ზამთარში კი კვლავ შემოვიტანთ ყურძენს სომხეთიდან და იმ პროდუქტში, რომელიც ჩვენთან შემოდგომაზე 80 თეთრი ელირება, ზამთარში 8 ლარს გადავიხდით. რაც ყველაზე სამწუხაროა, ამას ხმამაღლა არავინ გააპროტესტებს და მხოლოდ კახელი მევენახეების გინებას თუ შეირგებს ხელისუფლება. არადა, სწორედ რომ საგინებელია, რადგან **ერთეულების გამდიდრების ხარჯზე, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის არა მხოლოდ ფინანსური კეთილდღეობაა საფრთხეში, არამედ ჯანმრთელობაც.** უფულობის გამო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იაფ პროდუქტს ყიდულობს, იაფი კი სწორედ შემოტანილია, იაფი და ზედმეტად მავნეც. საკუთარი შვილები რომ გიყვართ, ბატონებო, არაფერს რომ არ აკლებთ, სხვის შვილებსაც ზუსტად ისევე სჭირდებათ ჯანსაღი საკვები, როგორც თქვენსას და მათაც სწორედ ისევე აქვთ უფლებები, როგორც თქვენსას, რომელთა შორის უპირველესი სიცოცხლის უფლებაა!

**ბესო ბარბაქაძე**

**„ქაღალდის ოქროს“ ემისია და ვაქცინაცია მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებს კრედიტები მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ვაქცინაციის პროგრამა. და, თუ ქვეყანას აქვს პროგრამა, მაგრამ არ აქვს ვაქცინაციის თანხა, მაშინ კრედიტის გახარჯვის პრიორიტეტი ვაქცინის შესყიდვაა.**

გლობალისტური იდეოლოგია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ვაქცინაცია — ერთი ჯაჭვის რგოლები

## «ორმაგი კრიზისის» გლობალისტური იდეოლოგია

გერმანელი ეკონომისტის, დავოსის ეკონომიკური ფორუმის უცვლელი პრეზიდენტის, კლაუს შვაბის, მიერ დიდი გარდაქმნის, ანუ დიდი გადატვირთვის გამოცხადებიდან რამდენიმე თვე გავიდა და პირველი პრაქტიკული ნაბიჯები „გადასატვირთად“ უკვე გადაიდგა. მთავარი მიზანია გადასვლა ამჟამინდელი კაპიტალიზმიდან ინკლუზიურ კაპიტალიზმზე, რომლის უკანაც ახალი მონათმფლობელური წყობილება იმალება. ადამიანის ცხოვრების ყველა მხარის და თვით ადამიანის გარდაქმნა მოხდება „პანდემიასა“ და „კლიმატური კატასტროფის საშიშროებასთან“ ბრძოლის საფარველით.

გაერომ და მისმა სპეციალიზებულმა დაწესებულებებმა (ჯანმო, იუნისეფი) შეასრულეს კაცობრიობის დაშინების ამოცანა და აიძულეს ის, დათანხმებოდა „ჯანმრთელობის დიქტატურასა“ და „კლიმატის დიქტატურას“. შემდეგ „დიდი გადატვირთვის“ გეგმის რეალიზაციაში ჩართავენ მსოფლიო ბანკის ჯგუფის ინსტიტუტებს (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია და საერთაშორისო სავალუტო ფონდი).

მსოფლიო ბანკი წლების განმავლობაში სპეციალიზდებოდა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში საინვესტიციო პროექტებისთვის სესხის გაცემაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრედიტებს აძლევდა და აძლევს სახელმწიფოებს წევრი ქვეყნების ეკონომიკების გასაჯანსაღებლად.

გასულ წელს მათ მოღვაწეობაში ცვლილებები მოხდა: ჯერ მსოფლიო ბანკში, შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდში მთავარ პრიორიტეტებად იქცა ორი ამოცანა:

1. ბრძოლა „პანდემიასა“ და მის შედეგებთან; 2. პლანეტაზე დათბობის თავიდან აცილება.

სხვა ყველაფერი ამიერიდან დაფინანსდება ნარჩენის პრინციპით. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბევრ დოკუმენტში „პანდემია“ და „კლიმატური დათბობა“ გვერდიგვერდაა მოხსენიებული, ამასთანავე, გაჩნდა სპეციალური ტერმინი **„ორმაგი კრიზისი“** (Double crisis).

ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწყო თავისი ვალუტის Special Drawing Rights – SDR-ის (სესხების ალების სპეციალური უფლება) ემისიისთვის მზადება.

**ადრე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა SDR-ის რამდენიმე ემისია განახორციელა, ეს ვალუტა, რომელსაც „ქაღალდის ოქრო“ დაარქვეს, შეიძლება განთავსდეს წევრი ქვეყნების სპეციალურ ანგარიშზე და დასაშვებია მათი კონვერტაცია სხვა სარეზერვო ვალუტაში. ის კრედიტის სახით შეიძლება წარედგინოს ფონდის ერთ წევრს მეორის მიერ, მაგრამ არ გადის სპეციალური ანგარიშების საზღვრების გარეთ, 1970 წლის 1 იანვრიდან დღემდე გამოშვებულია 200 მლრდ-მდე SDR-ი.**

„ქაღალდის ოქროს“ ახალი ემისიის მოცულობა განსაზღვრულია 650 მლრდ დოლარის ოდენობით, დოლარის კურსის მიმართ SDR-ის კურსის გათვალისწინებით. გამოდის, რომ დაგეგმილი ემისია 2,3-ჯერ გადააჭარბებს ფონდის მიერ ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამოშვებული „ქაღალდის ოქროს“ მოცულობას.

ამ ოპერაციის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ფონდმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა ფინანსური პოტენციალი უნდა გააძლიერონ კრიზისებთან საბრძოლველად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2021 წლის 21 მარტის პრეს-რელიზში მოყვანილია ფონდის აღმასრულებელი დირექტორის სიტყვები, რომ SDR-ის ახალი ემისიის საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია. იმავე პრესრელიზში გაისმა ახალი ნოტა: „ახალი განაწილების დამტკიცების შემთხვევაში SDR ქვეყნებს შეჰმატებს ლიკვიდირებას ვალის ტვირთის მომატების გარეშე“. ეს წევრ ქვეყნებს გამოუთავისუფლებს უკიდურესად საჭირო რესურსებს პანდემიასთან საბრძოლველად, მათ შორის ვაქცინაციის პროგრამების მხარდასაჭერად და სხვა გადაუდებელი ზომებისთვის.

**ამრიგად, „ქაღალდის ოქროს“ ემისია და ვაქცინაცია მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ-ქვეყნებს კრედიტები მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ვაქცინაციის პროგრამა. და, თუ ქვეყანას აქვს პროგრამა, მაგრამ არ აქვს ვაქცინაციის თანხა, მაშინ კრედიტის გახარჯვის პრიორიტეტი ვაქცინის შესყიდვაა.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ადრე ამბობდა, რომ მსოფლიო ეკონომიკის აღსადგენად და სწრაფად გასავითარებლად საჭიროა წევრი ქვეყნების მიერ სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, უცხოური კაპიტალის ლიბერალიზაცია, სახელმწიფოების მიერ ეკონომიკების მართვის გაუქმება, სოციალურ პროგრამებზე საბიუჯეტო გასავლების შემცირება და სხვა ზომები ვაშინგტონის კონსენსუსის არსენალიდან. ახლა საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიოს ეკონომიკის გამოცოცხლების მთავარ საშუალებად მასობრივ ვაქცინაციას ასახელებს.

მიმდინარე წლის აპრილში ჩატარდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი სესია, რომელზეც გამოითქვა კმაყოფილება, რომ 2021 წლის პირველ კვარტალში მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა მოსალოდნელზე სწრაფად მიმდინარეობს. სესიის მონაწილეთა აზრით, სწრაფი ეკონომიკური გამოჯანმრთელების ფაქტორი იყო ბევრ ქვეყანაში დაწყებული ვაქცინაციის პროცესი. დაისახა ამოცანები მომავალი




**გამოცხადდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი თანამშრომლობის სხვა მიდგომებს ამზადებს წევრ ქვეყნებთან. ადრე ეს მიდგომები განსაზღვრული იყო ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსით, ახლა კი კონსენსუსის ახალი ვერსია მზადდება: ქვეყნებს, რომლებსაც კრედიტების აღება სურთ, დამატებით მოთხოვნებს წაუყენებენ: მოსახლეობის სრული ვაქცინაცია, საკარანტინე ზომები, ენერგეტიკის, მრეწველობისა და ტრანსპორტის დეკარბონიზაცია, სამეურნეო ბრუნვიდან ე.წ. დაცული ტერიტორიების ამოღება**

წლისთვის, კერძოდ, **გამოცხადდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი თანამშრომლობის სხვა მიდგომებს ამზადებს წევრ ქვეყნებთან. ადრე ეს მიდგომები განსაზღვრული იყო ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსით, ახლა კი კონსენსუსის ახალი ვერსია მზადდება: ქვეყნებს, რომლებსაც კრედიტების აღება სურთ, დამატებით მოთხოვნებს წაუყენებენ: მოსახლეობის სრული ვაქცინაცია, საკარანტინე ზომები, ენერგეტიკის, მრეწველობისა და ტრანსპორტის დეკარბონიზაცია, სამეურნეო ბრუნვიდან ე.წ. დაცული ტერიტორიების ამოღება.**

ივნისში ინგლისში გაიმართა G7-ის შეხვედრა, რომელშიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი **კრისტალინა გეორგიევაც** მონაწილეობდა. სამიტის დასრულების შემდეგის მან შედეგებით კმაყოფილება ვერ დამალა: „...მინდა, მადლიერება გამოვხატო შვიდეულის ჯგუფის მიმართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხის ალების სპეციალური უფლების (SDR) ახალი განაწილების მხარდაჭერისთვის, 650 მლრდ ევრო ისტორიაში ყველაზე დიდი ემისიაა. ეს დაგვეხმარება მსოფლიო რეზერვის მომატებაში და შექმნის აცილებელი საბიუჯეტო ხარჯების შესაძლებლობებს პანდემიიდან გამოსასვლელად“. SDR-ის ემისია ზაფხულის ბოლომდე მოხდება, თუმცა ყველაფერი იდეალურად არ არის.

**SDR-ის განაწილება წევრ ქვეყნებს შორის დაიწყება კაპიტალის ფონდში მათი წილების პროპორციულად. ე.წ. განვითარებადი ქვეყნები, დიდი ხანია, ცდილობენ თავიანთი წილის გაზრდას და განვითარებული ქვეყნების წილის შემცირებას. არსებული განაწილებით განვითარებად ქვეყნებს შეიძლება შეხვდეთ საერთო ემისიის მხოლოდ მესამედი (220 მლრდ დოლარი). ეს დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს მიმდინარე ვალების დასაფარავადაც კი არ ეყოფათ.** საპროცენტო გასავლებისა და მით უმეტეს ვალის ძირითადი თანხის დასაფარავად დაბალი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს გაცილებით მეტი თანხა დასჭირდებათ.

სხვაგვარად „ოქროს მილიარდის“ ზონის ფარგლებს გარეთ ვაქცინაციისა და დეკარბონიზაციის პროგრამები ჩაფლავდება.

უკვე დაახლოებით განსაზღვრულია თანხა, რომელიც საჭიროა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების პირველი რიგის ამოცანების გადასაჭრელად ვაქცინაციისა და დეკარბონიზაციისთვის — 100 მლრდ დოლარი. დანარჩენი 100 მლრდ დოლარს მიიღებდნენ კაპიტალში წილების (კვოტების) გადახედვის შედეგად, მაგრამ „დიდ შვიდეულს“ ასეთი ვარიანტი, ბუნებრივია, არ მოსწონს. ინგლისში გამართულ შეხვედრაზე „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებმა ვერ შეძლეს მოლაპარაკება, საიდან უნდა აიღონ 100 მლრდ დოლარი, რომელიც აკლდებათ. გლობალური ვაქცინაციისა და დეკარბონიზაციის გეგმები შეიძლება ბოლომდე ვერ შესრულდეს.

15 ივნისს, G7-ის სამიტის დასრულებიდან 2 დღის შემდეგ, მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადადგეს კიდევ ერთი ნაბიჯი „ორმაგ კრიზისთან“ ბრძოლის ხელშესაწყობად. დაწესდა მდგრადი და ინკლუზიური აღდგენისა და ეკონომიკური ზრდის **მაღალი დონის საკონსულტაციო ჯგუფი (მდსჯ).**

როგორც მსოფლიო ბანკის ვებგვერდზეა აღნიშნული, ამ ჯგუფის მიზანია ეკონომიკის პოლიტიკისა და იმ ინსტიტუციური საკითხების გაგების განვითარება, რომლებიც განსაზღვრავს ორმაგ კრიზისთან ბრძოლისადმი მიდგომას.

მდსჯ-ის ხელმძღვანელობას ერთობლივად განახორციელებენ მსოფლიო ბანკის მმართველი დირექტორი **მარი პანგესტუ,** საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტის დირექტორი **ჩეილა პაზარბაშიოღლუ** და ლორდი **ნიკალას სტერნი** — ეკონომიკის ლონდონის სკოლიდან.

ორივე ფინანსური ინსტიტუტის ხელმძღვანელმა კომენტარი გააკეთა მდსჯ-ის შექმნაზე. „ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფები ყველაზე ძლიერად დააზარალა პანდემიამ და კლიმატურმა ცვლილებებმა. ვიმედოვნებ, რომ ეს მაღალი დონის საკონსულტაციო ჯგუფი ახალ იდეებს შემოგვთავაზებს როგორც ცალკეული ქვეყნებისთვის, ისე სრულიად მსოფლიოსთვის...“ — განაცხადა მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტმა **დევიდ მალპასმა.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელმა დირექტორმა კრისტალინა გეორგიევამ კი აღნიშნა: „მსოფლიო შეეჯახა ორ მასშტაბურ კრიზისს — პანდემიასა და სავალუტო კლიმატურ ვითარებას, რომლებიც მოითხოვს რადიკალურ და შეთანხმებულ ზომებს. მდსჯ საკვანძო როლს შეასრულებს ამ მუშაობაში.

**უახლოეს მომავალში, სახელდობრ, მდსჯ-ს დაეკისრება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის წინადადებების მომზადება „ორმაგ კრიზისთან“ საბრძოლველად.** ამჟამად ეს ორი ფინანსური ინსტიტუტი 2021 წლის ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების მომზადებით არის დაკავებული, როგორიც არის G20-ის სამიტი რომში (ოქტომბერი), გაეროს 26-ე სესია კლიმატის ცვლილებებზე გლაზგოში (ნოემბერი). ორივე სამიტზე მთავარი საკითხი „ორმაგი კრიზისი“ იქნება.

Ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**გრიგოლ ოქიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე გათვალისწინებული იყო 1,5 მლრდ მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. ქარხნისთვის საჭირო იყო დაახლოებით 15 000 მუშა, მათგან 1 200 — ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი. ქარხნის კვალიფიციური მუშახელით უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის ქარხნებში სწავლობდა 3 000 კაცი და საქართველოს სხვადასხვა ქარხანაში — 2 000 კაცი.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-22, 2021 წ.

# სტალინური ეპოქის ქართული სახელმწიფო

**მკითხველს ამ წერილშიც ვთავაზობ უმნიშვნელოვანეს მასალას ქალაქ რუსთავის, აგრეთვე, რუსთავში მდებარე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ლეგენდარულ ისტორიას, რომელიც არა კვლევის, არა მონათხრობის, არამედ თვითმხილველის თვალით არის აღწერილი. უახლოესი ისტორიის მკვეთრ მოსახვევთა ლაბირინთებში ბევრი რამ დაიკარგა და ზოგი მოვლენაც მრუდე სარკეში აისახა, მაგრამ ანდაზისა არ იყოს, „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა“.**

ახლა კი მივყვეთ ფაქტობრივ მასალას, რომელიც იმ ეპოქის განუმეორებელი შრომითი გმირობისა და მამაცობის მაგალითს წარმოადგენს. მეტალურგიული ქარხნის საბოლოო პროდუქციას **საგლინავი საამქრო** უშვებდა — სხვადასხვა სახის ფოლადის ნაგლინს. ეს საამქრო უზრუნველყოფილი იყო წარმოების ყველა საჭირო მოწყობილობით (ბლუმინგითა და სხვადასხვა ზომის სპეციალური დაზგებით). მილების გლინვის საამქროს მიერ გამომუშავებული სხვადასხვა მილი განკუთვნილი იყო, ძირითადად, ნავთობის მრეწველობისთვის.

**ცეცხლგამძლე მასალების საამქრო** აკმაყოფილებდა ქარხნისა და გარე მომხმარებლების მოთხოვნას ცეცხლგამძლე მასალებზე, მათ შორის, პირველ რიგში, ბაქოს მილსაგლინავი ქარხნის მოთხოვნას.

**სარემონტო-დამხმარე** საამქროები მოიცავდა სხვადასხვა დანიშნულების საამქროს (ფასონ-სხმული სამჭედლოს, ლითონკონსტრუქციების, სარემონტო-მექანიკურ, სარემონტო-სამშენებლო, ხის დამამუშავებელ, სახარატო და ელექტროსარემონტო საამქროებს). მეტალურგიულ ქარხანას წელიწადში სჭირდებოდა 200 მლნ კვტ/საათზე მეტი ელექტროენერგია წარმოების საჭიროებასა და სხვა მომხმარებლებზე გასანაწილებლად. ქარხნის ელექტრომომარაგების წყარო იყო თბოელექტროსადგური, რომელიც უერთდებოდა რაიონულ ელექტრორკალს. თბოელექტროსადგური წელიწადში გამოიმუშავებდა 225 მლნ კვტ/სთ ენერგიას. ჭარბი ელექტროენერგია, დაახლოებით 20 მლნ კვტ/საათის ოდენობით, გადაეცემოდა რკალს. თბოელექტროსადგურთანვე იყო დაკავშირებული ქარხნისათვის საჭირო ორთქლის მიღება და ორთქლჰაერის საბერი მოწყობილობის მუშაობა. გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, ქარხნის საწარმოო და სამეურნეო საჭიროებისათვის წყლით უხვი მომარაგება. საწარმოო მიზნებისათვის ქარხნის საამქროებს სჭირდებოდა წამში 5 კუბ. მეტრი წყალი, მომარაგების წყარო იყო მდინარე მტკვარი, რომელზეც აშენდა წყლის გამწმენდი, მძლავრი სატუმბავი სადგური და სხვა ნაგებობანი. ქარხნის სასმელი და სამეურნეო წყლით მოსამარაგებლად გაყვანილი იყო თბილისის ახალი წყალსადენი ბულაჩაურის წყაროებიდან. **ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე გათვალისწინებული იყო 1,5 მლრდ მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. ქარხნისათვის საჭირო იყო დაახლოებით 15 000 მუშა, მათგან 1 200 — ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი. ქარხნის კვალიფიციური მუშახელით უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის ქარხნებში სწავლობდა 3 000 კაცი და საქართველოს სხვადასხვა ქარხანაში — 2 000 კაცი.**

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა ათეული წლობის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო რკინის მადნით, სათბობითა და სხვა საჭირო არამადნეული ნედლეულით. რკინის გამდიდრებული მადნის მომწოდებელი იყო აზერბაიჯანისა (დაშქესანის) და საქართველოს საბადოები, გამდიდრებული ქვანახშირისა — ტყიბული და ტყვარჩელი, შამოტისა — შრომა, დოლომიტისა — აბანო, ბენტონიტური თიხისა — ასკანა, ტალკისა — სამხრეთი ოსეთი. დაშქესანის საბადოებზე ადამიანი უხსოვარი დროიდან მუშაობდა. მისი შესწავლა მე-19 საუკუნის დამლევს დაიწყო, მაგრამ დეტალური კვლევა ჩატარდა მხოლოდ 1924 წელს. საბადოს მარაგი მეტალურგიულ ქარხანას უზრუნველყოფდა 60 წლით. მადნის ამოღება, ძირითადად, მიწისქვეშა სამუშაოებით წარმოებდა. ამოღების, გაწმენდისა და ტრანსპორტირების ყველა პროცესი მთლიანად მექანიზებული იყო. საბადოზე მუშაობდა 1 500 კაცი. ტყიბული და ტყვარჩელი ქარხანას ქვანახშირით უზრუნველყოფდა. ოპტიმალური ნაზავები იყო 60% ტყვარჩელისა და 40% ტყიბულის ნახშირი. მშრალი ნაზავიდან მიიღებოდა 68%-იანი კოქსი, ხოლო მისგან 90%-იანი მეტალურგიული კოქსი. შრომის (ძირულის) ცეცხლგამძლე თიხის მარაგი, რომლიდანაც შამოტის აგურიც მიიღებოდა, უზრუნველყოფდა ქარხანას 25-30 წლით, აბანოს დოლომიტისა — 30 წლით, ყველა დანარჩენი სახის ნედლეული სრულიად უზრუნველყოფდა ქარხნის მოთხოვნებს.

ამიეკავკასიის მეტალურგიული ქარხნის გარშემო აშენდა ახალი სოციალისტური ქალაქი, რომლის მოსახლეობის 50% შეასახლეს ინდივიდუალური ტიპის საცხოვრებელ სახლებში დამოუკიდებელი მეურნეობით. ქალაქის მშენებლობა ითვალისწინებდა მოსახლეობის სრულ კომუნალურ მომსახურებას მაღალ ტექნიკურ ბაზაზე. ქალაქს ჰქონდა სინათლე, სუფთა ჰაერი, წყალი და გამწვანება. აქ შეხამებული იყო ქალაქის მეურნეობის მაღალი მატერიალურ-ტექნიკური ორგანიზაცია და სოფლის ყველა დადებითი მხარე. **ახალი სოციალიტური ქალაქი რუსთავი, გენერალური გეგმის თანახმად, თავისი ეკონომიური საფუძვლით იყო სამრეწველო ქალაქი, ორგანიზებით — ჯანსაღი და მოხერხებული, გარეგნულად — ლამაზი, აგებული ძველი** ქართული ქალაქური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით. ასეთი ქალაქი გაშენდა ადგილზე, სადაც შორეულ წარსულში ფეოდალური ციხე იყო, უახლოეს წარსულში კი — საქონლის საძოვარი და საბოსტნე მინდვრები. ქალაქი გაშენდა მტკვრის ორივე ნაპირზე, რომლებსაც აერთებდა ხუროთმოძღვრულად გაფორმებული ხიდი, ხოლო ქარხანასა და სხვა დასახლებულ ადგილებთან მას აკავშირებდა 5-კილომეტრიანი სწორხაზოვანი მაგისტრალი.


რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

**ახალი სოციალისტური ქალაქი რუსთავი, გენერალური გეგმის თანახმად, თავისი ეკონომიკური საფუძვლით იყო სამრეწველო ქალაქი, ორგანიზებით — ჯანსაღი და მოხერხებული, გარეგნულად — ლამაზი, აგებული ძველი ქართული ქალაქური არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით. ასეთი ქალაქი გაშენდა ადგილზე, სადაც შორეულ წარსულში ფეოდალური ციხე იყო, უახლოეს წარსულში კი — საქონლის საძოვარი და საბოსტნე მინდვრები. ქალაქი გაშენდა მტკვრის ორივე ნაპირზე, რომლებსაც აერთებდა ხუროთმოძღვრულად გაფორმებული ხიდი, ხოლო ქარხანასა და სხვა დასახლებულ ადგილებთან მას აკავშირებდა 5-კილომეტრიანი სწორხაზოვანი მაგისტრალი**

ნავარაუდევი იყო, რომ ქალაქ რუსთავში უნდა ეცხოვრა 50 ათას კაცს. საცხოვრებელი სახლები უმეტესად ორსართულიანი იყო. მთავარ მაგისტრალზე აიგო სამსართულიანი სახლებიც. ეს დაკავშირებული იყო ჰავასა და სეისმურ პირობებთან. სოციალისტური ქალაქის თითოეული საცხოვრებელი კვარტალი უზრუნველყოფილი იყო საჭირო საყოფაცხოვრებო და კულტურული დაწესებულებებით (სასადილო, საბავშვო ბაგები, ბაღები, სამედიცინო პუნქტი, სხვადასხვა სახელოსნო და ა.შ.). ქარხნას ბინები მოწყობილი იყო აბაზანებით, საკუჭნაოთი, სამზარეულოთი. ქალაქი ორიენტირებული იყო სამხრეთისა და აღმოსავლეთის გაბატონებული ქარების წინააღმდეგ, რათა ზაფხულობით უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისი ბინებისა და ქუჩების გამჭოლი განიავება საცხოვრებელი კვარტლის გამონაბოლქვებისა და გაზებისგან დასაცავად. ქალაქი ქარხანას დაშორებული იყო 2-2,5 კმ გზით, რომლის მეოთხედს იჭერდა გამწვანებული ზოლი. კვარტლების გამწვანება აღწევდა 70%-ს. მთელი საცხოვრებელი ზონა შემორტყმული იყო მწვანე საფარით; ყოველივე ეს ძირფესვიანად ცვლიდა რუსთავის სახეს. ქალაქის ქუჩებს, მათი დანიშნულების მიხედვით (მაგისტრალური, ქალაქის, სატრანსპორტო და საცხოვრებელი), ჰქონდა 4-დან 12 მეტრამდე სიგანე. ქუჩები მიემართებოდა ძირითადი მაგისტრალის პერპენდიკულარულად ქალაქის დიდი ღერძის მიმართულებით და ქმნიდა ყველაზე მოკლე მანძილს მაგისტრალსა და ქალაქის ცალკეულ პუნქტებს შორის. ქალაქს ჰქონდა 500-ადგილიანი კლუბი და კინოთეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, პოლიკლინიკა, საავადმყოფო უბანი, მთავარი მაგისტრალის გასწვრივ მთელი რიგი ადმინისტრაციული განცალკავებული შენობები ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშების მიხედვით იყო აგებული.

ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი იყო კოქსის დიდი მომხმარებელი, ხოლო ნახშირის ბაზაზე წარმოიქმნა საქართველოს კოქს-ქიმიის (ძირითადი ქიმიის) მრეწველობა. **ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის გამსხვილებამ გამოიწვია ქიმიური მრეწველობის პროდუქციის საჭიროება, სამთო-მინერალური და მცენარეული ნედლეულის ბაზის გაფართოება. ენერგეტიკული მშენებლობის გაშლა უზრუნველყოფდა დიდი ქიმიის შექმნას და, ამგვარად, ჩვენი ქიმიური მრეწველობის პროდუქცია აკმაყოფილებდა არამხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მოთხოვნებსაც.**

## ქიმიური მრეწველობა

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, საქართველოში საჭირო მედლეულის სიუხვის მიუხედავად, ქიმიური მრეწველობა ფრიად ჩამორჩენილი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე გააჩაღა დიდი მუშაობა მრეწველობის ამ დარგის ასაღორძინებლად. პირველ ხუთწლედში შეიქმნა **თბილისის ქიმიური კომბინატი,** რომელიც სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის საკმაოდ მრავალფეროვან პროდუქციას უშვებდა. **მალე დაიწყო, აგრეთვე, საქართველოს ქიმიური მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმოს, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის, მშენებლობა, რომელიც ამ პროფილის ყველაზე მძლავრი ქარხანა იყო საბჭოთა კავშირში. ლითოფონი, რომლის ძირითად ნედლეულს ბარიტი წარმოადგენდა, ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც მასალა, რეზინის, პლასტმასების, ტექნიკური ქსოვილებისა და სხვა წარმოებაში, მაგრამ იგი განსაკუთრებით ძვირფასი იყო, როგორც იშვიათი თეთრი საღებავი. ლითოფონის ქარხანა ამუშავდა 1940 წელს.** მეორე სტალინურ ხუთწლედში აშენდა და ამუშავდა ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა თბილისში, ნატანების ბიტუმის ქარხანა, რომელიც ამარაგებდა ლენინგრადისა და უკრაინის ლაქსაღებავების მრეწველობას. შეიქმნა და დიდ საწარმოებად იქცა კოოპერაციის ორი არტელი, რომლებმაც ლაქსაღებავებისა და მინერალური ზეთების წარმოებაში ძირითადი ადგილი დაიკავა. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მოეწყო პერმანგანიტის საამქრო, რომელიც იმხანად ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში. ამას გარდა, **გაფართოვდა როგორც ქიმიური კომბინატის, ისე კოოპერაციის საწარმოთა ხაზით ლაქსაღებავების, კერძოდ, თეთრას, საპნის, ზეთის, სოდის, შაბიამნის, სასტამბო საღებავებისა და მრავალი სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ქიმიკატის წარმოება, ხეტყის მშრალი გამოხდა და სხვ. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ქიმიური მრეწველობის შედარებით მნიშვნელოვან დარგებად იქცა ლაქსაღებავებისა და ფარმაცევტული მრეწველობა, რომელთა პროდუქციით მარაგდებოდა არა მხოლოდ საქართველო, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც.** სამამულო ომის პერიოდში ჩვენმა ქიმიურმა საწარმოებმა ნაწილობრივ ძირითადი ნედლეულის, უფრო მეტად ქიმიური და რიგი სხვა წარმოების ნარჩენების საფუძველზე განავითარეს გამოშვება ფრონტისათვის საჭირო ბევრი ისეთი ქიმიკატისა, რომლებიც მანამდე სსრ კავშირის სხვა რაიონებიდანაც არ შემოგვქონდა (ცეცხლგამძლე საღებავები, ცეცხლსაქრობი მასალები, გოგირდისა და ძმრის მჟავა, ლაჟვარდის საღებავები და სხვ.) და იმპორტის საგანიც კი იყო. 1946-1950 წლებში საქართველოს კოოპერაციის სისტემაში აშენდა და ამუ- ▶

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის გამსხვილებამ გამოიწვია ქიმიური მრეწველობის პროდუქციის საჭიროება, სამთო-მინერალური და მცენარეული ნედლეულის ბაზის გაფართოება. ენერგეტიკული მშენებლობის გაშლა უზრუნველყოფდა დიდი ქიმიის შექმნას და, ამგვარად, ჩვენი ქიმიური მრეწველობის პროდუქცია აკმაყოფილებდა არამხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მოთხოვნებსაც.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შავდა შაბიამნის ქარხანა, წლიურად 2 000 ტონა პროდუქციის სიმძლავრისა და მოეწყო წლიურად 150 ტონა ნაკეთობის მომცემი პლასტრეზინის საწარმო.

## საშენ მასალათა მრეწველობა

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე საქართველოს საშენ მასალათა წარმოება რამდენიმე მცირე სიმძლავრის აგურის, კრამიტის, კირისა და ხეტყის სახერხი ქარხნით იყო წარმოდგენილი. ეს სარეწავები აკმაყოფილებდა იმჟამინდელი მშენებლობის მოთხოვნებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო ნაირსახოვანი და მაღალხარისხიანი საშენი მასალების საბადოების საფუძვლიანი შესწავლა. **ძველად ცნობილი და უმთავრესად ახალგამოვლენილი საბადოების საფუძველზე აგეს საშენ მასალათა დამამზადებელი სრულიად მექანიზებული საწარმოები.** ფაბრიკა-ქარხნების, კომუნალურ, საბინაო, კულტურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მასობრივი მშენებლობის გაშლა ბუნებრივი აუცილებლობით გულისხმობდა საშენ მასალათა მრეწველობის შექმნასა და განვითარებას, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კაპიტალური მშენებლობის ისეთი გრანდიოზული ტემპით წინსვლა, როგორსაც მოითხოვდა სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ინტერესი.

სტალინური ხუთწლედის პერიოდში აიგო მრავალი ახალი აგურის ქარხანა, ხოლო ძირფესვიანად რეკონსტრუირებულ იქნა **ძველი ქარხნები** — თბილისის, შროშის, ნოსირის, გალის, სოხუმის ქუთაისის, ხაშურის, ზუგდიდის, სტალინირის, სამტრედიისა და ა. შ. აშენდა კრამიტის ქარხნები ნოსირში, ქუთაისში; მხოლოდ 1940 წელს სხვადასხვა რაიონში ამუშავდა 9 ახალი ქარხანა 3,6 მლნ ცალი კრამიტის საერთო წლიური საწარმოო სიმძლავრით. **კირის ქარხნები** გაიმართა მოწამეთაში, სურამში, ძეგვში, ცხაკაიაში, იორში... აშენდა ცარცის ქარხნები ცაიშში, გალში; ალებასტრის ქარხნები — ქუთაისში, ხუდონში; ხეტყის სახერხი ქარხნები — მცხეთაში, ქუთაისში, თბილისში, ზუგდიდში, სტალინირში, ახალციხეში, კოდორში, კოლდახვარში, გაგრაში, ახალდაბაში, სამტრედიაში და ა.შ. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ხის დამამუშავებელ ცენტრალურ ქარხანას ბათუმში, საშენი დეტალების ქარხანას თბილისში. **საკედლე მასალით მშენებლობის მომარაგების მიზნით, გარდა აგურის ქარხნებისა, თბილისში აიგო ბეტონის საკედლე ბლოკების ქარხანა, რომლის წლიური სიმძლავრე 7,5 მლნ ცალი აგურის ეკვივალენტი იყო. თბილისშივე აშენდა ბუნებრივი ქვების დამამუშავებელი ქარხანა. მოეწყო საკედლე, მოსაპირკეთებელი და დეკორაციული საშენი მასალის წარმოება ბუნებრივი ქვების საბადოების საფუძველზე ეკლარში, ბოლნისში (ტუფი), კურსებში (გრანიტი) და სხვ. ფართოდ იყო ორგანიზებული, აგრეთვე, სხვა სახის სამშენებლო ქვის, ქვიშისა და ხრეშის მოპოვება.** საშენ მასალათა სამრეწველო დარგში საქართველოს მშრომელთა უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენდა ცემენტის წარმოება. **1931 წელს ამუშავდა სტალინის სახელობის ცემენტის მძლავრი მექანიზირებული ქარხანა კასპში. ქარხანა უშვებდა მაღალხარისხიან ცემენტს, სატამპონაჟო ცემენტით ამარაგებდა აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობასაც.** ასეთივე დიდი მნიშვნელობის იყო **მარმარილოს** დამუშავება. მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში შეიქნა შესაძლებელი საქართველოს მარმარილოს მდიდარი საბადოების ექსპლოატაცია. **1937 წელს აიგო თბილისის მარმარილოს ქარხანა 6 ათას კვ მეტრი მარმარილოს დაფის წლიური საწარმოო სიმძლავრით. საქართველოს მარმარილო თავისი საუცხოო ფიზიკური და ქიმიური თვისებებით უახლოვდებოდა იტალიისა და საბერძნეთის მარმარილოებს. ჩვენ მოგვეპოვებოდა პირველხარისხოვანი თეთრი მარმარილო (სტატუარიო), რომელიც თავისი ხარისხით უთანაბრდებოდა იტალიის კარნარისს, საბერძნეთის პენტილიკონისა და ფაროსის ამავე ტიპის მსოფლიო მნიშვნელობის მარმარილოებს,** აგრეთვე, გვქონდა ფერადი მარმარილო, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა იტალიურ ცნობილ მარმარილოებს. ცხადია, საქართველოს მარმარილოს ჰქონდა საკავშირო და საექსპორტო მნიშვნელობა. იგი თავისუფლად უწევდა კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე გატანილ ძვირფას მარმარილოებს. მარელისის, მოლითის, შროშის, ბჟინევის, საკასრიის, სალიეთის, მელაურის, სვანეთის, სადახლოსა და სხვა ადგილების მარმარილოს საბადოები უდიდეს სამრეწველო მარაგს შეიცავდა.

მარმარილო ფართოდ გამოიყენებოდა არა მხოლოდ მშენებლობაში, არამედ ხელოვნებაში (ქანდაკება), ელექტროტექნიკაში, ქიმიურ მრეწველობაში. მისგან მზადდებოდა საყოფაცხოვრებო საგნები, მაგრამ მისი გამოყენება უპირატესად მაინც მშენებლობის დარგში ხდებოდა. დიდი შენობებისა და მონუმენტების აგებისას მარმარილოს, როგორც დეკორაციული მასალის, უგულებელყოფა შეუძლებელი იყო და არის. ქართული მარმარილო გამოიყენეს სტალინური ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილების — მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაში. ქართული მარმარილო გამოყენებული იყო მთელ საბჭოთა კავშირში, როგორც საუკეთესო მარმარილო. მრავალი მსხვილი ობიექტის მშენებლობაზე ასევე გამოიყენებოდა მაღალხარისხოვანი დეკორაციული მარმარილო. საშენ მასალათა მრეწველობის, როგორც სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, შექმნა საქართველოს მშრომელთა თვალსაჩინო მონაპოვარი იყო საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში. საშენ მასალათა მრეწველობის თითქმის ყველა ზემოხსენებული საწარმო უახლესი ტექნიკით იყო შეიარაღებული და შრომის პროცესებიც ძირითადად მექანიზებული იყო. მრავალრიცხოვანი საწარმოების გამართვა და საშენ მასალათა მრეწველობის ახალი დარგების შექმნა, რასაკვირველია, მოითხოვდა დიდი მოცულობის კაპიტალურ დაბანდებებს. **მხოლოდ ცემენტის წარმოებაში 1928-დან 1943 წლამდე დაბანდებულ იქნა 23,9 მლნ მანეთი. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს მიერ 1939-1944 წლებში ამ დარგში დააბანდეს 21,9 მლნ მანეთი. კაპიტალური დაბანდების პარალელურად იზრდებოდა, აგრეთვე, წარმოების ძირითადი ფონდები, რომლებიც მხოლოდ საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ხაზით 1940 წლის 1 იანვრისათვის, საბალანსო ღირებულებით, უდრიდა 13,1 მლნ მანეთს, ხოლო 1945 წლის 1 იანვრისათვის მიაღწია 20,9 მლნ მანეთს, ე.ი., მოიმატა 59,5%-ით.** რეგულარულად იზრდებოდა, აგრეთვე, ამ დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. მაგალითად, ცემენტის გამოშვების მაჩვენებელი შეადგენდა 1933 წელს 112,8 ათას ტონას, 1937 წელს — 117,1 ათას ტონას, ხოლო 1940 წელს — 118,6 ათას ტონას. აგურის გამოშვება შეადგენდა 1933 წელს 56,4 მლნ ცალს, 1937 წელს — 90,5 მლნ ცალს, ხოლო 1940 წელს — 96,3 მლნ ცალს. კრამიტის გამოშვებამ 9,2 მლნ ცალიდან (1933 წელს) 14,5 მილიონ ცალამდე (1937 წელს) მოიმატა, ე.ი., 57,6%-ით;

რეგულარულად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერების ზრდის პარალელურად უმჯობესდებოდა მუშათა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა, რაც ნაწილობრივ გამოიხატებოდა მუშათა ხელფასის გადიდებით. მხოლოდ საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ხაზით აგურ-კრამიტის წარმოების მუშათა საშუალო წლიურმა ხელფასმა 1940 წლის 3 440 მანეთიდან მოიმატა: 1941 წელს — 3 877 მანეთამდე, ე.ი., 27,3%-ით, 1942 წელს — 3 536 მანეთამდე, ე.ი., 2,7%-ით, 1943 წელს — 3,957 მანეთამდე, ე.ი., 15%-ით.

დიდი ამოცანები დადგა საშენ მასალათა მრეწველობის წინაშე სტალინურ მეოთხე ხუთწლედში. ამის შესახებ შემდეგ ნომერში გიამბობთ.



კასპის ცემენტის ქარხანა



ლითოფონის ქარხანა ქუთაისში



**ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის გამსხვილებამ გამოიწვია ქიმიური მრეწველობის პროდუქციის საჭიროება, სამთო-მინერალური და მცენარეული ნედლეულის ბაზის გაფართოება. ენერგეტიკული მშენებლობის გაშლა უზრუნველყოფდა დიდი ქიმიის შექმნას და, ამგვარად, ჩვენი ქიმიური მრეწველობის პროდუქცია აკმაყოფილებდა არამხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მოთხოვნებსაც**




## ყურადღება!

„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის" მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ამერიკა, როგორიც იგი არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თავდაცვის მინისტრმა უილიამ კოენმა 2000 წლის დეკემბერში ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას ყველა გააფრთხილა, რომ, თუ ევროკავშირი სამხედრო პოტენციალს ნატოს ფარგლებს გარეთ შექმნიდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „გადმონაშთად“ იქცეოდა.**

# ლიდერების ქედმაღლობა და ნარცისიზმი — აშშ-ის პოლიტიკის არსი

**აშშ-ის ლიდერები რეგულარულად ამტკიცებენ, რომ ქვეყანა მოქმედებს „საერთაშორისო წესრიგზე დაფუძნებული წესებით“ და ვაშინგტონი ყოველთვის ცდილობს, ითამაშოს კეთილგანწყობილი გლობალური ლიდერის როლი. სინამდვილეში ყველაფერი ნაკლებად ფერადოვანი და გაცილებით ეგოისტურია.**

„ვაშინგტონის პოზიცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — ეს არის ქედმაღლური ეროვნული ნარცისიზმი და დღეს ეს პრობლემა მოგვარებული არ არის“, — წერს **ტედ გალენ კარპენტერი** The American Conservative-ში რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში.

ამ თვალსაზრისის ყველაზე ლაკონური გამოხატულება იყო ყოფილი სახელმწიფო მდივნის, **მადლენ ოლბრაიტის**, კომენტარი, რომელიც მან გააკეთა 1998 წლის თებერვალში ტელეარხ NBC-ისთვის მოცემულ ინტერვიუში:

*„ჩვენ ვართ ამერიკა, ჩვენ ვართ შეუცვლელი ერი. ჩვენ მყარად ვდგავართ და ვიმზირებით მომავალში უფრო შორს, ვიდრე სხვა ქვეყნები“, — თქვა ოლბრაიტმა.

მსგავსი განწყობა ოლბრაიტამდეც არსებობდა. ეს განწყობა არსად წასულა პოსტიდან მისი წასვლის შემდეგ. ანალოგიური ტონი შეიძლება იპოვოთ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუში-უფროსის** 1991 წლის მიმართვაში ამერიკელი ხალხისადმი.

* „ამერიკაში თაობები სათავეში ედგნენ თავისუფლების სიკეთეების შენარჩუნებისა და გავრცელებისთვის ბრძოლას. და დღეს სწრაფად ცვალებად მსოფლიოში ამერიკის ლიდერობის გარეშე შეუძლებელია. ამერიკელებმა იციან, რომ ლიდერობას მოაქვს ტვირთი და მსხვერპლი“, — მიუთითებდა ბუში.

**„მაგრამ ჩვენ, აგრეთვე, ვიცით, რატომ არის კაცობრიობის იმედები ჩვენთან დაკავშირებული. ჩვენ ამერიკელები ვართ, ჩვენ გვეკისრება უნიკალური პასუხისმგებლობა — ვაკეთოთ თავისუფლების მძიმე საქმე და, როცა ჩვენ ამას ვაკეთებთ, თავისუფლება მუშაობს“**, — აღნიშნავდა ბუში.

2021 წლის თებერვალში უსაფრთხოების მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლისას **ჯო ბაიდენმა** განაცხადა, რომ ის გამოდის, „როგორც აშშ-ის პრეზიდენტი, და მსოფლიოს უგზავნის მკაფიო სიგნალს: „ამერიკა დაბრუნდა“.

**ამერიკის ახალ ლიდერს უნდოდა, ეთქვა: წინა პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, პერიოდში აშშ-მა უგულებელყო, თუ სრულიად არ დაკარგა, გლობალური ლიდერის როლი. დიდი შვიდეულის ივნისის სამიტის შემდეგ ჯო ბაიდენმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენ უნიკალური ვართ, როგორც ქვეყანა“.**

ქედმაღლობა და ნარცისიზმი არ შემოიფარგლება აშშ-ის ლიდერების რიტორიკით. ისინი ხშირად განსაზღვრავენ ვაშინგტონის პოლიტიკის არსს. ამის ერთ-ერთი მაგალითია, როგორ გადაწყვიტა **ბილ კლინტონის** ადმინისტრაციამ ატომური პროგრამის პრობლემა ჩრდილოეთ კორეაში 1994 წელს.

თავის მემუარებში კლინტონი მიუთითებს, რომ მტკიცეედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ომის რისკის ფასადაც კი, ხელი შეეშალა ჩრდილოეთ კორეისთვის, შეექმნა ბირთვული არსენალი. თავდაცვის მინისტრმა **უილიამ პერიმ** მოგვიანებით აღიარა, რომ ადმინისტრაცია სერიოზულად განიხილავდა „ქირურგიულ დარტყმებს“ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ობიექტებზე“. საბედნიეროდ, ყოფილმა პრეზიდენტმა **ჯიმი კარტერმა** დაარწმუნა კლინტონი, რომ მისთვის მიეცა შესაძლებლობა, ფხენიანს დალაპარაკებოდა და მშვიდობიანად მოეგვარებინა ეს კრიზისი. იმხანად სასწაულით მოხდა ტრაგედიის თავიდან აცილება. მაგრამ არც კლინტონსა და არც მის მრჩევლებს გაკვრითაც არ უხსენებიათ, რომ სამხრეთ კორეის სურვილებმა შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს ვაშინგტონის გადაწყვეტილებაზე, შეეჩერებინა დარტყმა კსდრ-ზე. ეს ეხება იაპონიას და ვაშინგტონის სხვა მოკავშირეებსაც აღმოსავლეთ აზიაში, მიუხედავად იმ შედეგებისა (მათ შორის რეგიონის რადიოაქტიური დაბინძურება), რომლებსაც მიიღებენ ისინი აშშ-ის ავიადარტყმებით ბირთვულ ობიექტებზე.

მნიშვნელოვან საკითხებში მოკავშირეების სურვილებისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ტიპური მაგალითია ვაშინგტონის საქციელისა ათწლეულების განმავლობაში. კიდევ ერთი მაგალითი, როგორ მუშაობდნენ უსაფრთხოების სფეროში მოკავშირეების ნებისმიერი ინიციატივისთვის ძირის გამოსათხრელად.

ვაშინგტონის ე.წ. მახრჩობელა პოზიცია სრულად გამოვლინდა ეპიზოდში, რომელიც მოხდა 1990-იანი წლების ბოლოს. **საფრანგეთი და სხვა რამდენიმე ევროპული ქვეყანა ცდილობდნენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნას ევროპისთვის. მას უნდა ჰქონოდა მხოლოდ ევროპული სამხედრო პოტენციალი და ემოქმედა ნატოს ჩარჩოებში ევროკავშირის ხელმძღვანელობით. მოკავშირეებმა წამოაყენეს წინადადება, შეექმნათ სწრაფი რეაგირების ძალები ევროპელთა კონტროლით.**

ამას აშშ-ის ხელმძღვანელებმა დამდუღრულივით უპასუხეს. ზოგიერთი უარყოფა ისტერიკასთან ახლოს იყო. **თავდაცვის მინისტრმა უილიამ კოენმა 2000 წლის დეკემბერში ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას ყველა გააფრთხილა, რომ, თუ ევროკავშირი სამხედრო პოტენციალს ნატოს ფარგლებს გარეთ შექმნიდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „გადმონაშთად“ იქცეოდა.**

ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციის ოფიციალურ პირებსაც ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდათ. 2003 წლის ოქტომბერში ნატოში აშშ-ის ელჩმა **ნიკოლას ბერნსმა** მწვავედ გააკრიტიკა ევროკავშირის გეგმა დამოუკიდებელი სამხედრო პოტენციალის შექმნის შესახებ. ბერნსმა ევროპელთა ძალისხმევას „ტრანსატლანტიკური თანამეგობრობისთვის ყველაზე დიდი ხიფათი უწოდა“.

**ჯონ ბოლტონი**, რომელიც შემდგომ მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწე იყო ბუშის ადმინისტრაციაში, მოგვიანებით კი — **დონალდ ტრამპის** მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, განსაკუთრებით აკრიტიკებდა სწრაფი რეაგირების ძალებს და მას უწოდებდა „ნატოს გულისკენ მიმართულ ხანჯალს“. ბოლტონის გავლენით, ტრამპის ადმინისტრაციამ მწვავედ გამოავლინა მტრობა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** აალორძინა ევროკავშირში არმიის შექმნის იდეა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ადმინისტრაციები, როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული, რეგულარულად დაიჩივლებდნენ ხოლმე, რომ ევროპის ქვეყნები არასაკმარისად აფინანსებდნენ თავიანთ თავდაცვას და საკუთარ მხრებზე არ იღებენ ტვირთის საკმარის წილს, ისინი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ ამ მოკავშირეების დამოუკიდებელ ინიციატივებს უსაფრთხოების სფეროში. **აშშ-ის ოფიციალურ პირებს პასუხისმგებლობის ტვირთის გადანაწილება კი სურთ, მაგრამ მხოლოდ ნატოს ჩარჩოებში, სადაც ყველაფერს ვაშინგტონი წყვეტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკელები მიისწრაფვიან იქით, რომ ევროპის ქვეყნებმა უფრო აქტიური ზომები გაატარონ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.**



აშშ-ის ოფიციალური პირები ზოგჯერ არა მხოლოდ გულგრილად ეპყრობიან ამერიკის პარტნიორებს უსაფრთხოების საკითხებში, არამედ მათ მიმართ ზიზღსაც გამოხატავენ. ეს ცხადად გამოჩნდა, როცა ევროპელი მოკავშირეები ცდილობდნენ, გამკლავებოდნენ 1990-იან წლებში იუგოსლავიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ ქაოსს. გავრცელებული ინფორმაციით, **ჯორჯ ბუში-უფროსის** ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ხაზი გადაუსვა ევროპელთა ამბიციებს და დაცინვით თქვა, რომ „ევროპელებს სამი ავტომობილისგან შემდგომი კორტეჟის ორგანიზებაც კი არ შეუძლიათ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამაზე მათი სიცოცხლე იქნება დამოკიდებული.

**ელის რუზველტ ლონგვორტმა**, პრეზიდენტ **თეოდორ რუზველტის** ქალიშვილმა, ერთხელ განაცხადა: მამაჩემი ისეთი ეგოისტი იყო, დაკრძალვებზე უნდოდა, ცხედარი ყოფილიყო, ქორწილში კი — პატარძალიო. აშშ-ის ქედმაღალი ოფიციალური პირები ცდილობენ, ანალოგიური სტატუსი მიანიჭონ აშშ-საც. მათ უნდათ, რომ ვაშინგტონი ყველაფერში ერეოდეს, მაშინაც კი, თუ ასეთ პოლიტიკას მოაქვს როგორც ფინანსური ტვირთი, ისე სამხედრო რისკები ამერიკელი ხალხისთვის.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**ელის რუზველტ ლონგვორტმა, პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის ქალიშვილმა, ერთხელ განაცხადა: მამაჩემი ისეთი ეგოისტი იყო, დაკრძალვებზე უნდოდა, ცხედარი ყოფილიყო, ქორწილში კი — პატარძალიო. აშშ-ის ქედმაღალი ოფიციალური პირები ცდილობენ, ანალოგიური სტატუსი მიანიჭონ აშშ-საც. მათ უნდათ, რომ ვაშინგტონი ყველაფერში ერეოდეს, მაშინაც კი, თუ ასეთ პოლიტიკას მოაქვს როგორც ფინანსური ტვირთი, ისე სამხედრო რისკები ამერიკელი ხალხისთვის**

**ვაშინგტონის ე.წ. მახრჩობელა პოზიცია სრულად გამოვლინდა ეპიზოდში, რომელიც მოხდა 1990-იანი წლების ბოლოს. საფრანგეთი და სხვა რამდენიმე ევროპული ქვეყანა ცდილობდნენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნას ევროპისთვის. მას უნდა ჰქონოდა მხოლოდ ევროპული სამხედრო პოტენციალი და ემოქმედა ნატოს ჩარჩოებში ევროკავშირის ხელმძღვანელობით. მოკავშირეებმა წამოაყენეს წინადადება, შეექმნათ სწრაფი რეაგირების ძალები ევროპელთა კონტროლით**

**ამერიკელი ისტორიკოსი ამერიკაში შექმნილ სოციალური განხეთქილების ფენომენს „ელიტის კვლავწარმოებითა“ და საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან ზედა ფენების თვითიზოლაციით ხსნის. „ვითარება ისეთი ექსტრემალური ხდება, რომ ძირი ეთხრება სოციალურ ნორმებს და იშლება ინსტიტუტები“. აშშ-ისთვის საგანგაშო სიგნალია არმიაში პოლიტიკური დაძაბულობის გაღრმავება.**

«ამერიკული თინეიჯის» დაისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ცნობილმა ამერიკელმა ჟურნალისტმა და მწერალმა ჯორჯ პაკერმა ჟურნალ The Atlantic-ში გამოაქვეყნა სტატია How America Fractured Info Four Parts (როგორ გაიყო ამერიკა ოთხ ნაწილად). „ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს არ აქვს საერთო მიზნები და ფასეულობები და არც საერთო ისტორია და ეროვნული იდეალები“, — წერს პაკერი, რომელიც გამოყოფს ამერიკელების 4 ტიპსა და 4 ამერიკას:

# გახლეჩილი ამერიკა

## ამერიკელ ხალხს არ აქვს საერთო მიზნები და ფასეულობები



1. „თავისუფალი ამერიკა“ (Free America) — ესენი არიან ამერიკელები, რომლებსაც სჯერათ კონსერვატიული იდეალების;
2. „ჭკვიანი ამერიკა“ (Smart America), ანუ ლიბერალი განათლებულების წრე;
3. „ნამდვილი ამერიკა“ (Real America) — ეს, პაკერის აზრით, არის „მიწის მარილი“, რომელიც სკეპტიკურად არის განწყობილი გლობალური მსოფლიო წესრიგის მიმართ;
4. „სამართლიანი ამერიკა“ (Just America) — მილენიუმელთა თაობა, შეშფოთებული რასიზმითა და სოციალური უთანასწორობით.

თითოეული ამერიკა „გამოარჩევს გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს“.

**„თავისუფალ ამერიკაში“** გამარჯვებულები არიან შემოქმედნი, დამარცხებულები კი — ისინი, ვისაც სურს, ჩაითრიონ დანარჩენები და იყვნენ მთავრობაზე მუდმივად დამოკიდებულნი.

**„ჭკვიან ამერიკაში“** გამარჯვებულები ხდებიან მერიტოკრატები, დამარცხებულები — ცუდი განათლების მქონენი.

**„ნამდვილ ამერიკაში“** გამარჯვებულები არიან შრომისმოყვარე თეთრკანიანი ქრისტიანები, ხოლო დამარცხებულები — გამყიდველი ელიტა, რომელიც ხალხს ასნებოვნებს ქვეყნის დანგრევის სურვილით.

ასე გაიყო ამერიკა რესპუბლიკელებისა და დემოკრატების მრავალწლიანი კონკურენციის პირობებში. ავტორის აზრით, **ორი პარტია მკაფიოდ გაიყო XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს — რესპუბლიკელებმა მხარი დაუჭირეს ინდივიდუალურ მეწარმეობას, დემოკრატებმა კი — სოციალურ სოლიდარობას.** 1970-იან წლებში ბოლო მოეღო ომისშემდგომ ორპარტიულ ამერიკას და მასთან ერთად ორ მუდმივ ნარატივს სტაბილურად წინსვლისა (რესპუბლიკელები) და სამართლიანობის სახელით (დემოკრატები) საფუძვლების ზომიერად შეჯანჯღარების (და არა დანგრევის) შესახებ. „მათ ადგილას, — წერს პაკერი, — აღმოცენდა „4 კონკურენტული ნარატივი“ და ახალი განხეთქილებაა „იმ უფსკრულის თავზე, რომელმაც ქვეყანა ორად გაყო“.

**„თავისუფალი ამერიკა“** (FREE AMERICA), **ბოლო ნახევარი წელია, ყველაზე გავლენიანი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით. ის ეყრდნობა ლიბერტარიანულ იდეებს. ლიბერტარიანული თავისუფლება — ეს არის ნეგატიური თავისუფლება დაფუძნებული პრინციპზე „არ შემაწუხო“.** ლიბერტარიანელთა საკულტო წიგნი არის **აინ რეიდის** „ატლანტი მხრებს ისწორებს“, რომელშიც ხოტბაა შესხმული „ამერიკული მითისთვის ადამიანზე, რომელმაც თავი თვითონ შექმნა“.

რონალდ რეიგანის პრეზიდენტობისას, რომელიც „თავისუფალი ამერიკის“ ერთგული იყო, გაანადგურეს პროფკავშირები და დახურეს სოციალური პროგრამები, დადგა Walmant-ის, Citi grup-ის, Google-ს, Amazon-ის, JP Morgan-ის, Standard Oil-ის მონოპოლიის ეპოქა. ჩარლზ და დევიდ კოხები, ლიბერტარიანელი მილიარდერები, ფულს დებდნენ „თავისუფალი ამერიკის“ პოლიტიკურ კამპანიებში და მოქმედებდნენ, როგორც კორპორაციული ხელისუფლების წარმომადგენლები. „ამ ამერიკის კრახის მიზეზები, — მიაჩნია პაკერს, — იყო მის საფუძველში ჩადებული კლანური კაპიტალიზმი და დაბალი რეპუტაციის ლიდერები“.

და როცა ცოდნის ახალმა ეკონომიკამ შექმნა ამერიკელთა ახალი კლასი, ქალებისა და მამაკაცების, უმაღლესი განათლებით, ციფრებისა და სიმბოლოების მიმართ გამოცდილებით, საკუთარ თავზე ხმამაღლა განაცხადა **„ჭკვიანმა ამერიკამ“**, რომ მას სჭირდებოდა მთავრობის მხარდაჭერა, რათა ყველას ჰქონოდა წინსვლის თანაბარი შანსი.

„ჭკვიანმა ამერიკამ“, პოლიტიკური თვალსაზრისით, ასოცირება დაიწყო დემოკრატიულ პარტიასთან, რამაც ხალხისგან მისი მოწყვეტა გამოიწვია. დემოკრატიულ პარტიას 1970-1980 წლებში ქარხნების სტიქიურად დახურვის სტიქიურ უბედურებად აღიარებაზე უარი რომ არ ეთქვა, დეინდუსტრიალიზაციის მსხვერპლი მილიონობით მუშის მხარდამჭერად რომ ქცეულიყო, მას შეეძლო, დარჩენილიყო მუშათა კლასის მრავალეროვან პარტიად, რომელიც არსებობდა 1930-იან წლებში. მაგრამ ეს არ მოხდა, ამიტომ თეთრმა სამხრეთმა დატოვა

**აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვება გააღრმავებს განხეთქილებას ამერიკელ საზოგადოებაში, რადგან დემოკრატების პოლიტიკა მიმართულია საზოგადოების რასობრივი, კლასობრივი, მორალურ-იდეოლოგიური ნიშნით კატეგორიებად დაყოფისკენ და ის, რაც კარგია ამ ჯგუფებიდან ზოგიერთისთვის, სხვებისთვის დაუშვებელია**

დემოკრატიული პარტია და „ჭკვიანი ამერიკა“.

ჭკვიან ამერიკელებს სჯეროდათ ინსტიტუტების და მხარს უჭერდნენ ამერიკის ლიდერობას სამხედრო ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგრამ მათ არ მოსწონთ პატრიოტიზმი. „მათთვის ეს, — წერს პაკერი, — ძალლების რბოლისა და სიგარეტის უსიამოვნო კვამლის პრიმიტიული დროა“.

**„ნამდვილი ამერიკა“** — ეს არის პროვინციული სოფელი, რომელშიც ყველამ თავისი საქმე იცის და არავის არ აქვს სხვაზე მეტი ფული“. 2008 წლის შემოდგომაზე სარა პეილინიმ, რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა ვიცეპრეზიდენტის პოსტზე, განაცხადა, რომ „ყველაფერი საუკეთესო, რაც კი არის ამერიკაში, ამ პატარა ქალაქებშია, რომლებსაც მე ნამდვილ ამერიკას ვუწოდებ“. პეილინის პოლიტიკური კარიერა ჩაფლავდა, მაგრამ მისი ძირს დაგდებული დროშა დონალდ ტრამპმა აიტაცა.



ყველაზე ანტისისტემური ძალა „სამართლიანი ამერიკაა“, რომელშიც გაერთიანებულია მილენიალების თაობა და BLM-ის აქტივისტები. მათ აერთიანებთ პროტესტი თეთრის უპირატესობის „ყოვლისმომცველი ჯოჯოხეთის წინააღმდეგ ამერიკის, როგორც ბოროტმოქმედი ძალის, წინააღმდეგ, რომელიც დედამიწაზე ყველა ბოროტ ძალას აღემატება“.

ზემოაღნიშნული 4 ამერიკის საერთო მიზნებისა და ფასეულობების არარსებობის პირობებში **ჯორჯ პაკერი ვერ ხედავს გამოსავალს სოციალური ჩიხიდან, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა. მას არ აქვს იმის ახსნაც, როგორ შეიქმნა სოციო-კულტურული თვალსაზრისით ასეთი დაყოფილი ერი. და არც მოსახლეობის დაყოფისა და გაუცხოების დაძლევის რეცეპტი აქვს.**

ამერიკელი ისტორიკოსი პეტრე ტურჩინი ამერიკაში შექმნილი სოციალური განხეთქილების ფენომენს „ელიტის კვლავწარმოებითა“ და საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან ზედა ფენების თვითიზოლაციით ხსნის. „ვითარება ისეთი ექსტრემალური ხდება, რომ ძირი ეთხრება სოციალურ ნორმებს და იშლება ინსტიტუტები“. აშშ-ისთვის საგანგაშო სიგნალია არმიაში პოლიტიკური დაძაბულობის გაღრმავება.

ამერიკელი პოლიტოლოგი **დიმიტრი საიმსი**, ემიგრანტი საბჭოთა კავშირიდან, მიიჩნევს, რომ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვება გააღრმავებს განხეთქილებას ამერიკელ საზოგადოებაში, რადგან დემოკრატების პოლიტიკა მიმართულია საზოგადოების რასობრივი, კლასობრივი, მორალურ-იდეოლოგიური ნიშნით კატეგორიებად დაყოფისკენ და ის, რაც კარგია ამ ჯგუფებიდან ზოგიერთისთვის, სხვებისთვის დაუშვებელია.

ტრამპი, რომელიც დაბრუნდა პოლიტიკაში, განხეთქილებას ვერ დაძლევს. თეთრ სახლში რესპუბლიკელების დაბრუნება „ჭკვიანი“ და „სამართლიანი“ ამერიკის დამარცხებას ნიშნავს, მაგრამ ისინი თავიანთ პოზიციებს არ დათმობენ უბრძოლველად, რაც შეიძლება სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდოს.



**ტრამპი, რომელიც დაბრუნდა პოლიტიკაში, განხეთქილებას ვერ დაძლევს. თეთრ სახლში რესპუბლიკელების დაბრუნება «ჭკვიანი» და «სამართლიანი» ამერიკის დამარცხებას ნიშნავს, მაგრამ ისინი თავიანთ პოზიციებს არ დათმობენ უბრძოლველად, რაც შეიძლება სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდოს**

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

შეხვედრის მოლოდინში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მერკელის სრულიად გონივრული და ხელსაყრელი წინადადება ევროკავშირში ჩაიძირა ევროპაში ყველაზე პროამერიკელი და ყველაზე უპასუხისმგებლო ძალების დახმარებით. რა გამოდის — გერმანელები, ფრანგები, იტალიელები მხარს უჭერენ მოსკოვთან დიალოგს, პოლონელები და ბალტიისპირელები (ჩრდილოეთ ევროპის ნაწილის მხარდაჭერა) კი წინააღმდეგნი არიან, მაგრამ რომელია მათგან ევროპა?**

# პოლონელები და ბალტიისპირელები ევროკავშირს შლიან

## საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა სურთ, აღმოსავლეთი ევროპა წინააღმდეგია

**გერმანია გამოვიდა ინიციატივით, პირველად მრავალი წლის განმავლობაში ჩატარდეს რუსეთის ფედერაციისა და ევროკავშირის შეხვედრა, რომელზეც რუსეთის წარმომადგენელი იქნება ვლადიმერ პუტინი, ევროკავშირის — მასში შემავალი სახელმწიფოების ლიდერები. სწორედ ეს საკითხი განიხილებოდა 25 ივნისს ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის სამიტზე, რომელზეც, როგორც დასავლური პრესა წერს, გაიმართა ყველაზე მწვავე დისკუსია ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.**

ორსაათიანი განხილვა, „დროდადრო ემოციური", დასრულდა იმით, რომ დაასკვნეს: უახლოეს ხანში აუცილებელი არ არის ორგანიზება პუტინთან სამიტისა, რომლის ინიციატორები იყვნენ გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** და საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი**...

„ევროპელმა პუტინმა", დიდი ხანია, გულძმარვა გაუჩინა ევროინტეგრატორებს, ამიტომ მისი ქმედების განხილვისას ისმოდა ისტერიკული შეძახილები: „შენ გადაკვეთე წითელი ხაზი! ეს ის ევროპა არ არის, რომელშიც მინდა, ვიცხოვრო", — აღშფოთებას ვერ მალავდა ლუქსემბურგის ჰომოსექსუალი პრემიერმინისტრი. „მე განზრახული მაქვს, ისინი დავაჩოქო, ამჯერად ძალიან ღრმად შეტოპეს", — განაცხადა ნიდერლანდების პრემიერმინისტრმა. „სირცხვილია! გავრიცხოთ!" — ამ ფრაზებს უნგრეთის პრემიერმინისტრ **ვიქტორ ორბანის** მისამართით ისროდნენ და მოითხოვდნენ ახსნა-განმარტებას რამდენიმე დღის წინათ უნგრეთში არასრულწლოვანთა შორის ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ მიღებული კანონის გამო. **ევროკავშირის 17 ქვეყნის (27-დან) ლიდერებმა ხელი მოაწერეს მიმართვას ორბანისადმი და მისი კანონის გაუქმებისკენ მოუწოდეს, მაგრამ ორბანი მედგრად იდგა და არ თმობდა თავის პოზიციას — ჩვენ ოჯახებს ვიცავთ!**

მის დასაცავად კი ხმა არავის ამოუღია, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიმართვას ხელი არ მოაწერეს, მხოლოდ გაისმა ხმები, რომ უნგრეთის გარიცხვის გადაწყვეტილების მიღება საჩქარო არ არის. ეს გასაგებიც არის: არავის სურს, ევროკავშირს კიდევ დაარტყას. ორბანი კი გაჯიუტდა. ასე რომ, **უნგრეთი რჩება ევროკავშირში, ეს, რაც უნდა ამწარებდეს ევროინტეგრატორებს.**

**„ევროპელი პუტინის" საკითხის გარკვევის შემდეგ ევროპელი ლიდერები გადავიდნენ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — ამჯერად ჩვეულებრივ პუტინთან შეხვედრის განხილვაზე. და აქ მერკელს, რომლის ინიციატივაც იყო რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის გამართვა, წინააღმდეგობა გაუწიეს 10 ქვეყანა წინააღმდეგი წავიდა, თანაც მთავარი ოპონენტები აღმოსავლეთევროპული ქვეყნები იყვნენ — პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები.**

25 ივნისს, გვიან ღამით, იმედგაცრუებულმა კანცლერმა განაცხადა, რომ ძალიან დაწვრილებითი და რთული დისკუსიის შემდეგ ვერ მოხდა შეთანხმება რუსეთისა და ევროკავშირის ხელმძღვანელების სასწრაფო შეხვედრაზე, ანუ უმაღლეს დონეზე. „მე მსურდა, უფრო გაბედული ნაბიჯი". ზოგიერთმა სააგენტომ მერკელის სიტყვები ასე თარგმნა: **„მე იმედი მქონდა, რომ ამ საკითხზე უფრო მეტ გამბედაობას გამოიჩენდნენ"**, რაც სასაცილოდ ჩანს სამიტის დღის წესრიგის შემდეგი პუნქტის ფონზე.

**ქალი, ევროპის ფაქტობრივი ლიდერი, გამბედაობასა და სიმამაცეს ელოდა კოლეგა-მამაკაცებისგან, რომლებმაც მანამდე ორი საათი დახარჯეს „ევროპელი პუტინისგან ნამდვილი ევროპული ღირებულებების დაცვაზე", და მათგან ელოდებოდა თანხმობას პუტინთან შეხვედრაზე, რომელსაც ყოველდღიურად ეძახიან არა მხოლოდ ლგბტ თემის, არამედ სრულიად ევროპის მტერს?** თუმცა აქ არის პარადოქსიც: **ბევრი, ვინც პუტინთან შეხვედრის წინააღმდეგია, ლგბტ პროპაგანდასაც ეწინააღმდეგება (ისე ღიად არა, როგორც ორბანი, არა საერთო ევროპულ სივრცეში, არამედ შინ), ხოლო ბევრი მათგანი, ვინც ლგბტ პირებს უჭერს მხარს, სულაც არ არის პუტინთან შეხვედრის წინააღმდეგი** — ანგელა მერკელი, ემანუელ მაკრონი, იტალიისა და ავსტრიის ხელისუფლებების წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, არიან ისეთი ინდივიდუმებიც, როგორიცაა, მაგალითად, ჰოლანდიის პრემიერი **მარკ რიუტე** — ის ორბანის (მასთან ერთად უნგრეთის) გარიცხვასაც ითხოვს ევროკავშირიდან და პუტინთან შეხვედრის წინააღმდეგიცაა. მასში არის რაღაც თანამიმდევრულობა მაინც, რაც არ ითქმის პოლონელებზე.

სერიოზულად კი **ევროკავშირს არ ჰყოფნის არა მხოლოდ ვაჟკაცობა ან ერთობა, არამედ არ ჰყოფნის დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა და სტრატეგიული აზროვნება (არავინ შეეცადოს ბრიუსელში იმის თქმას, რომ ეს თვისებები ადრე მამაკაცურ თვისებებად მიიჩნეოდა).**

და რას სთავაზობდა ევროპელებს მერკელი? მოდი, ვისარგებლოთ ხელსაყრელი მომენტით (ჟენევაში რუსეთ-ამერიკის შეხვედრის შემდეგ) და დავუბრუნდეთ რუსეთთან დიალოგს. არ გავაუქმოთ სანქციები, არ ვთქვათ უარი შეკავებაზე, უბრალოდ, გავაკეთოთ ის, რაც გააკეთა უფროსმა პარტნიორმა აშშ-მა, მით უმეტეს, რომ ევროკავშირსა და რუსეთს უამრავი საერთო თემა აქვთ — აი, მაკრონიც ამბობს, რომ ევროპის უსაფრთხოება შეუძლებელია რუსეთის გარეშეო. ამ შემთხვევაში მერკელი თავის თავზე არ ფიქრობდა — ის, კანცლერის რანგში, მაინც მოასწრებს პუტინთან შეხვედრას, მაგრამ საქმე ეს არ არის. **ფრაუ მერკელი ზრუნავს გერმანიის ინტერესებზე ისე, როგორც ესმის. ახლახან დაიცვეს „ჩრდილოეთის ნაკადი-2", მოილაპარაკეს მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ ბაიდენთან, მაგრამ რთული იქნება ბუნ**დესტაგის არჩევნები — მემკვიდრეებს რაღაც ხომ უნდა დაუტოვო გაკეთებული „აღმოსავლეთის ფრონტზე"? აქ კიდევ ყველაფერი ნანგრევებადაა ქცეული.



და რატომ არ უნდა განახლდეს დიალოგი რუსეთთან, ეს ხომ გერმანიის ინტერესებშია, ევროპის ინტერესებშიც, იმიტომ, რომ გერმანული და ევროპული ელიტა უკვე განუყოფელია.

მაგრამ მერკელის სრულიად გონივრული და ხელსაყრელი წინადადება ევროკავშირში ჩაიძირა ევროპაში ყველაზე პროამერიკელი და ყველაზე უპასუხისმგებლო ძალების დახმარებით. რა გამოდის — გერმანელები, ფრანგები, იტალიელები მხარს უჭერენ მოსკოვთან დიალოგს, პოლონელები და ბალტიისპირელები (ჩრდილოეთ ევროპის ნაწილის მხარდაჭერა) კი წინააღმდეგნი არიან, მაგრამ რომელია მათგან ევროპა?

**რას სთავაზობდა ევროპელებს მერკელი? მოდი, ვისარგებლოთ ხელსაყრელი მომენტით (ჟენევაში რუსეთ-ამერიკის შეხვედრის შემდეგ) და დავუბრუნდეთ რუსეთთან დიალოგს. არ გავაუქმოთ სანქციები, არ ვთქვათ უარი შეკავებაზე, უბრალოდ, გავაკეთოთ ის, რაც გააკეთა უფროსმა პარტნიორმა აშშ-მა, მით უმეტეს, რომ ევროკავშირსა და რუსეთს უამრავი საერთო თემა აქვთ — აი, მაკრონიც ამბობს, რომ ევროპის უსაფრთხოება შეუძლებელია რუსეთის გარეშეო**



პოლონეთი, რომელიც ევროინტეგრატორებში ისეთივე გულძმარვას იწვევს, როგორსაც უნგრეთი, — თავიანთი ფასეულობებისა და დამოუკიდებლობის დაცვის გამო? ბალტიისპირელები, რომლებსაც არანაირი დამოუკიდებელი როლი არ აქვთ, ანტირუსულის გარდა?

**სიმბოლურია, რომ ევროკავშირის სამიტზე პუტინთან შეხვედრის განხილვა მიმდინარეობდა ყირიმში ბრიტანელთა პროვოკაციის ფონზე. ყველას ესმის, რომ დიდი ბრიტანეთი კი გამოვიდა ევროკავშირიდან, მაგრამ ანგლოსაქსების კლიენტებს კვლავ აქვთ ევროკავშირის კურსზე ზემოქმედების შესაძლებლობა. აქ საქმე სულაც არ არის რუსეთისა და ევროპის ურთიერთობებში, არც მერკელისა და მაკრონის მიერ შეკრებილ სამიტში.** მოსკოვი არ იკვებება ილუზიებით განსაკუთრებულ სარგებლიანობაზე. როგორც **სერგეი ლავროვმა** განაცხადა, „საჭიროა, ჩვენმა კოლეგებმა აგვიხსნან, რა აქვთ მხედველობაში, რისკენ მიისწრაფვიან".

**საქმე ის არის, რომ ევროკავშირისა და რუსეთის სამიტი მოგვიანებით მაინც გაიმართება, თანაც თვითონ ევროკავშირის ინიციატივით, რაც კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს თვით ევროკავშირის სისუსტეს.**

ბერლინს იმედი ჰქონდა თავისი სიძლიერის, თავისი გადაწყვეტილების გატანის შესაძლებლობის, მით უმეტეს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ და, როცა ბერლინი და პარიზი ერთობლივად მოქმედებენ — წინ ვინ აღუდგებათ, მხოლოდ ჯიუტი ორბანი?

როგორც ჩანს, ევროკავშირში პროამერიკული და პროანგლოსაქსური ფრაქციები გააფთრებით დაუპირისპირდებიან საფრანგეთ-გერმანიის ალიანსს და შეეცდებიან, ევროკავშირს წაართვან დამოუკიდებლობა, მოქმედების თავისუფლება და სტრატეგიული დაგეგმვა.

**P.S. ევროავშირის ქვეყნები განაგრძობენ რუსეთთან უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების ყველა შესაძლო ფორმატსა და პირობაზე მსჯელობას, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. „მიმაჩნია, რომ გონივრული იქნება, მოიძებნოს ფორმატი, რომელშიც ევროკავშირი დაელაპარაკება რუსეთს. გუშინ ჩვენ საკმარისად ვერ წავიწიეთ წინ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის სასწრაფოდ მოსამზადებლად, მაგრამ კვლავ ვილაპარაკებთ ფორმატზე. ჩვენ ვიმუშავებთ ამაზე. ამ თემას შემდეგ სამიტზე დავუბრუნდებით", — დასძინა გერმანიის კანცლერმა.**

**მანამდე გაზეთმა Financial Times-მა დაწერა, რომ მერკელსა და ემანუელ მაკრონს სურთ, ევროკავშირმა განიხილოს სამიტზე ვლადიმერ პუტინის მიწვევის საკითხი. რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა დაადასტურა ეს ინფორმაცია.**

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბილწი ჯო: ბაიდენის წაკეკლუცების პედოფილიის «სურნელების» სკანდალი

Creepy Joe — ბილწი ჯო — Twitter-ში ასეთი ხეშტეგი სულ უფრო პოპულარული ხდება პრეზიდენტ ბაიდენის უცნაური გაკეკლუცების შემდეგ სამხედრო ბაზა ლენგლი-იუსტისში.

ცოტა წაიახალგაზრდავა, ცოტა წაიპედოფილა სამხედროების წინაშე გამოსვლისას, როცა მოულოდნელად მიმართა პატარა გოგონას, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა და ერთ-ერთი მოსამსახურის შვილი იყო.

„როგორ მომწონს სარჭები, რომლებიც შენს თმას ამშვენებს. მე ისე ვიტყვი: იგი გამოიყურება ისე, როგორც 19 წლის ასული, და ზის იქ, როგორც პატარა ლედი, ფეხი ფეხზე რომ აქვს გადადებული".

ეს მან წარმოთქვა, როცა ტელესუფლიორი გამოირთო და თავის გამოსვლაში ექსპრომტად ჩაერთო.

Creepy ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „ბილწი" — სწორედ ასე აღიქვეს 78 წლის ბაიდენის ეს ქმედება ამერიკელებმა და არ დააყოვნეს სოციალურ ქსელებში თავიანთი შეფასების გამოქვეყნება.

დემოკრატების მომხრეებმა არ დააყოვნეს და გამოაქვეყნეს დონალდ ტრამპის ბავშვებთან ერთად გადაღებული ფოტო, რათა ერთგვარად დაეცხროთ ბაიდენის წინააღმდეგ გამოქვეყნებული მასალების სიმძაფრე და შესახსენებლად იმისა, თუ ვინ უნდა სძაგდეთ დღევანდელ ამერიკაში.

ტრამპის მომხრეები სამართლიანად აღნიშნავენ, მსგავსი რამ რომ ჩაედინა ექსპრეზიდენტს, ეს ახალი ამბავი, როგორც მთავარი მოვლენა, წარმოდგენილი ექნებოდა მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში The New York Times-სა და CNN-ს. არ შეიძლება, არ დაეთანხმო.

ის, რაც გითხარით, ბაიდენის ორატორულ ბრწყინვალებაში ერთადერთი შემთხვევა არ არის. შარშან ფლორიდაში გამართული ღონისძიების დროს არასრულწლოვანი მოცეკვავე გოგონების ჯგუფს მან ასე მიმართა: „მინდა, დავბრუნდე და ერთხელ ვიხილო ამ ულამაზესი ახალგაზრდა ქალბატონების ცეკვა მას შემდეგ, რაც ისინი ოთხი წლით უფროსები გახდებიან!" ხოლო 2019 წელს ათი წლის გოგონას განუცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ შენ ისეთივე ჭკვიანი ხარ, როგორიც ლამაზი!"

# ნეოლიბერალური ზნეობა

## კანადაში, ყოფილი ინტერნატის ტერიტორიაზე 200-ზე მეტი ბავშვის გვამი იპოვეს

**ქალაქ კამლუპსის ამ სკოლა-ინტერნატში ინდიელი ბავშვები ცხოვრობდნენ და განათლებას იღებდნენ, — იუწყება ტელეარხი CBC News. ეს დაწესებულება 1890-დან 1969 წლამდე კათოლიკური ეკლესიის პატრონაჟით ფუნქციობდა; მოგვიანებით დაექვემდებარა ფედერალურ მთავრობას და იარსება 1978 წლამდე.**



„ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს სიკვდილიანობა დოკუმენტურად გაფორმებული არ არის. გვამების ერთი ნაწილი 3 წლის ბავშვებისაა", — განაცხადა ქალაქ კამლუპსის ინდიელთა თემის თავმჯდომარე **როზან კაზიმირმა.** მან დასძინა, რომ ძებნა გრძელდება და გვამების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს.

გვამები აღმოაჩინეს სპეციალური რადარის მეშვეობით, მაგრამ ექსგუმაცია ჯერ არ დაუწყიათ.

ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის კორონერმა (სპეციალური მოხელე, რომელიც იკვლევს უჩვეულო ან მოულოდნელი სიკვდილის შემთხვევებს) **ლიზა ლაპოინტმა** განაცხადა, რომ გამომძიებლები ინდიელთა თემის წარმომადგენლებთან ერთად აგროვებენ ინფორმაციას დალუპულთა ვინაობის დასადგენად.

„ჩვენ შეგნებული გვაქვს იმ ტრაგედიის სიმძიმე, რომელიც კანადის სკოლა-ინტერნატების სისტემამ უამრავ ადამიანს მოუტანა. დღეს ჩვენი ფიქრი და თანაგრძნობა მგლოვიარეთა მხარესაა", — თქვა ლაპოინტმა.

აღნიშნულ სკოლაში სწავლობდა 500-მდე ბავშვი. 1915-დან 1963 წლამდე აქ გარდაიცვალა 51 ბავშვი. საერთოდ კი, კანადის სკოლა-ინტერნატების სისტემა 1930-დან 1996 წლამდე 150 ათას ბავშვს მოემსახურა. ბოლო სკოლა-ინტერნატი 1936 წელს დახურეს. სიმართლისა და შერიგების ცენტრის მონაცემებით, ოთხ ათასზე მეტი ბავშვი შეეწირა ამ სისტემას, მაგრამ ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებია, „რეალური ოდენობა, რა თქმა უნდა, მეტია".

ინდიელების სკოლა-ინტერნატების მკვლევარ **ელენ ტიურპელ-ლაფონდის** აზრით, რომელსაც იმოწმებს ტელეარხი, „გვამების აღმოჩენა ადასტურებს იმას, რასაც წლების განმავლობაში აცხადებდნენ აქაური ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენლები: ბევრი ბავშვი, რომლებსაც სკოლებში აგზავნიდნენ, იქიდან აღარ ბრუნდებოდა". იგი მიიჩნევს, რომ სკოლა-ინტერნატების ამოცანა იყო, მკვიდრი მოსახლეობის შვილები თავიანთი გავლენისა და კონტროლისთვის დაემორჩილებინათ, დაეშალათ მათი კულტურული იდენტობა, გაეწყვიტათ ყოველგვარი კავშირი ოჯახებთან. მისი შეფასებით, ბავშვების სიკვდილის შემთხვევები დოკუმენტურად გაფორმებული არ იყო, რადგან მათი დალუპვა ფიზიკური და სექსუალური ძალადობით იყო გამოწვეული.

„ეს ტრაგედია ძნელად წარმოსადგენი მასშტაბისაა. სახიერი მაგალითია იმ ძალადობის, რომლითაც სკოლა-ინტერნატების კანადური სისტემა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ იჩენდა: სწორედ იმდროინდელი მხეცობის მაგალითებმა თავი იჩინა ჩვენს დღევანდელობაში", — განაცხადა **ჯონ ჰორგანმა.**

ტელეარხი იუწყება, რომ ვანკუვერის მოქალაქეებმა გარდაცვლილთა ხსოვნა ქალაქის ხელოვნების გალერეის საფეხურებზე ბავშვების ფეხსაცმლისა და სათამაშოების დადებით აღნიშნეს.

# ესპანეთში მასწავლებელი მამაკაცები სკოლაში ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მივიდნენ

**ამ გადაწყვეტილების მიღება მათ აიძულა „გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ" ბრძოლის პროცესმა, — წერს New York Post-ი.**

კერძოდ, მასწავლებლებმა მხარი დაუჭირეს მოსწავლეებს, რომ სისტემატურად განიცდიან ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ წნეხს თავიანთი პედერასტული პრინციპების გამო.

მამაკაცებმა მონაწილეობა მიიღეს ფლეშმობში „ტანსაცმელს გენდერი არ აქვს", რომელიც შარშან დააარსა მათემატიკის მასწავლებელმა **ხოსე პინიასმა.** მაშინ იგი სკოლაში ქალის კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა თავისი მოსწავლის მიმართ სოლიდარობის გამოცხადების მიზნით. ის მოსწავლე სკოლიდან გარიცხეს „ქალის ტანსაცმლის" გამო და ასეთი დრესკოდის გამო ფსიქოლოგთან გააგზავნეს.

წლეულს ხოსე პინიას კიდევ ორმა მასწავლებელმა დაუჭირა მხარი. მათაც გაკვეთილები კაბებში გამოწყობილმა ჩაატარეს. მათ ბევრი მოსწავლე შეუერთდა, ხოლო ქვეყანაში სტარტი აიღო კურსმა „გენდერული თანასწორობა". შიზოფრენია ფართოვდება და მყარდება.

ვიჩქაროთ, თორემ ევროპულმა ცივილიზაციამ ისე გაგვისწრო, რომ უკან მიდევნებაც აზრს კარგავს, დაწევაზე არაფერი რომ არ ვთქვათ.

ამაო მცდელობად დარჩება. **ლიზა ლაპოინტმა** განაცხადა, რომ გამომძიებლები ინდიელთა თემის წარმომადგენლებთან ერთად აგროვებენ ინფორმაციას დალუპულთა ვინაობის დასადგენად.

„ჩვენ შეგნებული გვაქვს იმ ტრაგედიის სიმძიმე, რომელიც კანადის სკოლა-ინტერნატების სისტემამ უამრავ ადამიანს მოუტანა. დღეს ჩვენი ფიქრი და თანაგრძნობა მგლოვიარეთა მხარესაა", — თქვა ლაპოინტმა.

აღნიშნულ სკოლაში სწავლობდა 500-მდე ბავშვი. 1915 წლიდან 1963 წლამდე აქ გარდაიცვალა 51 ბავშვი. საერთოდ კი კანადის სკოლა-ინტერნატების სისტემა 1930 წლიდან 1996 წლამდე 150 ათას ბავშვს მოემსახურა. ბოლო სკოლა-ინტერნატი 1936 წელს დახურეს. სიმართლისა და შე-



რიგების ცენტრის მონაცემებით, ოთხი ათასზე მეტი ბავშვი შეეწირა ამ სისტემას, მაგრამ ეს მხოლოდ ოფიციალური მონაცემებია, „რეალური რაოდენობა, რა თქმა უნდა, მეტია".

ინდიელების სკოლა-ინტერნატების მკვლევარ **ელენ ტიურპელ-ლაფონდის** აზრით, რომელსაც იმოწმებს ტელეარხი, „გვამების აღმოჩენა ადასტურებს იმას, რასაც წლების განმავლობაში აცხადებდნენ აქაური ძირძველი მოსახლეობის წარმომადგენლები: ბევრი ბავშვი, რომლებსაც სკოლებში აგზავნიდნენ, იქიდან აღარ ბრუნდებოდა". იგი მიიჩნევს, რომ სკოლა-ინტერნატების ამოცანა იყო, ადგილობრივი მოსახლეობის შვილები თავიანთი გავლენისა და კონტროლისთვის დაემორჩილებინათ, დაეშალათ მათი კულტურული იდენტურობა, გაეწყვიტათ ყოველგვარი კავშირი ოჯახებთან. მისი შეფასებით, ბავშვების სიკვდილის შემთხვევები დოკუმენტურად გაფორმებული არ იყო, რადგან მათი დალუპვა ფიზიკური და სექსუალური ძალადობით იყო გამოწვეული.

„ეს ტრაგედია ძნელად წარმოსადგენი მასშტაბისაა. სახიერი მაგალითია იმ ძალადობის, რომელსაც სკოლა-ინტერნატების კანადური სისტემა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ იჩენდა. სწორედ იმდროინდელი მხეცობის მაგალითებმა თავი იჩინა ჩვენს დღევანდელობაში", — განაცხადა კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პრემიერმა **ჯონ ჰორგანმა.**

ტელეარხი იუწყება, რომ ვანკუვერის მოქალაქეებმა გარდაცვლილთა ხსოვნა ქალაქის ხელოვნების გალერეის საფეხურებზე ბავშვების ფეხსაცმლისა და სათამაშოების დადებით აღნიშნეს.

მწარე სიმართლე

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბრალდება ილიასი, რომელიც მხოლოდ ერთის მხრიდან გაისმის, ნიშანია იმისა, რომ ბრალმდებელთ მის მკვლელობაში, ალბათ, ფეხი უდგათ და ამიტომ ყოველ ღონისძიებას, ათასგვარ საშუალებას ხმარობენ, ილია დამნაშავედ გამოიყვანონ, მაშასადამე, მოკვლის ღირსად, რათა თავი იმართლონ საზოგადოების წინაშე".**



ილიას საფლავი მთაწმინდაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

XIX საუკუნის 60-იან წლები, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გამოღვიძების წლებად ითვლება, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფართოდ განვითარდების პერიოდად. დიდი ილია სწორედ ამ ეპოქაზე ამბობდა, რომ „ზემოხსენებულთ წელთ შემდეგმა დრომ... მოიტანა თან სხვა ნიავი, გასწმინდა ცოტათ თუ ბევრათ (ქვეყნის დამაბნელებელი) ბურუსი, გადაჰყარა ღრუბლები და ჩვენი (ეროვნული) ცნობიერება გამოაფხიზლა. დიახ, დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენც ჩვენი ქვეყნის მომავალი".

მაგრამ ილია მაინც მოკლეს — მამულიშვილი, რომელიც საქართველოში დაბრუნდა იმ სურვილით, რომ ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება ყოველ კაცში არა ჟღლავდეს, ერთად შეეგროვებინა თავისი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად.

„ნუთუ მართლა გამოკეთების ძალნი თვითვე არა აქვს იმ საზოგადოებას, რომელიც ჰბადავს, ჰზრდის და წამოაყენებს ხოლმე მტკიცე ხასიათების კაცებს, გმირებს?!"... — სვამს კითხვას და იხსენებს რა უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ისტორიულ გმირთა სახელებს, დაასკვნის: „ამისთანა კაცების ალმზრდელი და სულისჩამდგმელი ძალი დიდი ძალია და ამ ძალის მექონს საზოგადოებას ვერ ეთქმის, რომ ფესვი ცხოვრებისა შეუსუსტებია".

ჩვენც ამ იმედით ვსულდგმულობთ, რომ ქართველ ერს ფესვი ცხოვრებისა კვლავაც ძლიერი აქვს; რომ ისტორია სანაგვეზე მოისვრის ყველა მედროვე ვაიპატრიოტს და ივერია კვლავაც გაბრწყინდება.

„...მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე. მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-დაშიგ ლაქებიანიცა? რაცა მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინცა-და-მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან!.." („კაცია-ადამიანი?!") — ასე მიმართავს ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ ლუარსაბის სახის შექმნით განაწყენებულ მკითხველს, არამედ იმდროინდელ საზოგადოებას, თუმცა „გაუწყრნენ", ბევრი რამის გამო „გაუწყრნენ" და ტყვიისთვის გაიმეტეს ერის მამა, რითაც საქართველოს ისტორიას კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი მიუმატეს; ამბავი ერისკაცის, ვინ იცის, მერამდენედ ღალატისა, გაყიდვისა და დასამარებისა. სწორედ ამის გამო აღმოხდა აკაკი წერეთელს: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოო"; ვაჟა-ფშაველამ კი დაწერა: „ყვავ-ყორნებს ისეთი მოწყობილობა აქვთ ტვინისა და თავის ქალისა, რომ ჭავჭავაძე ჯერ დიდხანს იქნება იმათთვის ამოცანად", ამიტომ ილიას სიკვდილის შემდეგაც მისი აჩრდილის გარშემო ყვავ-ყორნები კვლავაც ჩხავიან, არ ჩუმდებიანო.

# «ჩვენ ერთმანეთს დავეტაკეთ და ურემი კი შინ მისატანი დაგვრჩა, შუა გზაში გახიდული» — ასე იყო ოდითგან და ასეა ახლაც



## ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა — კაცუნაო; ზოგს დედაკაცს — დედაკაცი, ზოგსა — დედაკაცუნაო

### ვაჟა-ფშაველა

# ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო

**მე როდი მიკვირს ილიას აჩრდილის გარშემო ყვავ-ყორნები რომ ჩხავიან, არა ჩუმდებიან. ასე უნდა იყოს სწორედ: მსგავსი მოვლენა ხვედრია დიდებულ ადამიანთა, ხოლო ბრალდება ილიასი, რომელიც მხოლოდ ერთის მხრიდან გაისმის, ნიშანია იმისა, რომ ბრალმდებელთ მის მკვლელობაში, ალბათ, ფეხი უდგათ და ამიტომ ყოველ ღონისძიებას, ათასგვარ საშუალებას ხმარობენ, ილია დამნაშავედ გამოიყვანონ, მაშასადამე, მოკვლის ღირსად, რათა თავი იმართლონ საზოგადოების წინაშე.**

მოპირდაპირეებს მარტო ის არ უკლავს გულსა, ილია გლეხებს ვითომ სასტიკად ეპყრობოდა, არამედ ვერ მოუნელებიათ ის გარემოება, რომ **ილიამ ეროვნული საკითხი მკვიდრ ნიადაგზე დააყენა, იგია წარმოდგენილი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი.** მოწინააღმდეგენი უხერხულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნილები, ამიტომ აბარტყუნებენ ხელებს და ფეხებს, უნდათ, ბარდიდან გამოძვრენ. როლაც დაჰრჩომიათ გამოსარკვევი, ჰსურთ, გამოარკვიონ: **ყვავ-ყორნებს ისეთი მოწყობილობა აქვთ ტვინისა და თავის ქალისა, რომ ჭავჭავაძე ჯერ დიდხანს იქნება იმათთვის ამოცანად.**

ამბობენ, ილია ჭავჭავაძემ თავის პირვანდელ მიმართულებას უღალატაო. მე ეს არა მჯერა, პირიქით უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, **ილია სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი. ილიას უყვარდა საქართველო იმ თავით ამ თავამდე და მის საკეთილდღეოდ ილვწოდა.** ბატონყმობა სწამდა მავნებელ მოვლენად და კიდევაც აღუდგა მას წინ; ბატონყმობა საქართველოს დაჰღუპავსო ქადაგებდა, („რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან", „გლახის ნაამბობი", „კაცია-ადამიანი?!") გადავარდა ბატონყმობა. **ილია ჩვენის ცხოვრების მაჯისცემას ფხიზლად თვალყურს ადევნებდა, კარგად იცნობდა, როგორც გლეხკაცობას, ისე თავადაზნაურობას.**

ბატონყმობის გადავარდნამ იმედი არ გაუმართლა, სოფლის გლეხკაცობა კულტურულ ცხოვრების გარეშე დარჩა, დღესაც იგი ჩვენი კულტურისათვის უსარგებლოა, არავითარი წვლილი არ შეაქვს. გამონაკლისს შეადგენს ქალაქში მცხოვრებელი მუშები, რომელნიც სწავლასაც ეტანებიან, შვილებსა ზრდიან, თეატრში დაიარებიან, ჟურნალ-გაზეთებს იწერენ, წიგნებს ყიდულობენ და კითხულობენ. ჩვენთვის, დიაღ, ეს კულტურული განვითარება იყო და არის დღესაც საჭირო. თავადაზნაურობა კი თუმც მართალია მამულდედულს ჰფლანგავდა, მაგრამ ცოტად თუ ბევრად, ამ ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს ეხმარებოდა, როგორიც არის სათავადაზნაურო სკოლა, თეატრი და სხვ. თავადაზნაურობა ჩვენს ბურჟუაზიას შეადგენს და, თუ ილია, როგორც კულტურული ადამიანი, თავადაზნაურობისაკენ გადაიხარა, ეს სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების ბრალია. ჰხედავდა აგრეთვე ილია, რომ, როგორც კულტურული ცხოვრების წარმომადგენელი, დღეს საქართველოში თავადაზნაურობა ღარიბდებოდა და ეს მოვლენა სწყინდა. ყველასაც ვისაც ჭკვა აქვს, თუნდა გლეხი იყოს, **ქართველ ადამიანს უნდა სწყინდეს შეძლებული ხალხის შემცირება ჩვენში და ყველას უნდა გვიხაროდეს, მდიდარი ხალხის გამრავლება, რადგან მრავალი მდიდარი, როგორც უნდა იყოს, ჩვენს ცხოვრებას სიმდიდრეს შეჰმატებენ, სანუგეშონი არიან. თუ ეხლა ერთიორი კაცი გვყავს მდიდარი და იმათ იმედი გვაქვს, რატომ ასი და ათასი მდიდრის ყოლა არა სჯობია ორი და სამი კაცის ყოლას?** სოფლის გლეხკაცობა ძალიან ჩამორჩენილია ჩვენს კულტურულ ცხოვრებას. დიდი დროა საჭირო, ვიდრე ისინი ჩაებმიან იმ საერთო ფერხულში, რომელშიაც არიან ჩაბმულნი: წვრილი ქალაქის ბურჟუაზია, სამღვდელოება და თავადაზნაურობა.

გაღარიბება გლეხკაცობის გულისათვის ამ ჩვენი ერის კულტურული ნაწილისა მავნებლად უნდა მივიჩნიოთ დღეს დღეობით. რასაკვირველია ან რაღა გაღარიბებაღა უნდა ისედაც გაღარიბებულსა და გაძვალტყავებულ თავადაზნაურობას?.. ვისთვისღაა საშიში ეს წოდება?

**აგრარული საკითხის შეტანა ჩვენი პარტიების პროგრამებში დამარღვეველი იყო ჩვენის მთლიანობისა ე. ი. ქართველების ძლიერებისა, ძმასძმაზე ასისინებს და იმ დროს, როცა ერთობა და სოლიდარობა ქართველების სხვადასხვა წოდებათა შორის იყო დიდად და დიდად საჭირო, მით უმეტეს რადგან საქართველოს ტერიტორიას უქადიდა კუთვნილებისამებრ განაწილებას კი არა, უცხო ხალხის ხელში გადასვლას, ხელიდან ჩავარდნილი ლუკმა ჩვენს ჯამში კი არა ვარდებოდა, სხვის ჯამს ემატებოდა. რომელ ჭკვათამყოფელ ადამიანს არ ეწყინება ამგვარი მოვლენა?**

ქართველი ხალხი მოძრაობას რომ მომზადებული შეჰხვედროდა, მიწის მობილიზაციის საქმეს სამერმისოდ გადასდებდა და სრულიად სხვა ტაქტიკას დაადგებოდა მოქმედებისას.

**ჩვენ ერთმანეთს დავეტაკეთ და ურემი კი შინ მისატანი დაგვრჩა შუა გზაში გახიდული.** ასე მოხდა და კიდევაც ასე მოხდება თუ ადამიანს წინადვე არა აქვს პლანი შედგენილი მოქმედებისა, თუ ადრევე არა აქვს გათვალისწინებული ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები.

ჭავჭავაძეს ამოქმედებდა არა პირადი ინტერესი, პირადი სარგებლობა, არამედ საქვეყნო საქმე, ქვეყნის სიყვარული და მოკვდა მუხთალის ხელით არა როგორც თავადი, არამედ როგორც რწმენისა და აზრის კაცი... მის მოწინააღმდეგეთ, ვგონებ, თანდათან თვალებიდან ლიბრი ეცლებათ, ჰგრძნობენ დიდს შეცდომა-შეცოდებასა და იმიტომ მოუსვენრად არიან....

დღეს, ვინც ავს ამბობს ჭავჭავაძეზე, მე იმას ილიას მკვლელს ვეძახი. არ არის ასე? **ინტელიგენტს, ავის მთქმელს ამ დიდებულ ადამიანზე, არაფრით ვარჩევ იმ რეგვენისაგან, რომელმაც ილიას ხელი შეახო და მის ფიზიკურად მოსაკლავად მახვილი მოიმარჯვა. გაირჩევა კი რითმე? არაფრით. ვის ვებრძვით? რას ვებრძვით? რატომ არ დავფიქრდებით?!**

საქართველოს მაშ დღეს თავადაზნაურობა ჰღუპავს, არა? თავადაზნაურული დაწესებულებანი — ბანკი, სათავადაზნაურო სკოლა? საწყალი თავადაზნაურობა! მგელს მგლობა დაერქვა, ტურამა ქვეყანა ამოაგდოვო! საკვირველ არიან, უფალო საქმენი შენი! კაცს ეგონება, XIX საუკუნის დასაწყისში ვცხოვრობდეთ და იმ დროინდელ თავადაზნაურებთანა გვქონდეს საქმე.

შეფასება რომ მოხდეს ილიას რწმენისა, მის გრძნობა-აზროვნებისა, აქაც არაფერსა ვპოებთ მის დამამცირებელს ისეთს, რომ ილია მართლა დასაგმობი იყოს. ნუთუ ავია, მოსაკლავია ის მშობელი, ის მამა, რომელიც არ აბედნებს და ერთიანად უცქერის, ერთნაირად ეპყრობა ჯანსაღს და მახინჯს თავის შვილებს?!

ვინ დაჰგმო განა მამა უძლები შვილისა შებრალება-შეწყნარებისათვის?

დავგმოთ ჩვენც ჭავჭავაძე იმისათვის თუ მას ებრალებოდა თავადაზნაურობა, არა როგორც წოდება, არამედ როგორც ადამიანები? განა შეიძლება? დიაღ, მას ებრალებოდა თავადაზნაურობა, როგორც დასუსტებული ნაწილი, სისუსტის, მცირერიცხოვან თავის ერისა. რა არის აქ დასაძრახისი, რა არის აქ არა ადამიანური?!

ნუთუ არა გჯერათ, რომ მოვა დრო, როცა თავადაზნაურთა წრიდან გამოსულნი სახელოვანი მოქალაქენი, მოღვაწენი და მოაზრენი იქნებიან და ამ მხრივ თუ წინ არ გაუსწრებენ, უკან არ ჩამორჩებიან გლეხის შვილებს?!.

მაშ გავსწყვიტოთ ისინი?

**ილიაც სწორედ მაგას ამბობდა, ნუ ჰხოცთ თავადებს და აზნაურებს, რადგან ძმები ხართ და თუ დღეს არა შემდეგში მაინც დაუფასებელ ძმობას გაგიწევთო.** სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, გულადობა-ვაჟკაცობაში თავადაზნაურობას ვერავინ შაეჭიდება, ეს ხომ ყველამ ვიცით. ნუთუ იმ ღირსებასაც ზიზღით შევხედოთ?

ილია რომ ბატონყმობის მომხრე ყოფილიყო, „ოთარაანთ ქვრივს" როდი დასწერდა. დიდებული, ბრწყინვალე თავადიშვილის ქალს, ნაზსა და ნარნარს კესოს ვილაც ოთარაანთ ქვრივის სასძლოდ არ დაჰსახავდა და არ გვეტყოდა: დაუახლოვდით ერთმანეთს თავადნო და გლეხნო რითაც, როგორც კი შაიძლებოდესო. ხოლო უებარ წამლად და საშუალებად ამ ერთობისა მოყვრობა დასახა. ილიამ გლეხისა და თავადის სისხლი ერთნაირი თვისებებისადა სცნო და მათ ერთმანეთში შერევას თავის მადლიანის მარჯვენით ხელიც მოუმართა, რათა გაემთელებინა „ჩატეხილი ხიდი". ამ ჩატეხილი ხიდის გამრთელება მისი ოცნება იყო. რად გახდა ეს ჩატეხილი ხიდი ილიას ოცნებად? რის გამო? ნუთუ იმიტომ, რომ ის მტერი იყო თავის ერისა, ილია მოღალატე იყო ხალხისა? ავი უნდოდა გლეხობისათვის?!.

აღარ ვიცი რა თქვას და რა ქმნას კაცმა, რა თქვას ისეთი, რომ დაბრმავებულთ აახილონ თვალები და დაინახონ მისი ნათელი, შარავანდედით შემოსილი სახე, — გამოიღონ ყურებიდან ბამბა და გაიგონონ, შეისმინონ მისი ხმა ძმობის, ერთობის და სიყვარულისა. შეიგნონ წესი ქვეყნის სამსახურისა. ილაპარაკეთ, ბევრი ილაპარაკეთ, ბევრი წერეთ, ბატონებო, ილიაზე, რაც შეიძლება ბევრი! მე ვერ გეტყვით გაჩუმდითო, ვერ გეტყვით: დროა ბოლო, ბოლო მოელოს მითქმა-მოთქმასაო, რადგან მნემოსინა (*გონებისა და მეხსიერების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში — დ.ა.*) ჩვენის ქვეყნისა არ დაგადუმებსთ, ბევრს დაგაგდებსთ ქადაგად. დაბოლოს ამას ვიტყვი: ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა — კაცუნაო; ზოგს დედაკაცს — დედაკაცი, ზოგსა — დედაკაცუნაო.

**1908-1909 წ.**



წმიდა დიდმოწამე არჩილ მეფის მონასტერი

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ამ ორი მეფის თითქმის ერთნაირ მოწამეობრივ აღსასრულს მიაწერს „ჩვენი წამებული და მრავალტანჯული სამშობლოს თითქმის ყოველ დროს ერთსა და იმავე ვაებას, ერთსა და იმავე სიმწარეს“.

რელიგია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მათ ერთი წმინდა განზრახვა ამოქმედებდათ — ეკლესიისა და მამულის გადარჩენა

ქართულმა ეკლესიამ წმინდა არჩილის მოსახსენებელ დღედ 21 ივნისი (ახ. 4 ივლისი) დაადგინა. ამ დღეს მასთან ერთად მოიხსენება წმინდა მოწამე მეფე ლუარსაბი. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ლუარსაბს ათასი წელი აშორებს წმინდა არჩილისაგან და მათი წამების ადგილიც სხვადასხვაა, მათ ერთი წმინდა განზრახვა ამოქმედებდათ — ეკლესიისა და მამულის გადარჩენა. ამ მეფეთა თავგანწირული მოქმედების შედეგად მრავალი ქრისტიანი გადარჩა, ხოლო მათმა თავდადებამ განსაცდელისაგან დაიფარა ჩვენი ეკლესია. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, სრულიად გაქრებოდა ქართლ-კახეთში ქრისტიანობა.

## წმიდა მოწამე მეფე არჩილი

პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მიერ გამოცემული სიის თანახმად, საქართველოს XV საუკუნემდე სულ ორი არჩილი ჰყავდა მეფედ — არჩილ I (410-434 წლები), პაპა ვახტანგ გორგასალისა, და არჩილ II (668-718 წლები). **სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ წმიდა მოწამე არჩილ მეფე, რომელიც ქართლის სამეფოს ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში განაგებდა. ეს იყო ჟამი უსჯულო დამპყრობლების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისა და საქართველოს გაერთიანებისათვის დაუცხრომელი ზრუნვისა.**

არჩილის მამამ, ქართლის **ერისთავმა ადარნასემ** (მცხეთის ჯვრის ერთ-ერთი აღმშენებელი) ქართლის გამგებლად არჩილის უფროსი ძმა **მირი** დასვა. არჩილი ყოველმხრივ გვერდით ედგა უფროს ძმას და ღვთის შიშითა და სიყვარულით ზრუნავდა სამეფოზე. მირის მეფობის ჟამს ქართლში მურვან ყრუ შემოიჭრა, პირსისხლიანმა ჯალათმა „ყოველივე შენებული და სიმაგრენი საქართველოსნი“ შემუსრა და სისხლით მორწყო ქვეყანა. მირი და არჩილი აფხაზეთში გაიხიზნენ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მხურვალედ ევედრებოდნენ შემწეობას. უფალმა ისმინა მართალთა ლოცვა: ერთ ღამეს წმიდა არჩილს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა: **„აღდეგ და ებრძოლე უსჯულოთა მათ, რამეთუ ანგელოზი უფლისა წინა წაგიძღუეს თქუენ და თქუენ წილ უფალი ბრძოდის“**. უფალს მინდობილი მირი და არჩილი მცირედი მხედრობით დაესხნენ თავს მტრის ბანაკს. შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. გაქცეულ უსჯულოებს ღმერთმა სასტიკი ქარი და ძლიერი წვიმა მოუვლინა, მდინარეები ადიდდა და აგარიანთა მხედრობა წალეკა. ცოცხლად გადარჩენილმა მომხდურებმა კონსტანტინოპოლს მიაშურეს, მაგრამ ზეგარდამო მოწევნულმა რისხვამ ისინი ზღვაში ჩაახრჩო.

ბრძოლაში დაჭრილი მეფე მირი ავად გახდა, სიკვდილის წინ სამეფო თავის ძმას, არჩილს, გადააბარა, დარჩენილი შვიდი ასულის მფარველობა სთხოვა და მცხეთაში დასაფლავება დაიბარა.

მეფე არჩილმა შეასრულა მირის ანდერძი, მცხეთის ზემო ეკლესიაში დაკრძალა იგი, მისი შვიდი ასულიდან ექვსი ქართველ დიდებულებს მისცა შესაფერისი მზითვით, მეშვიდე, გურანდუხტი, კი ბიზანტიის კეისარს მიათხოვა.

**თორმეტი წელიწადი იჯდა არჩილი ქუთაისში და ყოველნაირად ცდილობდა სრულიად საქართველოს გაერთიანებას, შემდეგ ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ამ ულამაზესი კუთხის აღმშენებლობას შეუდგა;** შემოიერთა კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი. არაბების ბატონობა, ფაქტობრივად, თბილისისა და მცხეთის შემოგარენს ვერ სცილდებოდა.

მურვან-ყრუსაგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა ლაშქარმა ჭიჭუმ-ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისაკენ აიღო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, არჩილ მეფემ გადაწყვიტა, ჭიჭუმ-ასიმს ხლებოდა მშვიდობის სათხოვნელად. განიხარა ჭიჭუმ-ასიმმა მეფის მისვლით, პატივით მოიკითხა, „აქო სიკეთე და სისრულე ჰასაკისა მისისა და მშვენიერება პირისა მისისა“.

რამდენიმე დღე დიდებულად ისტუმრა ჭიჭუმმა ქართველთა მეფე, შემდეგ კი ქრისტიანობის უარყოფა და სარკინოზთა სარწმუნოების მიღება მოსთხოვა, სანაცვლოდ „აღუთქუმიდა ნიჭთა დიდ-დიდთა“. ზეგარდამო სულით აღვსილმა ცხებულმან უფლისამან ბრძანა: **„მე რომ შენ დაგიჯერო, უნდა მოვკვდე სიკვდილით, რომლის შემდეგაც უნდა ვიტანჯო... ღმერთმან ჩვენმან და მაცხოვარმან ჩვენმან ჩვენი ხსნისათვის თავი დადო, ამიტომაც მე არ მეშინია სიკვდილის. თუ მომკლავ, მეც ისევე აღვსდგები სიკვდილის შემდეგ, როგორც ღმერთი ჩვენი და კვლავ ვადიდებ მას“.**

განრისხებულმა ჭიჭუმმა ღვთისმოსავი მეფე არჩილი საპყრობილეში გამოკეტა. ჭიჭუმ-ასიმის წინაშე წარდგა ერთი გარდაბნელი გამაჰმადიანებული სომეხი მთავარი, რომლის ბიძის მკვლელები არჩილის მამას — ადარნასეს სასჯელისაგან გაეთავისუფლებინა. სომეხს პაპის ჯავრი სჭირდა და გადაეწყვიტა, შური შვილიშვილზე ეძია. მან ასიმს უთხრა: დიდებულო მთავარო, არჩილი არის სტეფანოზ მეფის ძე, ნათესავი ვახტანგ მეფისა, რომელიც იყო შვილიშვილი მირიან მეფისა; ის თან ახლდა მამას, როცა იგი ქართლის სამეფო საგანძურს მალავდა, და ისიც იცის, თუ სად დაფლა განძი ბერძენთა მეფე ჰერაკლემო.

ჭიჭუმ-ასიმმა საპყრობილიდან გამოიხმო ქართველთა მეფე და უთხრა, პირველად შენი სიკეთისა და მშვენიერებისათვის გაფასებდი, ახლა კი გავიგე, რომ ხარ შვილი დიდთა მეფეთა, ამითომ განგადიდებ ჩემ წინაშე. შენი სამეფო და საგანძურიც მამათა შენთანი შენი იყოს, ოღონდ მიჩვენე ბერძენთა მეფის საგანძური, რომელიც სპარსეთიდან წამოიღო და საქართველოში დაფლა. სჯულიც შეიცვალე, სარკინოზად მოიქეც და სპასალარადაც დაგნიშნავ და ქართლის მეფობასაც მოგცემო. პასუხად წმიდა არჩილმა ჭიჭუმს უთხრა, რომ არ უარყოფდა ქრისტეს სახელს, საგანძურზე კი არაფერი იცოდა, რადგან, როცა ჰერაკლე მეფე მ გაიარა საქართველოზე, მაშინ პატარა იყო.

რაკი ვერაფერი გაიგო არჩილისგან, უსჯულო ჭიჭუმი გულისწყრომით აღივსო და მისი მოკვლა ბრძანა.

წმინდანმა მცირე დრო ითხოვა სალოცავად, მუხლი მოიყარა და ხელაპყრობილმა მადლობა შესწირა შემოქმედს, მაცხოვარს შეევედრა, კეთილად დაეცვა ეკლესია, გაეძლიერებინა ქრისტიანობა საქართველოში, ილოცა ოჯახისთვის და მშვიდად მოუდრიკა ქედი მახვილს.

ღამით ქართველმა აზნაურებმა ფარულად წამოასვენეს წმიდა არჩილ მეფის გვამი და ნოტკორაში (დღეს ეს არის სოფელი სიონთგორა თიანეთის მუნიციპალიტეტში) მის მიერვე აგებულ ტაძარში დაკრძალეს. ეს მოხდა 718 წელს.

## წმიდა მოწამე მეფე ლუარსაბი

**ქართლის მეფე ლუარსაბ II დაიბადა** 1592 წელს, იგი ქართლის მეფე გიორგი X-ის უფროსი ვაჟიშვილი იყო. მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ 1606 წელს სამეფო ტახტზე თოთხმეტი წლის ლუარსაბი ავიდა.

1609 წელს თურქები ყირიმელ თათრებთან ერთად თავს დაესხნენ ქართლს. მეფე ლუარსაბი ამ დროს ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა მცირეოდენ ამალასთან ერთად და, ალბათ, ვერაფრით გადაურჩებოდა მტრის უეცარ დარტყმას, რომ არა კველთელი მღვდელი — წმიდა თევდორე, რომელსაც უსჯულოებმა მეფის სამყოფელისკენ უმოკლესი გზის ჩვენება დაავალეს, მაგრამ მან სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით ატარა ისინი. ამასობაში მეფემ შეკრიბა ჯარი და ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა მტერი. ამ დროს მეფე ჩვიდმეტი წლისა იყო. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცით ზაზა ციციშვილი და გიორგი სააკაძე გამოირჩეოდნენ.

გიორგი სააკაძემ სახლში მიიწვია გამარჯვებით გახარებული მეფე. ნადიმზე ლუარსაბ მეფეს გიორგის და მოეწონა და, მიუხედავად სამეფო კარის წინააღმდეგობისა, მალე დაქორწინდა მასზე.

შემდგომმა მოვლენებმა მტრობა ჩამოაგდო ლუარსაბ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის. ეს უკანასკნელი საქართველოდან გაიქცა და შაჰ-აბასს სთხოვა თავშესაფარი. ცბიერებით ცნობილი შაჰი ყოველგვარ ინტრიგას აწყობდა საქართველოს წინააღმეგ. შაჰმა წმიდა ლუარსაბ მეფეს თეიმურაზის მოკვლა და კახეთის სამეფო შესთვაზა, თეიმურაზს კი ლუარსაბის მოკვლის საფასურად ქართლის სამეფოს დაჰპირდა.

მიხვდნენ ქართველი მეფენი შაჰის მზაკვრობას. ღვთის შეწევნით, ამჯერად გადარჩა საქართველო ძმათა კვლის საშინელებას.

**შეაშინა შაჰი ქართველთა ერთობამ, ვითომ სანადიროდ და დროის სატარებლად თავისთან მიიწვია ლუარსაბი და თეიმურაზი.** მეფეებმა მოითათბირეს და ბრძოლა გადაწყვიტეს, ნარეკვავის მინდორზე ფიცით აღუთქვეს ერთმანეთს წინაშე „ქრისტეს ღმრთისა დადებად სულნი და სიკვდილი ქრისტესთვის“. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ ქართველების გამარჯვებაში, მაგრამ ღალატის გამო დამარცხდნენ და თავი იმერეთს შეაფარეს.

შაჰ-აბასმა საშინლად ააოხრა ქართლ-კახეთი და გორში დაბანაკდა. აქედან შეუთვალა გიორგი მეფეს, გაეცა სტუმრები და სანაცვლოდ დიდძალ საგანძურს დაჰპირდა. გიორგი III-მ შორს დაიჭირა ვერაგი შაჰის პირობა, კათალიკოსი მალაქია და პაატა აბაშიძე აახლა ყაენს, მათი პირით პატიება სთხოვა. როცა შაჰ-აბასმა ნახა, რომ ძალით ვერას გახდებოდა, ცბიერებას მიმართა: დაიბარა ლუარსაბის გამზრდელი შადიამან ბარათაშვილი და სთხოვა, მომიყვანე ლუარსაბი, არაფერს დავუშავებ, თეიმურაზი კი მოსისხლე მტერია ჩემი, მას ვერ ვაპატიებო. თან ოქროთი მოოჭვილი ხმალი გაატანა ლუარსაბთან მეგობრობისა და თანადგომის ნიშნად.

**ლუარსაბმა კარგად იცოდა შაჰის „მეგობრობა“, მაგრამ მეფურმა სინდისმა სხვანაირად გადაწყვიტა: „უკუეთუ არა წარვიდე, ამიყრის ქუეყანათა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა“.**

შაჰ-აბასმა ლიქნით და პატივით მიიღო მეფე, მეგობრულად მოექცა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ქართლში ახალი მმართველი დანიშნა და ჯარებიც ჩააყენა. ლუარსაბი ჯერ ყარაიაში წაიყვანა, ვითომცდა სანადიროდ, იქიდან კი — სპარსეთში.

**ყარაიაში ყოფნისას ლუარსაბმა ყველა განაცვიფრა ახოვანებითა და ვაჟკაცობით. მისი ნანადირევის ხილვამ შურით აღავსო შაჰი.** ლუარსაბის დამ, თინათინმა, რომელიც ყაენის ცოლი იყო, სთხოვა თავის ლამაზ და ჩინებულ ძმას, უბადრუკად მოეჩვენებინა თავი შურით აგზებული აბასისათვის, მაგრამ მეფემ სევდიანად გაიღიმა და თქვა: „უწყი, რამეთუ არღარა განმიტევებს, ამისთვის უმჯობეს არს სიკეთისა ჩუენება, ვიდრე სიავისა“. დიდმარხვის დროს შაჰის ნადიმზე ლუარსაბმა შემოთავაზებული თევზი არ ჭამა, — დღეს თევზით გინდა გატეხო მარხვა, ხვალ ხორცს შემომთავაზებ, შემდეგ კი ქრისტეს უარყოფასაც მომთხოვო.

**სიბრაზისაგან გაცოფებულმა შაჰმა ქრისტეს უარყოფა და ალაჰის აღიარება უბრძანა მეფეს. მთელი ქვეყანა რომ მიბოძო, მაინც ვერ აღვასრულებ შენს ბრძანებას, რადგან ქრისტეს სახელით ნათელი მიმიღია და მხოლოდ ის მწამსო, — მხნედ უპასუხა წმიდა ლუარსაბმა.**

დატყვევებული გვირგვინოსანი შირაზს წაიყვანეს და დილეგში ჩააგდეს. შვიდი წლის განმავლობაში ყოველდღე შედიოდნენ მასთან ციხეში მოლები. „ჰოი, მეფეო! შეიწყალე სიჭაბუკე შენი და ნუ ეურჩები ბრძანებასა შაჰისასა, დაუტევე სარწმუნოება შენი და იწამე მაჰმადი, თორემ მწარე ტანჯვა და სიკვდილი მოგელის!“ — ეუბნებოდნენ ისინი წმიდანს. „რაცა გნებავთ ყოფად ჩემდა, ჰყავით და აღასრულეთ ბრძანება ყაენისა“, — პასუხობდა ლუარსაბი.

**ყაენმა უკანასკნელად შეუთვალა ქართველთა მეფეს: ან უარჰყავი ქრისტე, ან საშინელი სიკვდილი გელისო. ლუარსაბმა, რომელსაც პატიმრობის შვიდი წელი ლოცვასა და მარხვაში გაეტარებინა, დუმილით განაცხადა თანხმობა მოწამეობრივ აღსასრულზე.**

შაჰი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვერაფერი შეარყევდა ლუარსაბის წმენას, განრისხებულმა საპყრობილეში გაგზავნა ჯალათები და მეფის წამებით მოკვდინება ბრძანა.

მტარვალები მივიდნენ ბრძანების აღსასრულებლად. მეფე მიხვდა, რომ დამდგარიყო ჟამი მისი განსვლისა ამიერ სოფლიდან და ჯალათებს უთხრა: „მაცალეთ, რათა ვილოცო უფლისა მიმართ და მერე აღასრულეთ ბრძნებული მის უსჯულოისა“. წმიდა ლუარსაბმა ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაიჩოქა და ილოცა.

ლოცვის დამთავრებისთანავე ჯალათები დილეგში შევიდნენ და მშვილდის საბლით შეუბრალებლად მოაშთვეს ღვთისმოსავი მეფე. **ღამით წმიდა მოწამის დაუფლველ გვამს საკვირველი ნათელი დაადგა. მეორე დღეს წმიდა მოწამის სხეული ციხის ეზოში დაფლეს.**

ეს მოხდა 1622 წელს.

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ამ ორი მეფის თითქმის ერთნაირ მოწამეობრივ აღსასრულს მიაწერს „ჩვენი წამებული და მრავალტანჯული სამშობლოს თითქმის ყოველ დროს ერთსა და იმავე ვაებას, ერთსა და იმავე სიმწარეს“.



წმ. არჩილი და წმ. ლუარსაბი

ჩვენიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დარწმუნებული ვარ, დაკვირვებიხართ ჩვენი მასობრივი პრესის სივრცეში ქართულის დამახინჯების ტენდენციას, რომელიც შემთხვევით პოლიტიკოსებსა და ვაიჟურნალისტებს თავიანთი საკუთრება ჰგონიათ და არა საუკუნეებში გამოტარებული ეროვნული განძი და ღირსება“.**

# «ნიგზურას ფოთოლი ამოუვიდა»

## შეკითხვები საქართველოს პრემიერმინისტრს

„სადაგი დღეები გველებივით იცვლის პერანგს“.
*ფედერიკო გარსია ლორკა*


ფრიდონ ინჯია


ირაკლი ღარიბაშვილი



არსი უცვლელი რჩება. იმ დღეებზე მოგახსენებთ, ჩვენ რომ გვიხდება ცხოვრება.

გასულ პარასკევს, ანუ 2021 წლის 25 ივნისს საქართველოს პრემიერმინისტრი ანგარიშით წარსდგა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

პირველად.

დეპუტატები წინასწარ მოფიქრებულ-დაწერილ შეკითხვებს უსვამდნენ **ირაკლი ღარიბაშვილს**, ზოგჯერ ძალით გართულებული, ზოგჯერ ქლესა შეკითხვებით მიმართავდნენ ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარეს.

72 იყო მათი სახელი.

უმეტესობა, „საკმაოდ დაცილებული“ დახვეწილ ქართულს.

ეგენი „ყარა-ყურტა“ ხალხიაო, იტყვიან მთიულეთში ასეთებზე.

ერთადერთი დეპუტატი, რომელიც ფრიად შეწუხებული აღმოჩნდა ქართულის ასეთი ნახდენით, **ფრიდონ ინჯია** აღმოჩნდა.

**— ბატონო ფრიდონ, რამ გიბიძგათ, რამ გაიძულათ, საჯაროდ გამოგეტანათ ეს პრობლემა?**

— იმან, რაც ჩვენს გარშემო ხდება ყოველწუთიერად — ვის როგორც მოუნდება, ისე რომ საუბრობს. ჩემთვის გასაგებია: ენა ცოცხალი ფენომენია და მუდმივად მდიდრდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა დავიცვათ იგი იმ მავნე მინარევებისგან, რომლებიც ამახინჯებს ქართულს.

მაგრამ დაცული არ არის. ესეც უეჭველია.

მე ასე მესმის: თუ ჩვენი ენა გვიყვარს, როგორც მშობლიური, ჩვენი ოჯახი, ჩვენი მომავალი, იგი შესაფერისად უნდა დავიცვათ. ის ჩვენ თვითმყოფადობის ნაწილია, ილიას ნაანდერძევი წმინდა ტრიადის შემადგენელი ნაწილი.

საქართველო, ბევრი ძლიერი იმპერიის მსგავსად, პირისაგან მიწისა რომ არ აღიგავა, ენას უნდა ვუმადლოდეთ, ჩვენ სარწმუნოებას.

დარწმუნებული ვარ, დაკვირვებიხართ ჩვენი მასობრივი პრესის სივრცეში ქართულის დამახინჯების ტენდენციას, რომელიც შემთხვევით პოლიტიკოსებსა და ვაიჟურნალისტებს თავიანთი საკუთრება ჰგონიათ და არა საუკუნეებში გამოტარებული ეროვნული განძი და ღირსება.

ოღონდ რაღაც მოგება ნახონ, წუთიერი პოპულარობა მოიპოვონ.

ამ პრობლემის მოგვარება ეკისრება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურას, სახელმწიფო ენის დეპარტამენტს, რომელიც, ჩემი აზრით, არაფერს აკეთებს.

დარწმუნებული ვარ, რომ მაინცდამაინც მან უნდა დააწესოს ის ჩარჩოები, რომლებშიც უნდა ჩაჯდეს ქართული მედიის ენობრივი სიწმინდე, საინფორმაციო საშუალებების ენობრივი პარამეტრები. მაქსიმალურად დაიცვას, თორემ იმ ავგიას საჯინიბოების გამწმენდმა ჰერალემ, ვეჭვობ, მთლიანად აღმოფხვრა დღეს ჩვენში გამჯდარი ენობრივი კულტურის სიმახინჯენი.

კარგად რომ დაისჯება მასმედიის თუნდაც ერთი ორგანო, თუნდაც ბილწსიტყვაობის ეკრანზე გამოტანის გამო, სხვა ვერ გაბედავს. დასჯა, დაჯარიმება, ენის კანონის მიღება დღის წესრიგში დგას, როგორც აქტუალური საკითხი.

ქართული ენა ისე მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ წესიერების ფარგლებში შეგიძლია საფუძვლიანად გააკრიტიკო ან, თუნდაც, შეაქო მტერიცა და მოყვარეც.

ენის კულტურა გვაკლია!

ამ პრინციპის დარღვევა რესპონდენტის უსუსურობაა.

**— არადა, დეპუტატია.**

— ქართული ენის დეპარტამენტი სახელმწიფო სტრუქტურაა. ალიბეგაშვილი გიორგი ხელმძღვანელია. ორ-სამჯერ დავურეკე, დავინტერესდი, რას აკეთებენ. დახმარება შევთავაზე. კი — მელაპარაკა რაღაც ღონისძიებებზე, მაგრამ ყველაფერი კვლავაც „რაღაცეების“ დონეზეა დარჩენილი.

ერთ მაგალითს დაგისახელებთ.

მობილური ოპერატორები შეტყობინებებს ლათინური შრიფტით დაწერილს გვიგზავნიან. რატომ ხდება ასე? გვიპასუხებენ, რომ ყველას არ აქვს ქართული შრიფტით აღჭურვილი აპარატები.

ესეც ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა. თუ მივიღებთ კანონს, რომ შეტყობინებები მხოლოდ ქართულად ვრცელდებოდეს, ასევე, კანონს ლიცენზირების შესახებ, რომლის თანახმად პროვაიდერმა ქვეყანაში ვერ უნდა შემოიტანოს მობილური ტელეფონები, რომლებიც ქართულ ენაზე არ იქნება ადაპტირებული. საკითხი უცებ მოგვარდება, მაგრამ ამას პატრონი სჭირდება.

თურქეთში, მაგალითად, ეს საკითხი მოგვარებულია, რუსეთშიც. სერტიფიკაციაში რა იგულისხმება? არ უნდა ჰქონდეს დაწესებულ დონეზე მეტი გამოსხივება, ისეთი პროგრამით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომელიც ამ კონკრეტულ ქვეყანაში არის დადგენილი და ა.შ.

ჩვენთან სერტიფიკაცია ამ თვალსაზრისით არ არსებობს. შემოიტანე, გენაცვალე, ყველაფერი — რძის ფხვნილით დაწყებული, ტელეფონების აპარატებით დამთავრებული. არავინ არაფერს გეტყვის: არც სერტიფიცირება არ არის, არც მისი კონტროლი არსებობს.

არავინ აკონტროლებს თუნდაც ნაყინის ხარისხს, ინგრედიენტებს, რომლებითაც ერთი სახეობა მეორისგან უნდა განსხვავდებოდეს. სახელწოდებებია განსხვავებული მხოლოდ. კარგად საღდება ნაყინი „გურჯაანი“, მაგრამ რა შემადგენლობისაა, ამის გასარკვევად კაცისშვილი თავს არ შეიწუხებს.

ერთადერთი, ვინც ამ ბოლო დროს აამოძრავა აქ დამკვიდრებული რუტინა, დედაქალაქის მერი **კახი კალაძეა**: კარგი დედმამის შვილი ხარ, გაბედე და დაარღვიე მშენებლობის სტანდარტები! ვერ მიიღებ ლიცენზიას, ვერ დაამტკიცებ პროექტს, თუ სრულად არ არის ყველა მოთხოვნა გათვალისწინებული. ზოგ საკითხში, მიმაჩნია, რომ ზედმეტიცაა, მაგრამ ზედმეტიდან უკანდახევა შედარებით იოლია.

ეს ზოგადად. ახლა კი, რაც პრემიერმინისტრს შეეხება: მას, როგორც ქვეყნის პირველ პირს, ემსახურება მოხელეთა უზარმაზარი აპარატი. საკმარისია, დაუძახოს ალიბეგაშვილს, მოსთხოვოს მისდამი რწმუნებული უწყების საქმიანობის ანგარიში — რისი გაკეთება შეძლო, რისი — ვერა, გაეცნოს ამ სტრუქტურის გეგმებს, სპეციალისტებთან ერთად განიხილოს და მოძებნოს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები, რომლებიც შედეგზე იქნება ორიენტირებული.

ასეთია უმარტივესი ორგანიზება შრომის, სისტემატიზებული კონტროლი და საქმეც მკვდარი წერტილიდან დაიძრება.

თავისთავად იგულისხმება მაღალი კვალიფიკაცია პრემიერის აპარატის, რაშიც დარწმუნებული არ ვარ, რადგან, ეტყობა, მისმა რეფერენტებმა თუ თანაშემწეებმა, რომლებსაც იმ დღეს შეკითხვების ჩაწერა ევალებოდათ, ვერ გაიგეს ჩემი შეკითხვის დედააზრი, საერთოდ ვერ გაერკვნენ, რას ვეკითხებოდი, ამიტომ იყო, რომ მისი პასუხი ასცდა იმ თემას, რომლისთვისაც პრემიერმინისტრის ყურადღების მიქცევა მსურდა: ვეკითხებოდი ქართული ენის სიწმინდის დაცვის შესახებ და პასუხად მივიღე, რომ მუშაობენ საქართველოში ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის აუცილებელი შესწავლის საკითხებზე.

პრაგმატულად უნდა მივუდგეთ გასაკეთებელ საქმეს, თორემ მაჩანჩალის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

**— ბატონო ფრიდონ, შეიძლება ზოგიერთმა ჩვენმა მკითხველმა თავიდან ბოლომდე ვერ მოუსმინა დეპუტატების დასმულ შეკითხვებს, გამორჩა თქვენი შეკითხვა. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ხომ არ გაიმეორებთ ამჯერად, როგორც საგაზეთო ვარიანტს?**

— გავიმეორებ და განვმარტავ კიდეც: როგორ ფიქრობთ, ბატონო პრემიერო, რამდენად არის დაცული ქართული ენა საქართველოში და რა კეთდება იმისთვის, რომ იგი ნამდვილად იყოს საქართველოს სახელმწიფო ენა. დაახლოებით ასე.

რამდენად არის დაცული გინდათ რეკლამებში, გინდათ ტელეგადაცემებში, გინდათ ინფორმაციის სხვა საშუალებებში და ა.შ., რამდენად ხართ კმაყოფილი? ჩემი შეკითხვა იყო მინიშნება, რა უნდა გააკეთოს, რა აწუხებს და მტკივა მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს.

**— როგორ მიიჩნევთ, მიაქცევენ ყურადღებას თქვენ მიერ წამოჭრილ მტკივნეულ საკითხს? დამატებით ღონისძიებებს ხომ არ განახორციელებთ ამ თემის გასააქტიურებლად?**

— ორშაბათს გაგრძელდება ჩვენი გამოსვლები. ჩვენი ფრაქციის სახელით პლენარულ სხდომაზე გამოვალ და გავიმეორებ იმ 15 წუთში, რომელიც ჩვენთვის არის გამოყოფილი, ვილაპარაკებ იმ თემებზე, რომლებსაც დღევანდელ საუბარში შევეხეთ. გავუზიარებ ჩემს შეხედულებას, რომლის განხორციელება ქვეყანას გამოადგება, დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, არც დიდი ინვესტიციები სჭირდება, მაგრამ აუცილებელია კონტროლი, პასუხისმგებლობის ამაღლება და საქმეც წინ წაიწევს.

**— პრემიერი დაესწრება ამ სხდომას?**

— აუცილებლად.

«ჩემთვის გასაგებია: ენა ცოცხალი ფენომენია და მუდმივად მდიდრდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა დავიცვათ იგი იმ მავნე მინარევებისგან, რომლებიც ამახინჯებს ქართულს. მაგრამ დაცული არ არის. ესეც უეჭველია»

**ბოლოთქმის ნაცვლად:**

**„ერთი კაცი ყოფილა, შვიდი ჰყოლია მოკლული. ჰოდა, ადგა, წავიდა ბერთან: „როგორ ავიყარო ცოდვა?“ ესე ესეო, უთხრა ბერმა: „წადი შენა ჯორედინა გზაზე (გზაჯვარედინზე) დადეგ: გამვლელ-გამომვლელი გეტყვით: „რას აკეთებო?“ ნიგზურა (მუგუზალი) დაჰყუდე იქ.**

**მამრე არავინ არ უთხრა: „რატო დგახარ?“**

**გაიარა ერთმა. იმან უთხრა: „რას აკეთებო?“**

**„რას ვაკეთებო, შვიდი მყავ მოკლულიო, ეს ცოდვა უნდა ავიყაროო“.**

**„შე კაცო, შვიდი რა არის? მე შვიდის საქმე ავრიველო და ახლა მივდივარ მერვეზე, ისიც უნდა აერივოო“.**

**დაფიქრდა ეს კაცი: „ეს შვიდი წყვილიო, მემრე იმათი შვილებიო“. ესროლა და ის მერვეც მოკლა, რომელსაც შესჩივოდა.**

**ნიგზურას ფოთოლი ამოუვიდა“.** *(ლია კაიშაურის „მთიულური ტექსტებიდან“, გვ. 109).*

**არმაზ სანებლიძე**



დააკვირდით რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრის ამ შებერტყილი ყვავის ეშმაკურ გამოხედვას: იქაური აბორიგენია, ბორისი ჰქვია.
ამან იმდენი რამე იცის... 300 წელიწადს ცოცხლობს. ვერ ავალაპარაკე.
მხოლოდ თავის პატრონს უმხელს ყველა საიდუმლოს — ყურში უჩურჩულებს ხოლმე.
და გტოვებთ ბორისთან ერთად.
მე ხელი ამილია... რეზოსთან ხომ არ დავასმენდი?!

უკვდავება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რეზო გაბრიაძე — 85

გუშინ რეზო გაბრიაძეს 85 წელი შეუსრულდებოდა.
იუბილის აღსანიშნავად მისი მეგობრები და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია რომ ვემზადებოდით, გადავწყვიტეთ პატარა წიგნი გამოგვეცა და მოკრძალებულ საჩუქრად მიგვერთმია ბატონ რეზოსთვის.
ვერ მოვასწარით...
სამწუხაროდ.
მაგრამ წიგნი მაინც გამოვიდა. გამოიცა ზუსტად იმ სახით, როგორითაც ჩაფიქრებული გვქონდა.
უცვლელად.
სანამ მიგვატოვებდა და ზეცად ამაღლდებოდა მისი უკვდავი სული.
ვაქვეყნებთ ფრაგმენტებს ამ წიგნიდან.



## „მელახოლია სენი...“

**„კილე შერები“:** — აბა, სხვანაირად როგორ უნდა წაეწერა მხატვარს იმ წიგნის ყდაზე, რომელიც ფანტაზიორი შერეკილების თავგადასავალზე მოგვითხრობს, ჩვენებური კულიბინების — „ვიღაც სუხარებით მეხრამუნე ნასტუდენტარი ფიზიკოსის“ — ქრისტეფორე მგალობლიშვილისა და „სიბნელიდან სინათლისკენ“ დაძრულ ოკრიბელ ერთაოზ ბრეგვაძის, მიზანას შვილის მიერ საგიჟეში აგებულ ცათმფრენზე, მათ გაცუდებულ სიყვარულზე და კიდევ ბევრ რაღაცაზე, სადაც მარგალიტა, ნოშრევან კუჭუხიძე და ხუტა ოდიშარია მთავარ როლებს თამაშობენ. ყველა თავ-თავის სასიყვარულო სამკუთხედში ტრიალებს, რომელთა მიზიდულობის ცენტრი მარგალიტაა:

**„— ქალბატონო მარგალიტა! — ჩურჩულით დაუძახა ციხის უფროსმა.**

**— რომელი ხარ? — მოისმა ოთახიდან.**

**— ოდიშარია.**

**— რომელი ოდიშარია, ხუსკივაძე?“**

ობერკონდუქტორი ტრიფონია ეპიზოდურ როლზეა მიწვეული.

თამუნია ყიფიანი კი მოგონებად დარჩება...

ღიმილიანი განწყობილება, მკითხველს თავიდან რომ დაეუფლება, ბოლომდე გაჰყვება — 99-ე გვერდამდე და იმის იქითაც, როცა რეზო გაბრიაძის „ნავსაყუდელში — სახვით ხელოვნებაში“ აღმოჩნდება შემოქმედების ტალღების მიერ ნაფოტივით ატაცებული: „საბჭოთა ჩემოდნის ნაზი ძირიდან“ გადმოვარდნილი უნიკალური ნახატების საგამოფენო დარბაზში.

მთავარი ნავსაყუდელი ცაშია, მეცხრე ცის ზემოთ, „ზემოთ და მაღლა“, სადაც მკითხველი მოხვდება, როგორც ცათმფრენის უბილეთო მგზავრი.

იმოგზაურებს კოსმოსური უსასრულობის შავეთში ვარსკვლავებად გარდასახული თეთრი ჩხიკვების გუნდის საპატიო ესკორტის თანხლებით, აჩაჩა ურემზე დაბრძანებული, რომელსაც აქვს ორი ბორბალი, რვაფრთიანი პროპელერი და არყის სახდელი ქვაბის გასაიდუმლებული რაოდენობის ცხენისძალიანი ძრავა:

**„ხანდახან ვილაც-ვილაცებს დაუნახავთ ვარსკვლავებში აჩაჩა ურემი.**

**ურემზე თითებით ნაძერწი მოლუნული სანთელი ანათებდა, უსასრულობაში რაღაცას ეძებდა“...**

ვეძებდი სიტყვებს A-4-ის ფორმატის თაბახის ქაღალდის სიცარიელეზე იმ შთაბეჭდილების გადმოსატანად, მაინცდამაინც რეზო გაბრიაძის შედევრები რომ ახდენს მკითხველზე.

ამაოდ.

თუნდაც იმიტომ, რომ თავს ვერ აღწევ ასოცირების მორევს, რომელშიც გითრევს გაბრიაძის ფანტაზიით შექმნილი რეალობის იდენტურობა ჩვენი უახლესი ისტორიის მწარე სინამდვილესთან, „ფსიქიატრიულ ახალშენში“ მდგარ აგურის შენობას რომ ჰგავს:

**„ამ შენობას ორი კარი ჰქონდა და ერთი წარწერა — „საოყნე“.**

მარჯვენა კარი განკუთვნილი იყო თავადაზნაურთათვის, მარცხენა — უბრალო ხალხისთვის“.

მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ ძალებზე მიგვანიშნა, მგონი, ავტორმა, ორპარტიულ, ანტაგონისტურ სიყალბეზე, რომელსაც ხალხისთვის არც არასდროს მოუტანია რამ სარგებელი, რადგან:

**„...ორივე კარს ერთსა და იმავე ოთახში შევყავდით, ერთსა და იმავე ოყნასთან“.**

უპოვართა და ამა ქვეყნის ძლიერთა გამაერთიანებელი მუდმივა — ოყნა!

**„ეს ორი კარი უსამართლოდ ეჩვენებოდა მდაბიოებს“.**

გავიზიაროთ მათი პროტესტანტული განწყობილება.

გაბრიაძე არაფერზე მიგვანიშნებს. არავითარი პოლიტიკა! ეს კი, დღევანდელი გაგებით, არაპროდუქტიულია. მაგრამ კონიუნქტურისგან ამგვარი გარიდებით მაღლდება ეს წიგნი ნებისმიერ პოლიტიკაზე მაღლა, დროზეც მაღლა და ამით უზრუნველყოფს გაუცვეთელ ღირებულებათა სიმყარეს — დღესაც და პერსპექტივაშიც.




კლასიკის ბუნებაა ასეთი.

ხოლო ის პარალელი ნაცნობ სიტუაციასთან ჩემით გავავლე. სხვა არაფერი. თორემ „შერეკილების“ ქვეტექსტებში იმდენ პარალელს იპოვით, თქვენ რომ გაგიხარდებათ.

ორმაგი სიმდიდრეა: ის, რაც არის, პლიუს ის, რაც იგულისხმება.

წაიკითხავთ, მაგალითად, რომ გვალვიან ზაფხულს მოყოლილ შემოდგომაზე ნეონერვო-კლინიკის პაციენტებმა **„გნოლიძემ, ლორიამ, ჩილაჩავამ, სიმონგულოვმა და ტყეშელაშვილმა ჩალის კარავში შეთქმულება მოაწყვეს, — „ტყვილა ვყავართ აქანეო, მეფემ თუ გოუგო ნოშრევანს, დედის ცრემლი არ ეყოფაო“.**

წაიკითხავთ და არ შეიძლება არ გაგახსენდეთ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში ოხრანკის თვალყურს გარიდებული ლენინის ჩალის კარავი რაზლივში.

„რევოლუციური კარვებისადმი“ ავტორის დამოკიდებულება ორიოდ წინადადებით არის გადმოცემული — მსუბუქი იუმორით მიწასთან გასწორებული „რევოლუციონერობა“:

**„კარპეზა დენიაგმა (ნოშრევანის კაცმა) დროზე უცვალა გეზი შეთქმულებას, სხვა მსვლელობა მისცა და ოყნებს დაუკავშირა — ამ საქმეში თავადაზნაურობასთან გათანაბრება მოითხოვა.**

**ამასობაში ალმასას და მაისას კარავი შემოეჭამათ.**

**თავსხმა წვიმაში კი შეთქმულება ჩვენში ინტერესს კარგავს“.**

კარგად მეყოლეთ!

## შეტევა როიალით

შეთქმულება უინტერესო ხდება, ცხოვრება — მოსაწყენი და უძრაობის ღრუბლების გასაფანტად, გასართობად ხალხი თავის თავთან ჯიგრიან დაპირისპირებას იწყებს ნებისმიერი მიზეზით. თუმცა პროვინციულ ქალაქში საჩხუბრად, ერთმანეთისთვის თავის გასატეხად და ხუტას ცხენისთვის კბილებით ნალის ასაგლეჯად მიზეზი სულაც არ არის აუცილებელი.

მაგრამ მიზეზი მაინც არის იქ, სადაც არის თუნდაც ნემეცების ქუჩის „მის მარგალიტა“ — „შესანიშნავი გულმკერდით! ოდნავ მოელამო! ზომიერად პამადიანი!“

კიდევ ერთი პარალელი, უფრო ზუსტად, პარალელი შედარებისთვის, სადაც ერთ მხარეს პირველი საბჭოთა მუსიკალური კინოკომედიის შედევრი, ალექსანდროვის „ვესიოლიე რებიატა“ იქნება — რეპეტიციის დროს ორკესტრანტებს შორის ატეხილი ჩხუბი, ექსპრესია და ენერგეტიკა, მიკროკადრებიდან ამოფრქვეული ცეცხლოვანი იუმორი, მუსიკალური და გამოსახვითი რიგების ზუსტი შეთანხმება, მოკლედ, სინთეზური ხელოვნების ზეიმი; და მეორე მხარეს — მხოლოდ სიტყვა, მაგრამ სიტყვა რეზო გაბრიაძისა.

ხუთ გვერდზე გრძელდება ჩხუბის აღწერა, ტრიფონიას „ეზოში მეხი რომ გასკდება“, იქიდან მოყოლებული, ვიდრე საკვამურიდან იმავე ტრიფონის თავის ამოყოფამდე.

არა მგონია, ეს სცენა ჩამოუვარდებოდეს კინოკომედიის ბრწყინვალე კადრებს.

მხოლოდ ერთი პასაჟი „შერეკილებიდან“, არა ელდარ შენგელაიას ელვარე ფილმიდან, არამედ ამ ფილმის ლიტერატურული „წინაპირობიდან“:

**„ორი რაზმი ერთმანეთს ეკვეთა! ატყდა ვაი-უშველებელი! შერბენ-გამორბენა! აშლი-მაშლი! მალ-მალ გინება! მათრახების ფსტვენა! ბაგა-ბუგი გოდოგნური! გაილვიძა ქალაქმა! აკიაფდა ჭრაქები! ყველამ ნემეცის ქუჩას მიაშურა! იფეთქა საუკუნეობით დაგროვილმა სტიქიურმა ძალამ. არავინ კითხულობდა, ვინ — ვის რატომ ან რისთვის ურტყამდა! მამის, პატარის, დიდის, ქალის გარჩევა მოიშალა! მოცელეს ღობეები! გათელეს ბაღები! ბოსტნები! ბორცვ-გორები! თევზი ნაპირს მოშორდა და სილაში ჩაიმარხა! ჩიტმა ცა გამოიცვალა! გახურდა ჩხუბი! აღდგა იმერეთი! გაწიეს გვერდზე საქართველო! გაილო კარი ლხინისა!“** ხოლო **„რაჭველები გუბერნატორის როიალით კედლებს ანგრევდნენ უსიტყვოდ!“**

დანარჩენს თქვენ წაიკითხავთ.

ამ დროს **„ბულვარდში ბუზიკამ დასცხო ვალსი ჩქარული! ჩვენებური! ვაჟკაცური!“**, ხოლო **„იაშა ფლეიშმანი პანჩურით დირიჟორობდა ორკესტრს!“**

წავიდა ის დრო, როცა **„ქიმია არ იყო, ვაშლში ჭია ბუდობდა, რძე ქვაბიდან გადადიოდა, გიჟი გიჟობდა და შმაგი შმაგობდა“...**

ა.ს.



ორი რაზმი
ერთმანეთს
ეკვეთა

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარინა 5 წლის იყო, როცა მოიტაცეს, გოგონა დაიკარგა და კოლუმბიის ჯუნგლებში ამოყო თავი. მალე ის მაიმუნების ხროვამ შეიფარა. სწორედ მათმა დახმარებამ შეუნარჩუნა მარინას სიცოცხლე, მაგრამ ცხოველებთან 5 წლის ცხოვრების განმავლობაში გოგონას ლაპარაკი დაავიწყდა და ოთხზე დაიწყო სიარული.**

# გადარჩენილები: თანამედროვე რობინზონების დაუჯერებელი ისტორიები

ალექსანდრე სელკირკი უკაცრიელ კუნძულ მას-ა-ტიერაზე 4 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. ის 1709 წლის 2 თებერვალს გადაარჩინეს. სახელდობრ, სელკირკი იქცა ინგლისელი მწერლის, დენიელ დეფოს, გახმაურებული რომანის პერსონაჟ რობინზონ კრუზოს პროტოტიპად.
76 დღე გასაბერი ტივით ოკეანეში, 30 წელი ჯუნგლებში... ვინ არიან თანამედროვე რობინზონები?



## ალექსანდრე სელკირკი



ალექსანდრე სელკირკი შოტლანდიელი მეზღვაური იყო. ერთ-ერთი მოგზაურობისას სელკირკსა და გემის, რომელზეც მეზღვაურად მსახურობდა, კაპიტანს შორის კონფლიქტი მოხდა. შედეგად მამაკაცმა მოითხოვა, ერთ-ერთ უკაცრიელ კუნძულზე დაეტოვებინათ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ გემი მის წასაყვანად დაბრუნდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. სელკირკმა კუნძულზე 4 წლისა და 4 თვის განმავლობაში იცხოვრა. სელკირკამდე კუნძულზე უკვე ცხოვრობდნენ ადამიანები — მათ კუნძულზე დატოვეს თხები და სხვა ცხოველები.

## ლინ პენი



1942 წელს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ინგლისური გემი „ბელომონდი“ ჩაძირა. ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა ლინ პენის გარდა, რომელმაც გასაბერი ტივითა და ცოტა პროდუქტით ზღვაში დრეიფი დაიწყო. მეზღვაური 100 დღის განმავლობაში თევზითა და წყლით სულდგმულობდა, ზოგჯერ კი წყალმცენარეებსაც მიირთმევდა, რომლებმაც პენი სურავანდით დაავადებას გადაარჩინა. მამაკაცის გადარჩენას რამდენიმეჯერ შეეცადნენ, მაგრამ თავდაპირველად ის სხვა გემის ბორტზე არ აიყვანეს, იმიტომ, რომ ჩინელი იყო, შემდეგ ამერიკელებმა სპეციალური სამაშველო ბული გადაუგდეს, მაგრამ შტორმის გამო გადარჩენის მისია ვერ შესრულდა. ლინ მენმა ამ ხნის განმავლობაში 9 კგ დაიკლო. შეეძლო დამოუკიდებლად გაადგილება და ლაპარაკი. მამაკაცი მხოლოდ 1943 წელს გადაარჩინეს. მოგვიანებით პენის რეკომენდაციები გადარჩენის სახელმძღვანელოდ იქცა ბრიტანეთის ფლოტში.



## ჰიუ გლასი



ფილმ „გადარჩენილის“ გმირის პროტოტიპი, ამერიკელი ჰიუ გლასი რამდენიმე კაცთან ერთად მდინარე მისურის სათავისკენ აუყვა, სადაც შემთხვევით თავს დაესხა დათვი და სხეული მრავალ ადგილას მძიმედ დაუზიანა. მაგრამ ჰიუ დანებებას არ აპირებდა. თანმხლებმა პირებმა იფიქრეს, რომ ჰიუს გადარჩენის შანსი მცირე იყო, მისი აღჭურვილობა და საკვები წაილეს და მომაკვდავი ამხანაგი მიატოვეს. გონსმოსული ჰიუ მდინარის ნაპირამდე მიცოცდა და ტივით ფორტ-ნოქსამდე მიაღწია.



## ჯერალდ კინგსლენდი



ბრიტანელი ჟურნალისტის, ჯერალდ კინგსლენდის, ისტორია განსაცვიფრებელია. 1980-იანი წლების დასაწყისში მამაკაცმა გადაწყვიტა, ჩაეტარებინა ექსპერიმენტი. შეძლებდა თუ არა, ერთი წლის განმავლობაში ეცხოვრა ტროპიკულ კუნძულზე ცივილიზებული პირობების გარეშე. კინგსლენდი შეეცადა, მეწყვილე ეპოვნა და გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა, მაგრამ მას მამაკაცის ნაცვლად ახალგაზრდა ქალი გამოეხმაურა — **ლუსი ირვინი,** რომელმაც თანხმობა განაცხადა სოციალურ ექსპერიმენტში მონაწილეობაზე. 1982 წელს წყვილი გაემგზავრა ავსტრალიასა და ახალ გვინეას შორის მდებარე კუნძულ ტაინზე. სხვათა შორის, ახალგაცნობილი ლუსი და ჯერალდი დაქორწინდნენ, რათა გაეიოლებინათ ვიზების მიღება. მოგვიანებით წყვილმა განაცხადა, რომ ყველაზე მძიმე ურთიერთგაგების უქონლობა იყო.

1983 წელს კუნძულს თავს გვალვა დაატყდა და „ახალდაქორწინებულები“ მტკნარი წყლის გარეშე დარჩნენ. ლუსი და ჯერალდი აბორიგენებმა გადაარჩინეს. დიდ ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ წყვილი განქორწინდა. მოგვიანებით ორივემ ცალ-ცალკე დაწერა წიგნი უცნაურ ექსპერიმენტზე. ორივე წიგნი ბესტსელერად იქცა.



## მარინა ჩაპმანი



მარინა 5 წლის იყო, როცა მოიტაცეს, გოგონა დაიკარგა და კოლუმბიის ჯუნგლებში ამოყო თავი. მალე ის მაიმუნების ხროვამ შეიფარა. სწორედ მათმა დახმარებამ შეუნარჩუნა მარინას სიცოცხლე, მაგრამ ცხოველებთან 5 წლის ცხოვრების განმავლობაში გოგონას ლაპარაკი დაავიწყდა და ოთხზე დაიწყო სიარული. კარგა ხნის შემდეგ მარინა ადგილობრივმა მონადირემ იპოვა, რომელმაც ის ბორდელში ჩააბარა. ჩაპმანმა მოახერხა გაქცევა და დიდ ბრიტანეთში, ბრედფორდში გადაბარგდა.



## ჯულიანა კეპკე



ჯულიანა ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა 92 მგზავრიდან, რომელიც ცოცხალი გადარჩა თვითმფრინავის კატასტროფის შემდეგ. თვითმფრინავს მეხი დაეცა და პერუს ჯუნგლებში ჩავარდა. ჯულიანა იხსნა სავარძელმა, რომელზეც უსაფრთხოების ქამრით იყო მიბმული, თუმცა ლავიწის ძვალი მოტყდა. ქალი ტყის მჭრელებმა იპოვეს. მას შემდეგ, რაც სამშობლოში დაბრუნდა, ჯულიანას ისტორია საფუძვლად დაედო ფილმს „სასწაულები კვლავ ხდება“.



## პავლე ვავილოვი



1942 წელს ყინულმჭრელ „ალექსანდრე სიბირიაკოვის“ ეკიპაჟი ფაშისტურ კრეისერთან ბრძოლაში ჩაება. ყინულმჭრელის ეკიპაჟისა და მგზავრების უმრავლესობა დაიღუპა, გადარჩენილები კი გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს. **პავლე ვავილოვი** ცეცხლფარეში იყო. ყველაზე სახიფათო მომენტში ის წყალში აღმოჩნდა, შემდეგ კი შეძლო ცარიელ სამაშველო ნავზე ასვლა. შუქურის სიგნალის დანახვის შემდეგ ვავილოვმა მისკენ გაცურა და რაღაც დროის შემდეგ კარსის ზღვის (ჩრდ. ყინულოვანი ოკეანე) კუნძულ ბელუხაზე აღმოჩნდა.

პავლე ვავილოვმა კუნძულზე 34 დღე გაატარა — შუქურის ზედა მოედანზე. იკვებებოდა ქატოთი და სვამდა ყინულის დნობით მიღებულ წყალს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იუგოსლავებმა შესვენებამდე 6 წუთით ადრე გაიტანეს ბურთი და მატჩს მე-80 წუთამდე იგებდნენ. სწორედ ამ მომენტში დაინიშნა საჯარიმო „სკუადრა აძურას“ სასარგებლოდ. სანამ მსაჯი „კედელში“ მყოფ მოთამაშეების დისტანციის დაცვაზე ინსტრუქტაჟს უტარებდა, იტალიელთა თავდამსხმელმა დომენგინიმ ბურთი მეტოქის კარში გაიტანა. ორივე გუნდის მოთამაშეების გასაკვირად, მსაჯმა გოლი ჩათვალა. „შვეიცარიელი მსაჯი შორს იყო ნეიტრალურობისაგან, — წერდნენ გაზეთები, — პირველ ტაიმში მან იუგოსლავიელებს 100%-იანი პენალტი არ დაუნიშნა, მეორე ტაიმში კი იტალიას გოლი აჩუქა. ეს სკანდალური მსაჯობა იყო“.**

# სკანდალები ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატებზე

**ევროპის X საფეხბურთო ჩემპიონატზე რამდენიმე სკანდალი აღინიშნა, თუმცა, ამ მხრივ, არც სხვა ჩემპიონატები ყოფილა გამონაკლისი. გთავაზობთ ევროპის ჩემპიონატებზე მომხდარ რამდენიმე ხმაურიან ეპიზოდს.**

### ფრანკომ ესპანეთის ნაკრებს საბჭოთა კავშირთან თამაში აუკრძალა, 1960 წ.

ესპანეთის ნაკრები 1960 წელს ნიჭიერი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. მათ შორის გახლდათ ლეგენდარული **დი სტეფანოც**, მაგრამ ესპანელებმა ტიტულისთვის ვერ იბრძოლეს... პოლიტიკის გამო.

ესპანეთის დიქტატორმა, გენერალმა **ფრანსისკო ფრანკომ** ესპანეთის ნაკრები საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მეოთხედფინალური მატჩის სათამაშოდ მოსკოვში არ გაუშვა (საპასუხო მატჩი მადრიდში უნდა გამართულიყო), რადგან შეუშინდა, წაგების შემდეგ რეპუტაცია შეელახებოდა, თანაც საპასუხო მატჩის დროს ესპანელთა საპროტესტო გამოსვლებიც მოსალოდნელი იყო. ფრანკომ უკვე მოსკოვში გასაფრენად გამზადებული გუნდი თვითმფრინავიდან ჩამოსვა. აღსანიშნავია, რომ ევროპის პირველ ჩემპიონატში საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა. საბჭოელთა ნაკრების ღირსებას 3 ქართველი იცავდა: **გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი** და **მიხეილ მესხი.**

### ფინალი: იტალია-იუგოსლავია, 1968 წ.

ამ მატჩს შვეიცარიელი გოტფრიდ დინსტი მსაჯობდა. იუგოსლავებმა შესვენებამდე 6 წუთით ადრე გაიტანეს ბურთი და მატჩს მე-80 წუთამდე იგებდნენ. სწორედ ამ მომენტში დაინიშნა საჯარიმო „სკუადრა აძურას“ სასარგებლოდ. სანამ მსაჯი „კედელში“ მყოფ მოთამაშეებს დისტანციის დაცვაზე ინსტრუქტაჟს უტარებდა, იტალიელთა თავდამსხმელმა **დომენგინიმ** ბურთი მეტოქის კარში გაიტანა. ორივე გუნდის მოთამაშეების გასაკვირად, მსაჯმა გოლი ჩათვალა. ანგარიში 1:1 მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა. „შვეიცარიელი მსაჯი შორს იყო ნეიტრალურობისაგან, — წერდნენ გაზეთები, — გამომწვევი ქმედებები იუგოსლავიელი ფეხბურთელების მიმართ ეჭვს არ ტოვებდა, ვის მხარეს იყო მისტერ დინსტი. პირველ ტაიმში მან იუგოსლავიელებს 100%-იანი პენალტი არ დაუნიშნა, მეორე ტაიმში კი იტალიას გოლი აჩუქა. ეს სკანდალური მსაჯობა იყო“. ფინალური მატჩი ხელახლა გაიმართა 2 დღის შემდეგ და მასპინძლებმა გაიმარჯვეს 2:0 (სხვათა შორის, იტალიამ ნახევარფინალში 0:0 ითამაშა საბჭოთა კავშირთან და ფინალში მონეტის აგდებით, „არიოლ-რეშკათი“, გავიდა).

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ის გოტფრიდ დინსტია, რომელმაც 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ტოფიკ ბახრამოვთან ერთად არარსებული გოლი ჩაუთვალა ინგლისელებს, როცა ანგარიში 2:2 იყო (მატჩი ინგლისი-გერმანია 4:2 დასრულდა).

### რონალდ კუმანი გერმანელების წინააღმდეგ, 1988 წ.

„ბარსელონას“ მწვრთნელმა რონალდ კუმანმა 1988 წლის ნახევარფინალში გერმანიის წინააღმდეგ გამართული მატჩის შემდეგ გერმანელთა გულშემატკივრების გულისწყრომა დაიმსახურა.

ნიდერლანდები 0:1-ს აგებდა, მაგრამ 55-ე წუთზე კუმანმა პენალტით გაათანაბრა ანგარიში. 88 წუთზე კი **მარკო ვან ბასტენმა** გამარჯვების ბურთი გაიტანა. ფინალური სასტვენის შემდეგ კუმანმა მაისური გაუცვალა გერმანელ **ოლაფ ტონს,** შემდეგ კი ტელეკამერების ობიექტივში იმ მომენტში მოხვდა, როცა ისეთ მოძრაობას აკეთებდა, თითქოს მეტოქის მაისური უკანალში ამოისვა.

ამ საქციელმა აღაშფოთა გერმანელები, კუმანის მამამ ბოდიში მოიხადა შვილის საქციელისთვის, მაგრამ თვითონ რონალდს არასოდეს უთქვამს, რომ ნანობს თავის ჟესტს.

### დანია იუგოსლავიის ნაცვლად, 1992 წ.

ტურნირი დანიამ მოიგო, თანაც დამსახურებულად, მაგრამ შვედეთში გამართულ ჩემპიონატზე დაუმსახურებლად მოხვდა. უეფას მესვეურებმა გაუგონარი მიზეზების გამო ტურნირიდან მოხსნეს იუგოსლავია, სადაც მიმდინარეობდა სამოქალაქო დაპირისპირება, რომელმაც ქვეყანა დაანაწევრა. თუმცა სერბი, ხორვატი, ბოსნიელი, სლოვენიელი და მაკედონიელი ფეხბურთელები მზად იყვნენ, იუგოსლავიის დროშით ეთამაშათ, თანაც იმხანად იუგოსლავიას შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავდა.

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ ჩემპიონთა თასის მფლობელი იყო.

### ტოტის გადაფურთხება, 2004 წ.

„ჩესტო, იცი, სად მდებარეობს შვედეთი? — დიახ, დაახლოებით ერთ გადაფურთხებაზე დანიიდან“. ეს არის ხუმრობა ფრანჩესკო ტოტის წიგნიდან ფრანჩესკო ტოტიზე, ფეხბურთელსა და საზოგადო მოღვაწეზე. იტალიელმა თავის თავზე ყველა ანეკდოტსა და ხუმრობას (ტოტიზე ხუმრობა კი იტალიაში უამრავია) ერთ წიგნში მოუყარა თავი, გამოსცა და გამომუშავებული ფული საქველმოქმედო ფონდს გადასცა. გადაფურთხების ამბავი კი 2004 წელს პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოხდა. „სკუადრა აძურამ“ ჯერ დანია ვერ დაამარცხა, შემდეგ შვედებთან ფრე ითამაშა, ბოლოს კი ბულგარელებს ძლივს მოუგო. ფლეიოფში იტალია რომ ვერ გასულიყო, შვედებსა და დანიელებს მატჩი 2:2 ან უფრო შედეგიანი ფრით (3:3, 4:4 და ა.შ.) უნდა დაესრულებინათ ან ნებისმიერ მათგანს მოეგო.

შეხვედრა, რომელიც იტალია-ბულგარეთის პარალელურად მიმდინარეობდა, 2:2 დასრულდა. იტალიელები კი, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დანიელები და შვედები ერთმანეთს გაურიგდნენ, შინ გაემგზავრნენ.

### საქმე არნაუტოვიჩის წინააღმდეგ, 2020 წ.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველივე კვირაში დისციპლინური საქმე აღძრეს ავსტრიის ნაკრების წევრ **მარკო არნაუტოვიჩის** წინააღმდეგ მისი საქციელის გამო ავსტრიისა და ჩრდილოეთ მაკედონიის მატჩში. უეფას არ განუცხადებია, რაში ადანაშაულებს ავსტრიის ნაკრების თავდასხმელს, მაგრამ ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების ყურადღება მიიპყრო მომენტმა, როცა არნაუტოვიჩი გოლის გატანას ზეიმობდა და თანაგუნდელი **ალაბა** მის გაჩერებას ცდილობდა. როგორც გაირკვა, წარმოშობით სერბი არნაუტოვიჩი შეურაცხყოფელ გამონათქვამებს არ იშურებდა **ეტონ ბეიტულაისა** და **ეზგან ალიოსკის** მიმართ, რომლებიც ეთნიკური ალბანელები არიან. მაკედონელებმა უეფაში საჩივარი შეიტანეს და არნაუტოვიჩის დასჯა მოითხოვეს.

### უარი ლგბტ თემს მიუნხენში

უეფა წინააღმდეგი გამოვიდა გერმანიისა და უნგრეთის მატჩის წინ ლგბტ ფერებში გაენათებინათ მიუნხენის სტადიონი „ალიანც არენა“. მანამდე კი უნგრეთის პარლამენტმა მიიღო კანონი გეიპროპაგანდის აკრძალვის შესახებ, რომელიც კრძალავს მოზარდებს შორის ჰომოსექსუალიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. კანონპროექტი მიიღეს უნგრეთის პრემიერმინისტრ **ვიქტორ ორბანის** ლობირებით. უეფას უარის შემდეგ უნგრეთისა და გერმანიის მატჩის წინ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **პიტერ სიიარტომ** განაცხადა: „მადლობა ღმერთს, ევროპის ფეხბურთის ხელმძღვანელობაში ჯანსაღმა აზრმა გაიმარჯვა!“

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


არნაუტოვიჩი


ფრანსისკო ფრანკო


დანიელებმა გაიმარჯვეს


ტოტი


დომენგინი (მარჯვნივ)


კუმანის პენალტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშშ ქართველ ახალგაზრდებში «კრიტიკული აზროვნების» განვითარებას ანიმაციის დახმარებით შეეცდება

## ამერიკელები, აგრეთვე, იზრუნებენ ქართველების მედიური განათლების განვითარებასა და ქალთა უფლებების გაფართოებაზე



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 200 ათასი დოლარი გამოყო ქართველი ახალგაზრდებისთვის მედიაგანათლების თემაზე ანიმაციური სერიალების შესაქმნელად. შესაბამისი გრანტის აღწერის მიხედვით, ამ ინიციატივის ჩარჩოებში ამერიკული მხარე გეგმავს, რესპუბლიკის მცხოვრებლებს განუვითაროს „კრიტიკული აზროვნების" უნარი.

„საქართველოში აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება მოუწოდებს არაკომერციულ და არასამთავრობო ან საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავებულნი არიან მედიაგანათლების საკითხებით, ვიდეოსტუდიებთან თანამშრომლობით განაცხადები შეიტანონ 18-თვიანი პროგრამის განსახორციელებლად ისეთი ანიმაციური სერიალების გადაღების მიზნით, რომლებიც მიმართული იქნება ახალგაზრდებში მედიაგანათლებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ", — ნათქვამია დოკუმენტში. სახელმწიფო დეპარტამენტში დარწმუნებულნი არიან, რომ იმ ვითარებაში, რომელშიც უმეტესობა „არაუტყუარი სიუჟეტია", მათ შორის „რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა", განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დახმარება, რათა მათ გაანალიზონ ახალი ამბები და განსაზღვრონ საიმედო რესურსები.

სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნავენ, რომ მას შეიძლება ხელი შეუწყოს გასართობმა ანიმაციამ. ის, უწინარესად, მიმართული უნდა იყოს მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, აგრეთვე, მათ მშობლებზე იმ ზომით, რომლითაც ეს შესაძლებელია. პროგრამის ჩარჩოებში შექმნილ რგოლებს გაავრცელებენ ციფრული სოციალური პლატფორმებითა და ტრადიციული მედიით.

კონტექსტში იქნება საქართველოში გავრცელებული ნარატივები, მათ შორის რუსეთის თემაზე და თითქოსდა დასავლეთის დამღუპველ გავლენაზე ქართველთა ეროვნულ ტრადიციებსა და ადათ-წესებზე.

დოკუმენტის თანახმად, სერიალის ეპიზოდებს კვირაში ერთხელ ან ორჯერ აჩვენებენ, რათა აუდიტორიას გაუჩნდეს სიყვარული პროდუქციისადმი. აღნიშნული ინიციატივის საერთო ბიუჯეტი 200 ათასი დოლარია", — წერია გრანტის აღწერილობაში.

**უფრო ადრე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 450 ათასი დოლარი გამოყო იმ პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც ხელს უწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და განათლების დონის ამაღლებას საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში.**

სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნეს საქართველოს ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა, რომელიც გულისხმობს რეგიონების ეკონომიკისა და ტურისტული სფეროს განვითარებასაც. უწყება გრანტების მომავალ მფლობელებს შესთავაზებს, დაკავდნენ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინფორმაციულობის პრობლემით, ციფრული დიპლომატიისა და მოსახლეობის მედიური განათლების განვითარებით.

ამასთანავე, აშშ დაინტერესებულია გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის განვითარებით საქართველოში, რაც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს ქალთა უფლებების გაფართოებას, აგრეთვე, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

**Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. სინამდვილეში რას მოხმარდება ეს 650 ათასი დოლარი, კარგად ჩანს ქვეყანაში ასე მომრავლებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ქმედებებიდან, რომლებიც გააფთრებით ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიას, ქართულ ტრადიციებს, ფასეულობებს — ყველაფერს, რაც ქართულია.**



# «ბოდიში არ მოუხდია». ფლოიდის მკვლელობაში ბრალდებულ ყოფილ პოლიციელს 22,5 წლით აღუკვეთეს თავისუფლება

**ამერიკელმა ექსპოლიციელმა დერეკ შოვინიმ ბოლო სიტყვაში მიუსამძიმრა შავკანიანი ჯორჯ ფლოიდის ოჯახს, მაგრამ მისი სიკვდილის გამო ბოდიში არ მოუხდია.**

აშშ-ში განაჩენი გამოუტანეს ექსპოლიციელ **დერეკ შოვინის** იმ ქმედებების გამო, რომლებმაც შავკანიანი დამნაშავის, ჯორჯ ფლოიდის, სიკვდილი გამოიწვია მისი დაპატიმრებისას. ამ შემთხვევამ ქვეყანაში მასობრივი არეულობები გამოიწვია. ყოფილმა სამართალდამცველმა თავის სიტყვაში მიუსამძიმრა დაღუპულის ოჯახს, მაგრამ ბოდიში არ მოუხდია. ბრალდება მისთვის 30-წლიან პატიმრობას ითხოვდა, მაგრამ სასამართლო 22,5 წელზე შეჩერდა.

საქმეში მთავარი მტკიცებულება იყო ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ასახულია, მუხლით როგორ აწვება პოლიციელი ასფალტზე დაგდებულ შავკანიან დამნაშავეს ყელზე. ფლოიდი ყვირის, რომ სუნთქვა აღარ შეუძლია, შემდეგ კი კვდება. სიკვდილისშემდგომმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ დაღუპული ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და მისი სიკვდილი ნარკოტიკის ჭარბმა დოზამ გამოიწვია, მაგრამ სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა.

**tsangrd.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ედუარდ სნოუდენი: შემდეგი ასანჟი იქნება



**ამერიკის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი, ედუარდ სნოუდენი, კომპანია McAfee-ს დამფუძნებლის, ჯონ მაკაფის, თვითმკვლელობას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ შემდეგი შეიძლება იყოს მხილების ვებგვერდ wikileaks-ის დამფუძნებელი ჯულიან ასანჟი.**

„ევროპამ არ უნდა განახორციელოს არაძალადობრივ დანაშაულში ბრალდებულთა ექსტრადიცია, რადგან სასამართლო და პენიტენციური სისტემები ისეთი უსამართლო და მკაცრია, რომ მსჯავრდადებულები შეიძლება სიცოცხლეს გამოესალმონ. ჯულიან ასანჟი შეიძლება იყოს შემდეგი. სანამ სისტემაში რეფორმა არ ჩატარდება, მორატორიუმი უნდა გაგრძელდეს", — დაწერა ასანჟმა სოციალურ ქსელში.

კომპანია Metfee-ს დამფუძნებელმა ჯონ მაკაფიმ ესპანეთის ციხეში მოიკლა თავი, როცა შეიტყო, რომ ესპანეთის სასამართლო დათანხმდა მის ექსტრადიციას აშშ-ში. მანამდე კი 2-ჯერ განაცხადა, რომ მოკვლას უპირებდნენ.

**Vesti.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. ნავალნი ციხეში ზის და ყველა თავს დასტრიალებს. მის გამო კი რუსეთს სანქციები დაუწესეს. მაკაფი ციხეში იჯდა და ახლა ცოცხალი აღარ არის, მაგრამ სანქციებზე ესპანეთის ან აშშ-ის მიმართ არავინ ლაპარაკობს.**

# ნულანდის ცინიკური განცხადება: «უკრაინა ჩინეთის მსხვერპლია»

## კიევი მძიმე ვითარებაში მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონის მითითებებით მოქმედებს




უკრაინა ჩინეთის პოლიტიკურ მსხვერპლად უნდა ვაღიაროთ. „ჩინეთმა კიევს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მიწოდება გაუუქმა მას შემდეგ, რაც გაეროში უკრაინის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ანტიჩინურ რეზოლუციას სინძიანის მიმართ", — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში — ვიქტორია ნულანდმა 25 ივნისს გამართულ ონლაინკონფერენციაზე.

„უკრაინა ჩინეთის მსხვერპლად იქცა, როცა გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოში მხარი დაუჭირა სინძიანის შესახებ რეზოლუციას. ჩინეთმა უკრაინისთვის 500 ათასი ვაქცინის მიწოდება გააუქმა", — განაცხადა ვიქტორია ნულანდმა და უკრაინას აშშ-ის სახელით დაჰპირდა, სწრაფად უპასუხოს უკრაინის გარშემო ვითარების გამწვავების მცდელობებს". ამ მხარდაჭერისთვის კი კიევისგან „რეფორმების ჩატარება" მოითხოვა.

ალსანიშნავია, რომ ამერიკაში ტრადიციად იქცა უკრაინის გამოცხადება „ჩინეთის მსხვერპლად". ვაშინგტონი მაშინ შეშფოთდება ხოლმე, როცა პეკინსა და კიევს შორის თანამშრომლობის აქტივიზაციის ნიშნები ჩნდება.

ნულანდამდე ეს ფორმულირება გამოიყენა **ჯონ ბოლტონმა**, რომელიც იმხანად პრეზიდენტ დონალ ტრამპის მრჩეველი იყო უსაფრთხოების საკითხებში. ბოლტონმა კიევში ვიზიტის შემდეგ განაცხადა, — აშშ ყველაფერს გააკეთებს, უკრაინა ჩინეთის ეკონომიკურ მსხვერპლად რომ არ იქცესო. იმხანად ვაშინგტონმა ძალიან განიცადა, რომ ჩინურმა კომპანიებმა გამოისყიდეს უკრაინული საწარმო „მოტორ სიჩის" აქციები. როგორც ცნობილია, ამერიკის წნეხში მოქცეულმა კიევმა დაარღვია გარიგება და ჩინელების მიერ ნაყიდი საწარმოს ნაციონალიზაცია განახორციელა; თანაც ისე, რომ ინვესტორებს ზარალი არ აუნაზღაურა. ამის გამო კიევისა და პეკინის ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდა. მოტყუებულმა ჩინელმა ინვესტორებმა უკრაინას 3,6 მლრდ დოლარის კომპენსაცია მოსთხოვეს „მოტორ სიჩზე" გარიგების ჩაშლისთვის. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში უკრაინა მსხვერპლად შეწირეს „ჩინეთის შეკავების" აშშ-ის პოლიტიკას.

ცხადია, რომ ასეთი რამ კიდევ არაერთხელ მოხდება და ვიქტორია ნულანდის წუხილი ჩინეთის მსხვერპლად უკრაინის გადაქცევაზე უკიდურესად ცინიკურია. **კიევი ასეთ ვითარებაში მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონის მითითებებით მოქმედებს.**

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო
თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას
„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894